577/3 გ 1092 7
7/577/3
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

# საქართველო

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, № 27 (2806) გამოცემის მე-60 წელი, 1991 5 ივლისი ფასი 40 კაპ.



## კონსტანტინე გამსახურდიას საიუბილეოდ

1993 წელს სრულდება ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 100 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით შეიქმნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საიუბილეო ღონისძიებათა მომწყობი კომისია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ბაქარ გიგინეიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში არიან ქართული კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები, მწერლები, ჟურნალისტები. ეს თარიღი აღინიშნება როგორც მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ნათელი დღესასწაული.

საიუბილეო ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებულია კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა მრავალტომეულის, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მონოგრაფიების, საიუბილეო ბუკლეტების, პლაკატებისა და ერთჯერადი გაზეთის გამოცემა. იუბილესათვის მზადების პერიოდში აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში აშენდება მწერლის სახლ-მუზეუმი, კეთილმოეწყობა მისი ტერიტორია. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტში გადაიღებენ სატელევიზიო ფილმს ჩვენი საამაყო მწერლის შესახებ.

სამშობლოზე მარად დაფიქრებული და მისი უმდიდრესი ისტორიის მემატიანის სახე ამოიტვიფრება საიუბილეო მედალზე.

რესპუბლიკის თეატრები საიუბილეო დღეებისათვის დადგამენ კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ სპექტაკლებს.

საიუბილეო სხდომა გაიმართება მწერლის მშობლიურ რაიონში — აბაშაში.

ჩვენი ეროვნული კულტურის ჭეშმარიტ მშვენებასა და სიამაყეს მიუძღვნის საიუბილეო სხდომას საქართველოს მწერალთა კავშირი.

იუბილესათვის მზადების დღეებში მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მასალები გამოქვეყნდება იუნესკოს ბეჭდურ ორგანოებში, ასევე რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. გაიმართება ამ დღის აღსანიშნავი მასობრივი ღონისძიებები.

საიუბილეო დღეების გვირგვინი იქნება საიუბილეო საზეიმო დღესასწაული რომელიც გაიმართება 1993 წლის 15 მაისს, თბილისში.

მდაბლად დავუხაროთ თავი დიდი მწერლის ხსოვნას, მუხლი მოვიყაროთ მისი სათაყვანო საქართველოს წინაშე, მადლობა ვუთხრათ მას კონსტანტინე გამსახურდიასათვის და გავიმეოროთ მწერლის სიტყვები: „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა...“

საქინფორმი.



## ანზორ აბულაშვილი

### თავგანწირვაა ამ ჟანღში ფრენა

სამფეროვანი აფრინდა დროშა,
გაზაფხულივით აფრინდა დროშა.
ვაი, აქა-იქ ლაქად აჩნია
გადამთიელი მოშურნის როშვა.
წითელმა დროშამ ყოველი მოსრა,
გორი თუ ხონი,
ფსკოვი თუ ორშა...
აწ საქართველოს ცის სამკაული
სამფეროვანი მიფრინავს დროშა.
გამოამტვრია საკანი ბნელი,
სად თებერვალმა ჰყინა და თოშა
და ამ გაუვალ ბურუსში
ნათლის
უმამაცესი მიფრინავს დროშა.
თავგანწირული მიფრინავს,
როცა
უკულმა ყარა ხიზანმაც ქოში...
მეამბოხეთა აფრინდა დროშა
ღვთისმგმობელთაგან
დალეწილ დროში.
თუმცა ასპიტი გესლავს ათასი,
იმედით ასცქერს
ჯავა თუ შროშა...
წმინდა გიორგის ჰიხვინებს რაში,
წმინდა გიორგის მიფრინავს
დროშა!

## დღეს ნომერში:

გამოხმაურება, რეპლიკა, ინფორმაცია მე-2 გვ.
თენგიზ ბუაჩიძე
მცირე პროზა ანუ ესეისტური ჩანაწერები მე-6-7 გვ.
კონსტანტინე გამსახურდია
ლანდებთან ლაციცი

კონსტანტინე გამსახურდიას მოგონებების წიგნი „ლანდებთან ლაციცი“ 1968 წელს იბეჭდებოდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ (№ 35) და ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე (№ № 8, 9), მაგრამ საბჭოთა ცენზურამ აკრძალა იგი და მხოლოდ დღეს, 28 წლის შემდეგ, ვიწყებთ დიდი მწერლის მემუარების დაუბეჭდავი ნაწილის გამოქვეყნებას.

მე-8-9 გვ.
ბათუ დანელია ახალი ლექსები მე-10 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება, რეცენზია, ინფორმაცია

# მიეძღვნა ქუთაისის ლიტერატურულ წარსულს

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისი დიდ როლს თამაშობდა საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. ქალაქში სუფევდა შემოქმედებითი ატმოსფერო, გამოდიოდა მრავალი გაზეთი, იქმნებოდა მოდერნისტული გაერთიანებანი, რომელთაგან ზოგიერთის (მაგ. „ცისფერყანწელთა“) სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

მეოცე საუკუნის 10-20-იანი წლების ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრება კარგა ხანია მოექცა მკვლევართა ყურადღების ცენტრში. მის შესახებ მრავალი საყურადღებო გამოკვლევა და პუბლიკაცია გამოქვეყნდა, მაგრამ საკითხი მონოგრაფიული სისრულით ჯერ კიდევ არაა შესწავლილი.

ამ ხარვეზის შევსება მიზნად დაისახეს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის წევრებმა (კათედრის გამგე — პროფ. ავთ. ნიკოლეიშვილი), როცა მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში ჩამოაყალიბეს ქუთაისის ლიტერატურული წარსულის შემსწავლელი ლაბორატორია. ახლახანს უნივერსიტეტში გაიმართა ამ თემისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო კონფერენცია.

წაიკითხეს ბევრი საინტერესო მოხსენება.

ლაბორატორიის მუშაობაში, ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გარდა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს სხვა კათედრების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ქალაქის კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა.

ზურაბ დათუაშვილი

# „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას

პატივცემულო რედაქცია!

ამას წინათ ორჯერ ზედიზედ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მწერლების მამუკა წიკლაურისა და დავით მჭედლურის მეტად საყურადღებო წერილები. ისინი მთელი ქართველი მწერლების სახელით, გულისტკივილითა და მტკიცე დასაბუთებით გამოხატავდნენ მწერალთა დიდი ნაწილის სავალალო მდგომარეობას, იმათ ყისმათს, ვისი დაუსტამბავი წიგნებიც წლობით აწყვია გამომცემლობებში.

ქაღალდი არ არისო. ვისთვის არის, ვისთვის არა!

სტამბები გადატვირთულიაო. ვისთვის გადატვირთულია, ვისთვის არა!

მდგომარეობა კი საგანგაშოა.

ქაღალდი არ არისო! მერედა, მე დალოცვილო, გულხელდაკრეფილი ჯდომა გვიშველის? ქაღალდის ხვეულები ციდან თავისით ხომ არ დაეშვებიან? განა ამ საქმის მესვეურთ, უბრალოდ, თავაზიანობის ვიზიტით არ მართებდათ ქართველი მწერლებისათვის გაეცათ პასუხი, თუ გვეშველება, რა გზით გვეშველება, თუ არ გვეშველება და მწერლები წიგნებს ვერ დასტამბავენ, ესეც გვითხრან. მაშინ ახალგაზრდა მწერლები ალბათ სხვა გზას ეწევიან, თავს დროზე უშველიან, ხოლო პენსიაზე მყოფნი თვეში ერთხელ ჩაითვლიან თავიანთ სამათხოვრო პენსიას (კომპენსაციით!), ლიტფონდის ასევე მათხოვრული დანამატითურთ (რომელსაც აწი მისცემენ, თუ არ მისცემენ, ღმერთმა უწყის!) და ამით დამთავრდება ქართული მწერლობის საქმე.

ასეა, ბატონებო, თუკი მათი წიგნები არ გამოვიდა!

გულს ნუ გაიტეხთ მკითხველებო: წიგნები მაინც გამოდის, გამოდის ბევრი, თანაც დიდი ტირაჟებით და ძვირად ღირებული! კოოპერატივები ქაღალდსაც შოულობენ (ტონა ოფსეტური ქაღალდის კომერციული ფასი 10.000 მანეთზე მეტია). სტამბებსაც ბლომად უხდიან...

ნუთუ აღარავის ეკითხება ბედი შემოქმედისა, რომელსაც ხელი არ მიუწვდება ძვირად ღირებულ ქაღალდზე, სტამბაზე?!.

რა ქნას მწერალმა? რა ქნას მწერლობამ?

ამას წინათ გამომცემლობა „მერანი“ ყოფილ კომიტეტს, აწინდელ დეპარტამენტს გამოეყო და გადავიდა მწერალთა კავშირის გამგებლობაში.

ეს ფაქტი სიხარულით აღვიქვით. გამომცემლობის მუშაკებისა და მწერლების შეხვედრაც მოეწყო მწერალთა კავშირის კლუბში. მთლად უიმედოდ არ დავშლილვართ, მაგრამ არც სიხარული განგვიცდია... სულ მალე გამოირკვა, რომ საბეჭდი ქაღალდი ისევ დეპარტამენტმა უნდა მისცეს „მერანს“, ქაღალდი, რომელიც დეპარტამენტსაც არ გააჩნია, სტამბებიც მან უნდა დაგვითმოს, სადაც კოოპერატივები ბეჭდავენ თავიანთ პროდუქციას.

საკითხავია, მაშ რისთვის გამოეყო „მერანი“ დეპარტამენტს, თუკი მწერალთა კავშირი ვერ მოუვლიდა?

გულუბრყვილოდ მეგონა, რომ მამუკა წიკლაურისა და დავით მჭედლურის წერილებზე საგანგაშო ზარებს შემოჰკრავდა მთელი მწერლობა, ფეხზე დადგებოდა, ხმას აღიმაღლებდა... ეტყობა დიდმა უიმედობამ მოიცვა ყველა, ხელი ჩაიქნია და გუნებაში გაივლო, მაინც არაფერი გამოვაო.

ნამდვილად ასეა. აბა რას მივაწეროთ მათი დუმილი?

დღეს თუ დავდუმდებით, ხვალ უარესი იქნება.

მივხედოთ ქართული მწერლობის გაჭირვებულ საქმეს!

თენგიზ გოგოლაძე

# იქნებ როგორმე დამეხმაროთ

პატივცემულო რედაქცია, სამი თვე არის, რაც თქვენი გაზეთი არ მიმიღია, როგორც ცნობილია, საკავშირო პრესა და ტელევიზია უამრავ არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ საქართველოს შესახებ, ამიტომ ძალიან გთხოვთ, იქნებ როგორმე დამეხმაროთ, რომ მივიღო მშობლიური გაზეთი. ახლა ამ დაძაბულ დროს თქვენი გაზეთი საქართველოს გარეთ მყოფთათვის ერთადერთი სწორი ინფორმაციის წყაროა.

შალვა მუქერია
ოდესის კონსერვატორიის სტუდენტი.

რედაქციისგან: ძალზე ხშირად მოგვმართავენ როგორც საქართველოს რაიონებში, ისე საბჭოთა კავშირში მცხოვრები ჩვენი გაზეთის ხელმომწერები, რომელნიც საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ დროულად ან სულაც არ ღებულობენ „ლიტერატურულ საქართველოს“. მართალს ბრძანებს შალვა მუქერია — საკავშირო პრესა და ტელევიზია ათასგვარ ჭორსა და ცილისწამებას ავრცელებენ საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ და რესპუბლიკის გარეთ მცხოვრები ქართველებისათვის სწორი ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდებას ძალზე პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ამას უნდა ითვალისწინებდნენ პრესის გავრცელების სამსახურები და დროულად და შეუფერხებლად აწვდიდნენ პრესას ხელისმომწერლებს საქართველოში თუ საქართველოს გარეთ. ეგების ეს შეძახილი მაინც არ დარჩეს უდაბნოში მღაღადებლის ხმად.




# ალვადგინოთ

# ქართული მარკა

თანამედროვე იურიდიულად დამოუკიდებელ საქართველოს ჯერ კიდევ უამრავი საქმე აქვს გასაკეთებელი ჭეშმარიტი სუვერენიტეტისაკენ მიმავალ ეკლიან გზაზე.

ისევე, როგორც ყველა სუვერენულ ქვეყანას, საქართველოსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის ნიშანდობლივი ერთ-ერთი ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა საკუთარი საფოსტო მარკა, მითუმეტეს, რომ ჩვენს სამშობლოს ამის მდიდარი ტრადიციები გააჩნია.

საფოსტო მარკა რუსეთში 1858 წელს შემოიღეს, მაგრამ ბევრმა როდი იცის ის უდავო ფაქტი, რომ რუსული ოფიციალური მარკის დაბეჭდვამდე მთელი ერთი წლით ადრე, ანუ 1857 წელს, ტფილისის საქალაქო ფოსტამ გამოუშვა საკუთარი, ორიგინალური მარკა, რომელიც დღეს დიდ ფილატელისტურ რარიტეტად ითვლება და მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს და უნიკალურ მარკად არის მიჩნეული.

ამგვარად, რუსეთის იმპერიის განაპირა გუბერნიამ — ტფილისის საქალაქო ფოსტის საშუალებით, მთელი წლით ადრე გამოიყენა ინგლისის პარლამენტის წევრის როულანდ ჰილის გამოგონება — საფოსტო მარკა, ვიდრე თვით რუსეთის იმპერიის ცენტრმა — პეტერბურგმა.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში დაიბეჭდა ათამდე სხვადასხვა ნომინალური ღირებულების უაღრესად საინტერესო მარკა, რომლებიც უკანასკნელ დრომდის, გასაგები მიზეზების გამო, სრულიად უცნობი იყო საზოგადოებისათვის.

ქართული მარკების ნაწილი საფრანგეთშია დამზადებული. მათი ყოველი ეგზემპლარი შესრულებულია მაღალი მხატვრული გემოვნებითა და დამუშავებულია უძველესი ქართული ჩუქურთმის ნიმუშების გამოყენებით.

ქართულ მარკებზე გამოსახულია: საქართველოს სახელმწიფო გერბი — თეთრ რაშზე ამხედრებული წმინდა გიორგი, ხოლო ზოგიერთ მარკაზე გამოსახულია ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი და შეიარაღებული ახალგაზრდა მანდილოსანი, ეს სიმბოლურად ასოცირდება საქართველოს მაშინდელ სახედ.

აღსანიშნავია, რომ 1919-1920 წლებში ბათუმის საქალაქო ფოსტაშიც კი იბეჭდებოდა საკუთარი საფოსტო მარკები, რომლებზედაც დანარჩენი ქართული მარკებისაგან განსხვავებით, რომლებიც ქართულ და ფრანგულენოვანია, გვხვდება რუსული და ინგლისური წარწერებიც.

თბილისში ერთხანს საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგაც გამოდიოდა ქართული საბჭოთა მარკები.

ამ რამდენიმე ხნის წინ, საინფორმაციო სააგენტო „ლეტას“ ცნობით, ლატვიის რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოსცა საკუთარი საფოსტო მარკები, რომლებზედაც ლატვიის სახელმწიფო გერბია გამოსახული. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ფართოდ გააშუქეს საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებმა, რომლებმაც ამ დიდმნიშვნელოვან აქტს ლატვიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობისაკენ გადადგმული რეალური ნაბიჯი უწოდეს.

დღევანდელ საქართველოსაც, აუცილებლად სჭირდება რეალური ნაბიჯების გადადგმა საკუთარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, ამიტომ, ვფიქრობ, რომ უახლოეს ხანებში, ქართული მარკების აღდგენის ისტორიულ საქმეს ღირსეულად იტვირთებს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო.

ნიკო ჯავახიშვილი

# გაზეთის პრეზენტაცია

გაგრაში გაიმართა ახალი ყოველთვიური გაზეთის „მე-9 ტალღის“ პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები, გაზეთის დამფუძნებლის — სამრეწველო-კომერციული ფირმა „გაგრის“ ხელმძღვანელები, ამ ფირმის საქმიანი პარტნიორები უკრაინიდან და კანადელი ბიზნესმენი რომან ვილენსკი, აგრეთვე ჩეხეთ-სლოვაკიის ელჩი საბჭოთა კავშირში, წარსულში ცნობილი დისიდენტი რუდოლფ სლანსკი.

ჩეხეთ-სლოვაკეთის ელჩმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველოს და ჩსფრ ახლანდელ პრეზიდენტებს — ბატონ ზვიად გამსახურდიას და ვაცლავ ჰაველს აკავშირებს დიდი ხნის მეგობრობა. მან გამოთქვა აზრი, რომ საქართველოს და ჩეხეთ-სლოვაკეთს აქვთ შესაძლებლობა დაამყარონ კარგი ურთიერთობა ცხოვრების ყველა სფეროში. რუდოლფ სლანსკიმ, აგრეთვე, აღიარა, რომ მისი ოცნებაა გახდეს ჩეხეთ-სლოვაკეთის პირველი ელჩი დამოუკიდებელ საქართველოში.

გაზეთ „მე-9 ტალღის“ წარდგენისას აღინიშნა, რომ ამ ახალ ყოველთვიურ პერიოდულ ორგანოს შეუძლია გარკვეული წვლილი შეიტანოს რესპუბლიკის პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციაში, კომერციული ცხოვრების აქტივიზაციაში. გაზეთ „მე-9 ტალღის“ დამფუძნებელი და გამომცემელია სამრეწველო-კომერციული ფირმა „გაგრა“, რომლის დირექტორია ცნობილი გაგრელი ბიზნესმენი სერგო აბაშიძე.

გაზეთის პირველი ნომერი ახლახანს დაიბეჭდა თბილისში გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში.

იგი აწყობილია კომპიუტერზე. მასალები იბეჭდება რუსულ და ქართულ ენებზე.

ესაა პირველი გაზეთი აფხაზეთში, რომელიც კომპიუტერზეა აწყობილი.

მეგი გიგაური

გამოხმაურება, რეცენზია, ინფორმაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადვოკატის მოგონებანი

## ირაკლი რაზმაძე

საქართველოს ადვოკატურა, მოწინავე საზოგადოების განათლებული და მაღალი ზნეობის ადამიანებისაგან შედგებოდა. მათ შორის ბევრი პოლიტიკური და ლიტერატურული მოღვაწეც იყო.

ბოლშევიკებს მოაზროვნე ინტელიგენციის ეს ნაწილიც, რა თქმა უნდა, არ აწყობდათ, მით უმეტეს, რომ ადვოკატებს სასამართლო ტრიბუნიდან, სხვა ადამიანებთან შედარებით, თავისუფალი სიტყვის თქმის შესაძლებლობა გააჩნდათ.

ამ პროფესიული ჯგუფის დათრგუნვა-დამორჩილების მიზნით ბოლშევიკები თავიდანვე მიმართავდნენ მრავალგვარ ხერხს, როგორიც იყო ადვოკატორის მმართველ ორგანოებში პარტიული ხელმძღვანელების დანიშვნა, ადვოკატთა რიგებში თავიანთი ხალხის შეყვანა, აგენტების შოვნა-გაჩენა და სხვა. დაუმორჩილებელთა მიმართ რეპრესიების გამოყენება ხომ ბოლშევიზმის განუყრელი იარაღი იყო.

დაარქვეს დამცველთა კოლეგია, ხელმძღვანელობდა არჩევითი პრეზიდიუმი. კოლეგიის წევრები ვმუშაობდით ერთპიროვნულად და პრეზიდიუმს ვუხდიდით საწევრო გადასახადს. მოახდინეს ადვოკატურის კოლექტივიზაცია, კლიენტებისაგან შემოსული თანხებით დაუნიშნეს ხელფასები კატეგორიების მიხედვით. ეს სისტემა არ გამოადგათ. მოინდომეს ადვოკატურის გასახელმწიფოებრივება, რაც ნიშნავდა შემდეგს — სახელმწიფო აღძრავს საქმეს, თვითონვე გამოიძიებს, სახელმწიფო დადებს ბრალს, სახელმწიფო დაიცავს, სახელმწიფო გაასამართლებს, რაც სამართალწარმოების არც ერთ საერთაშორისო ნორმას არ შეესაბამება და ამიტომაც ვერ გაბედეს მისი შემოღება.

დაარსეს იურიდიული კონსულტაციები, ანუ რაღაც საშუალო სახელმწიფოსა და საზოგადოებრიობას შორის. ეს სისტემა დღესაც არსებობს.

პრეზიდიუმის პარტიულ ხელმძღვანელთა შორის იყვნენ ღირსეული პიროვნებანიც: ნესტორ კორინთელი, სიჭინავა, დავით ლომიძე, ნატაშა ლომთათიძე და სხვები, მაგრამ უმეტესად — ადვოკატურის მტრები, ადამიანურ ღირსებას მოკლებულნი და ზოგჯერ გარეწრებიც.

იყო მცდელობაც — შემოეღოთ ადვოკატების მიერ დაცვითი სიტყვის წერილობით წარდგენის და საჩივრის ასლების წარდგენის კონსულტაციის გამგეთათვის დასამტკიცებლად, მაგრამ ეს უაზრობა ვერ განახორციელეს.

ოცდაათიან წლებში ადამიანთა დათრგუნვის კიდევ ერთი ხერხი მოიგონეს, საბჭოთა აპარატი დანაგვიანებულია და მას გაწმენდა უნდათ.

ცხადია, დამცველთა კოლეგიასაც არ დაივიწყებდნენ.

დამცველთა კოლეგიის წევრთა გამწმენდი კომისიის თავმჯდომარედ მოგვევლინა საპროფესორო კურსებდამთავრებული, მაშინდელი რესპუბლიკის პროკურორი ილარიონ (ვალიკო) ილარიონის ძე ტალახაძე, რომელსაც სამსახურებრივად დამცველთა კოლეგიასთან არაფერი საერთო არ ჰქონდა.

ილარიონ (ვალიკო) ტალახაძე განთქმული იყო დამსჯელი რაზმების უფროსობით, საშინელი სისასტიკით და ულმობლობით.

გურიაში, სადაც უმეტესობა სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) იყვნენ, დამსჯელი რაზმის უფროსი ობოლაძე მოკლეს, იგი შეცვალა ი. ტალახაძემ და რაც ობოლაძემ ვერ მოასწრო, ის ი. ტალახაძემ შეასრულა გადაჭარბებით, ცეცხლსა და მახვილს მისცა თითქმის მთელი გურია.

1924 წლის აგვისტოში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის მომხდარი ამბოხების დროს, ჭიათურისა და საჩხერის რაიონებს დამსჯელი რაზმის უფროსად მოევლინა ი. ტალახაძე. ჭიათურა-საჩხერის რაიონები თავისი ინტელიგენციით და თავადაზნაურობით გამოირჩეოდა. დაპატიმრებულებით აავსეს ოთხი საბარგო დახურული ვაგონი. ვაგონები ჩაიყვანეს ზესტაფონში, ჩააყენეს ჩიხში და ი. ტალახაძის მეთაურობით ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი დაუშინეს. ამოულიტეს ყველა, შემთხვევით გადარჩა მხოლოდ ერთი — ზურაბ წერეთელი, გვამების ქვეშ მოხვედრილი, მაგრამ ისიც ფსიქიურად დაავადდა. ამ ოპარაციებში ი. ტალახაძეს ეხმარებოდნენ სხვა „პასუხისმგებელი“ ბოლშევიკები. ასეთი მეთოდებით აშენებდნენ კომუნიზმს.

ხრუშჩოვის დროს, დააპატიმრეს ცნობილი შინსახკომელები: რუხაძე, რაფავა, წერეთელი და სხვები, ხოლო რუსეთში — აბაკუმოვი და მისი კოლეგები, 1936-1938 წლებში ჩატარებული მასობრივი რეპრესიების გამო.

ი. ტალახაძე იმ წლებში საქართველოს სსრ პროკურორი იყო. რაფავას, რუხაძისა და სხვათა საქმის გამოძიებისას ი. ტალახაძესაც იბარებდნენ დასაკითხად. ყველაფერი, რასაც აღნიშნული პირნი სჩადიოდნენ, ი. ტალახაძის სანქციით ხორციელდებოდა და ი. ტალახაძესაც მათი ბედი (დახვრეტა) ელოდა, მაგრამ მას შენახული ჰქონდა სსრკ გენერალური პროკურორის ვიშინსკის წერილი რესპუბლიკების პროკურორებისადმი წინადადებით, რომ მათ ხელი არ შეეშალათ შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის (ოგპუ) დამსჯელი ოპერაციების ჩატარებაში. ამ წერილმა იხსნა ი. ტალახაძე, ხოლო მისი ძველი „მოღვაწეობა“ არავინ გაიხსენა. ასე გადარჩა ი. ტალახაძე და შემდეგ თავისი სიკვდილით მოკვდა.

საქართველოს სსრ დამცველთა კოლეგიის გამწმენდი კომისიის წევრებიდან უმრავლესობა ი. ტალახაძესავით „დიდი დამსახურების მქონე ბოლშევიკები“ იყვნენ.

დამცველთა კოლეგიის წევრთა წმენდას განსაკუთრებული პარადულობით ატარებდნენ უმაღლესი სასამართლოს დიდ დარბაზში, თეატრების და კლუბების დარბაზებში, „გასაწმენდ“ პირთა მნიშვნელობის შესაბამისად. საზოგადოება ეტანებოდა „წმენდის“ დასწრებას და შესასვლელი ბილეთის შოვნა ძალიან ჭირდა. დამცველთა კოლეგიის წევრებს პირადობის მოწმობით უშვებდნენ.

მომყავს ჩატარებული „წმენდის“ რამდენიმე ეპიზოდი:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დიდი დარბაზი, საღამოა, ხალხმრავლობაა.

ი. ტალახაძე — დამცველთა კოლეგიის წევრი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ტრიბუნაზე.

ბატონი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ტრიბუნაზეა. იამბობს თავის ბიოგრაფიას: პეტერბურგში ვიყავი ნაფიც ვექილად, ვიცავდი ლევ ტროცკის. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ძირითად მოღვაწეობას ვეწევი თბილისის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე უფროს მასწავლებლად. არ მსურს გამოვეთიშო ადვოკატურას, ვარ დამცველთა კოლეგიის წევრი, აგრეთვე ვმუშაობ იურისკონსულტის თანამდებობაზე.

ი. ტალახაძე — მიმართავს ბ-ნ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს — ამბობენ, თბილისის უნივერსიტეტში წმინდა სამება არსებობს: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე და ლუარსაბ ანდრონიკაშვილი (ი. ტალახაძე ჯერ უნივერსიტეტში არ მუშაობდა), ადასტურებთ ამას თუ არა?

ლ. ანდრონიკაშვილი — მართალია, რომ ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე და მრავალი სხვაც ჩვენი უნივერსიტეტის წმინდანებია და თუ ვინმე მეც მათ რიცხვში მაყენებს, ეს ჩემთვის დიდი პატივია და დიდ მადლობას მოვახსენებ.

ი. ტალახაძე — მიმართავს დარბაზში მყოფთ — აქვს თუ არა ვინმეს ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მიმართ აცილება?

„მე მაქვს“, ისმის დარბაზიდან. დგება მისი ყოფილი სტუდენტი, ახალგაზრდა ადვოკატი ა. გ., რომელსაც არც ნიჭი და არც ცოდნა არ აკლდა.

ა. გ. — მე ვიცი, რომ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი არის მორწმუნე, დადის ეკლესიაში, ლოცულობს, თუ არ გჯერათ, გაუხსენით საკინძე, მას ჯვარი ჰკიდია. რა უნდა ასეთ კაცს დამცველთა კოლეგიაში და მით უმეტეს, უნივერსიტეტში?

ი. ტალახაძე — მიმართავს გაფითრებულ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს — უპასუხეთ!

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი —მიმართავს ა. გ.-ს გაფითრებული, მაგრამ მტკიცე ხმით — „ბედის წიწილა გამიზრდიხარ საკუთარ მკერდზე“. — მას გული უწუხდება, ტოგო ხოშტარიას, გიორგი ხომასურიძეს და ამ სტრიქონების ავტორს გაგვყავს დარბაზიდან გვერდით ოთახში, იქ ვასულიერებთ და მიგვყავს შინ.

გრიბოედოვის სახელობის თეატრის დარბაზი. საღამოა, აქაც ხალხმრავლობაა, ობსტრუქციის მოსაწყობად სპეციალურად მოყვანილია ხალხი.

ი. ტალახაძე — დამცველთა კოლეგიის წევრი გრიგოლ გიორგაძე — ტრიბუნაზე.

ბ-ნმა გრიგოლ გიორგაძემ იამბო თავისი ბიოგრაფია. ვიყავი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ვიყავი სამხედრო მინისტრი.

ი. ტალახაძე — თქვენ ამბობთ რომ სოციალისტი ბრძანდებით, თქვენ არ იზიარებთ ჩვენ ტაქტიკას სოციალიზმის და კომუნიზმის რევოლუციური გზით დამყარების შესახებ, ანუ თქვენ ჩვენი მტერი ხართ. ასეა?

გრიგოლ გიორგაძე — არა. მე არავისი მტერი არ ვარ. თქვენ ბოლშევიკები და ჩვენ მენშევიკები ორივენი სოციალისტები ვართ. ჩვენ გვინდოდა სოციალიზმისათვის დემოკრატიული გზით მიგვეღწია, თქვენ კი ძალისმიერად ცდილობთ მიაღწიოთ მიზანს. თქვენი მოქმედება მე მაგონებს მთაში გვირაბის გათხრას ორივე მხრიდან. ერთის მხრით მრეწველობის ინდუსტრიალიზაციით და მეორე მხრით სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციით. ეს ორივე სამუშაო ერთ დღეს, ერთ საათს, ერთ ადგილზე უნდა შეხვდეს — შეუერთდეს ერთმანეთს და მაშინ მიზანი მიღწეული იქნება. მაგრამ თუ ეს მოქმედებები ერთმანეთს ასცდა, მაშინ თქვენც და ჩვენც ერთ ხეზე ჩამოგვკიდებენ, როგორც სოციალისტებს. — დარბაზი დუმს, ობსტრუქცია არ არის.

ი. ტალახაძე — თქვენ როგორც სამხედრო მინისტრი ხალხს ხვრეტდით, რით გაიმართლებთ თავს?

გრიგოლ გიორგაძე — არა, მე სამხედრო მინისტრი ვიყავი და არა დამსჯელი რაზმის უფროსი. იმ დროს დახვრეტის მისჯის უფლება ჰქონდა სამხედრო საველე სასამართლოებს. მე ასეთი უფლება არ მქონია და არც არავინ დამიხვრეტია. მაშინ კანონიერებას ვიცავდით და გაუსამართლებლად არავის არ გააჩნდა ვისიმე დახვრეტის უფლება. ეხლა სხვა წესები გაქვთ, იმას ჩვენ ნუ შეგვადრით.

ი. ტალახაძე — თქვენ სტყუით, გაიხსენეთ ოსების ბოლშევიკური აჯანყება საჩხერის რაიონში. გახსოვთ, თქვენ იქ ბობოქრობდით?

გრიგოლ გიორგაძე — არავითარი ბოლშევიკური აჯანყება ოსებს საჩხერის რაიონში არ მოუწყვიათ. ოსები თავს დაესხნენ საჩხერის რაიონის მშვიდობიან მოსახლეობას, ძარცვავდნენ მათ, გლეჯდნენ, იპარავდნენ, ძალადობდნენ, და ნაძარცვს სავსე ტომრებით ეზიდებოდნენ ცხინვალისაკენ. მე მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა ბოლშევიკურ პოლიტიკურ აჯანყებად არ მიმაჩნდა და არც ეხლა მიმაჩნია. მე გავეცი განკარგულება ალეკვეთათ ეს მასობრივი ძარცვა-გლეჯა. შემდეგ მე თვითონ ჩავედი საჩხერეში. მომახსენეს, მძარცველთა თარეში თითქმის შეწყვეტილიაო, დღეს მხოლოდ ერთი შემთხვევა მოხდა და ის ჯგუფიც შევიპყარითო. მე დავინტერესდი მენახა. შემომიყვანეს ცხრა თუ ათი კაცი, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი ბიჭი, ყველას ტომრები ჰქონდათ აკიდებული ზურგზე. ტომრებიდან გადმოვაყრევინეთ, აღმოჩნდა ნახმარი ტანსაცმელი, ნახმარი ფეხსაცმელი, წინდები, საოჯახო ნივთები, დანაჩანგალი, კოვზები, სპილენძის ქვაბები, ჯამ-ჭურჭელი და ასე შემდეგ. იმ ახალგაზრდა ბიჭის პატრონები მოვაძებნინე და ის არასრულწლოვანი ბიჭი დარიგების და ჭკუის სწავლების შემდეგ, ხელწერილ ქვეშ გადავეცით მის პატრონებს, ხოლო დანარჩენები გადავეცით გამოსაძიებლად.

ი. ტალახაძე — თქვენ ცრუობთ, მაგრე არ იყო, თქვენ ისინი დახვრიტეთ.

გრიგოლ გიორგაძე — თქვენ რატომ მიჯავრდებით, თქვენ ხომ იქ არ ყოფილხართ.

ი. ტალახაძე — მე ძალიან კარგად ვიცი, რაც მოხდა. თქვენ სტყუით.

გრიგოლ გიორგაძე — მომითმინეთ, — თვალები ხელით მოიჩრდილა, დააკვირდა ი. ტალახაძეს, ჩამოილო ხელები და უთხრა — შევმცდარვარ, მაპატიეთ, ჯლვადგინე მეხსიერებაში — ის არასრულწლოვანი ბიჭი ტომარა აკიდებული ნაძარცვი ნივთებით რომ შემოიყვანეს ჩემთან, თქვენ იყავით.

გაისმა ტაშის გრიალი, ობსტრუქციისათვის მოყვანილი ხალხის უმრავლესობა ჯერ ფარულად და შემდეგ აშკარად ჩვენთან ერთად ტაშს უკრავდა მას.

გრიგოლ გიორგაძის დამაჯერებლად ნათქვამმა სიმართლემ, მისმა თავგანწირვამ ზნეობრივად დაამარცხა მრავალი ათასი ადამიანის სისხლით გაულენთილი, ძალაუფლებით და იარაღით აღჭურვილი ილარიონ ილარიონის ძე (ვალიკო) ტალახაძე და აღტაცებული დატოვა მსმენელი და ამბის გამგებნიც.

შემდგომში გრიგოლ გიორგაძე, ისევე როგორც მრავალი ქართველი ინტელიგენტი, შეეწირა მტარვალთა თარეშს.

ახლანდელი მუსიკალური კომედიის თეატრის შენობის ძველი დარბაზი (გადაკეთებამდე), საღამოა, ისევ ხალხმრავლობაა, ჩვეულებისამებრ მოყვანილია ობსტრუქციისათვის ხალხი. ისინი პარტერში სხედან.

ი. ტალახაძე — დამცველთა კოლეგიის წევრი იოსებ (ოსიკო) მაჭავარიანი ტრიბუნაზე.

ოსიკო მაჭავარიანმა იამბო თავისი ბიოგრაფია — ვიყავი საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრი და ერთ-ერთი ლიდერთაგანი, ახლა უპარტიო, ვმუშაობ დამცველთა კოლეგიის წევრად.

ი. ტალახაძე — თქვენ სოციალიზმი და კომუნიზმი არ გწამთ, თქვენ ჩვენი მტერი ყოფილხართ, არა?

ოსიკო მაჭავარიანი — არა, მე არავისი მტერი არ ვარ და არც ვყოფილვარ, ეს ჩემი პოლიტიკური მრწამსი იყო და არის. ბოლშევიკები და სოციალისტები ხალხს პირდებიან, რომ ააშენებთ სოციალიზმს — კომუნიზმს, რაც მე მიწიერ სამოთხედ მიმაჩნია. გიმნაზიაში ჩვენ გვასწავლიდნენ სალვთო სჯულს, გვეუბნებოდნენ, რომ ზეცაში არის სამოთხე და ჯოჯოხეთი, სადაც გარდაცვალების შემდეგ მიდის ადამიანის სული. მე არც ზეციური სამოთხის არსებობა მჯეროდა და არც მიწიურის მჯერა, რომელსაც თქვენ, სოციალისტები ასე გულუხვად ჰპირდებით ხალხს. მეც ჩემი შრომით თითო აგური მომაქვს თქვენ მშენებლობაზე. მიუხედავად ყველა ამისა, მე თქვენ დიდ ხალხად მიმაჩნიხართ.

ი. ტალახაძე — საკვირველია, ჩვენი არ გჯერათ, სოციალიზმი და კომუნიზმი განუხორციელებლად მიგაჩნიათ და ჩვენ მაინც დიდ ხალხად გვთვლით? ეს როგორ?

ოსიკო მაჭავარიანი — დიახ, დიდ ხალხად მიმაჩნიხართ იმიტომ, რომ თუ თქვენ ააშენებთ სოციალიზმ-კომუნიზმს, რაც მე მიწიერ სამოთხედ მიმაჩნია, მე დავიჩოქებ თქვენს წინაშე და ბოდიშს მოგიხდით ჩემი უგუნურებისა და კადნიერებისათვის. მაგრამ თუ ვერ ააშენეთ, მაშინაც დიდი ხალხი ხართ.

ი. ტალახაძე — მაშინ რატომღა?

ოსიკო მაჭავარიანი — მაშინ იმიტომ, რომ კაცობრიობას ერთხელ და სამუდამოდ დაუმტკიცებთ, რომ სოციალიზმი და კომუნიზმი აბსურდია და უტოპიაა.

გაისმა ტაშის გრიალი. ტაშს უკრავდა დამსწრე საზოგადოება და ობსტრუქციისათვის მოყვანილ პირთა უმრავლესობაც. ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ხანდაზმულ ქართველ პატრიოტს ოსიკო მაჭავარიანს ნათქვამი ძვირად დაუხვეს, ჯალათებმა არ აკმარეს სულიერი და ფიზიკური ტანჯვა და ისიც, სხვა მრავალ ქართველთან ერთად, დახვრიტეს.

საქართველოს სსრ დამცველთა კოლეგიაში იყვნენ სხვა და სხვა ეროვნების პირნი. ქართველებს გარდა — სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, პოლონელები და სხვა. არავითარ ეროვნულ შუღლს ადგილი არ ჰქონია. ისინი სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიების წევრები იყვნენ.

ნათქვამია, ყველა ტრაგედიას კომედია მოსდევსო. აქაც ასე მოხდა.

უმაღლესი სასამართლოს დიდი დარბაზი. საღამოა, ჩვეულებრივი ხალხმრავლობაა.

დამცველთა კოლეგიაში იყო ნიკო მაჭავარიანი, მეტად უპრეტენზიო, თავმდაბალი, პატიოსნებით აღსავსე ადამიანი.

ი. ტალახაძე — დამცველთა კოლეგიის წევრი ნიკოლოზ მაჭავარიანი ტრიბუნაზე.

ნიკო მაჭავარიანი — იამბო თავისი ბიოგრაფია. — იმპერატორ ნიკოლოზ მეორის მეფობის დროს ვმუშაობდი ნახიჩევანის მხარეში საექციო სამმართველოს მუშაკად. მოვიდნენ ჩემთან ადგილობრივი მცხოვრებნი, რამდენიმე კაცი და მკითხეს, შენ ნიკოლოზ მეორის მომხრე ხარ თუ არაო. მე ვუპასუხე არ ვარ მისი მომხრე-თქო. მაშინ მითხრეს, შემოდი ჩვენს დაშნაკთა პარტიაში, ჩვენ გვინდა ნიკოლოზის დამხობაო. სხვა პარტია იქ იყო თუ არა, არ ვიცი. მეც უთხარი, თანახმა ვარ, ჩამწერეთ-თქო. ჩამწერეს. მე არც ერთ კრებას არ დავსწრებივარ, საწევრო გადასახადი არ შემიტანია, პარტიული ბილეთი არ მიმიღია, სიაში კი ვეწერე და ალბათ ახლაც ვწერივარ.

ი. ტალახაძე — გადიხარხარა — ამდენი სომეხი გვყავს. ზოგი კადეტია, ზოგი ესერია, ზოგი ფედერალისტია და ვერც ერთი დაშნაკი ვერ აღმოვაჩინეთ. მხოლოდ ერთი აღმოჩნდა დაშნაკი, სომხეთის ეროვნული პარტიის წევრი და ისიც ქართველი.

მთელი დარბაზი ხარხარებდა.

კიდევ მრავალი ეპიზოდის გახსენება შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობ, მოყვანილიც საკმარისია გამწმენდთა და განსაწმენდთა ზნეობისა და სხვა ადამიანურ თვისებათა შესადარებლად.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის წმენდაზე გამოსვლის შემდეგ, ა. გ.-ს, თითქოს შეთანხმდნენო, არც ერთი ადვოკატი არ ესალმებოდა, ხმას არ სცემდა და, ასე ვთქვათ, უსიტყვო ბოიკოტს უცხადებდა:

ა. გ. წავიდა დამცველთა კოლეგიიდან. იგი შეიფარა მისმა მბრძანებელმა ი. ტალახაძემ და სამუშაოდ თავისთან მოაწყო პროკურატურაში.

მოვლენებს წინ გავუსწრებ და მოგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე შემხვდა ადვოკატი ქალი ო. რ., რომელმაც მთხოვა შევხვლიყავი მასთან და მივხმარებოდი საჩივრის გასწორებაში. შევედით, კედელთან მიდგმულ მაგიდასთან დავჯექი და საჩივარს ვასწორებდი. უეცრად შემოვიდა ა. გ. თურმე ნახვამი იყო. არც გამიხედია მისკენ და არც მივსალმებივარ. დავამთავრე მუშაობა და დავაპირე წა-

(დასარული მე-4 გვ.)

ბიბლიოთეკა



ბაგრატის ტაძარი. თემურ ჯავახაძის ფოტო.

# ახალი ალმანახი— ახალი სახელი

ამ დღეებში ქართველმა მკითხველებმა მიიღეს საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ სულ ახლახან დაარსებული ალმანახ „ენგურის“ (მთავარი რედაქტორი ნოდარი ბართაია) პირველი ნომერი, რომელიც, როგორც ეს ხ. ბერულავას შესავალ წერილში აღნიშნული, „ზუგდიდის რაიონთან ერთად თანაბრად ეკუთვნის სამეგრელოსა და სვანეთის ყველა რაიონს, უფრო ზუსტად „სრულიად საქართველოს“. ამჟამად ჩვენ არ ვაპირებთ ამ საინტერესო ალმანახის საგულდაგულო განხილვას. გვინდა მკითხველებს გავუზიაროთ შთაბეჭდილება ლამზირა ფირცხალავას აქ გამოქვეყნებული, სიახლით გაჯერებული, ლექსების თაობაზე.

არ ვიცნობ ლამზირა ფირცხალავას, არ ვიცი სად მოღვაწეობს და რას აკეთებს, მაგრამ ალმანახ „ენგურში“ დაბეჭდილი მისი ლირიკული ლექსები რომ წავიკითხე, გაოცებული დავრჩი. პოეტი ქალის შინაგანი განცდები, მხატვრული ხედვის რაკურსები, მოულოდნელი, ცოცხალი შედარებები და მეტაფორები უდაოდ იმსახურებენ ყურადღებას. დავაკვირდეთ პოეტის ნათქვამ სტრიქონებს:

წუხელ სიზმარში მინდვრად
მეძინა,
მეცვა ფოფინა ღრუბლის
ქათიბი.
გახურებული თივა მეყარა
შენი ნათიბი!

აქ ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი და ლირიკული გმირის სულიერი განწყობილება მისადაგებულია. ეს სისადავე და უბრალოება პოეტურ ფასეულობასთანაა წილნაყარი. წავიკითხოთ მეორე ლირიკული ლექსი:

ვხედავ: ტოტებში სიო აჩქამდა,
გზაზე ბიჭუნა ნახირს მოდენის
და მირიადი შუქის ლაციცით
მოაქვს სამყარო ცრემლისოდენი.
არ იცის ბიჭმა გზაზე რა ხდება,
აქვეა, მისი პატარა შუკა,
მოაქვს სამყარო
ცრემლისოდენი,
მოაქვს და მშვიდად სალამურს
უკრავს.

სამშობლოს სიყვარულის წარმოსახვა განრიდებულია ტრაფარეტებსა და შტამპებს. აქ მხოლოდ ქალური სინაზე და სისადავე, ლირიზმია ჩაღვრილი. „მე შენითა ვარ, მაინც მამულო! შანდალში შენი ლოცვა მიტირის, ახე გადავა ეს ერთი თოვაც, ატკაცუნდება ლექსი კვირტივით“.

ნაღდი პოეტური ხილვაა — „შეთქვირებულა ფოთლები ლელვის, სადღაც ახლოა ალბათ ზაფხული“. შეთქვირებული ზაფხულის დახატვის სურვილი თითქოსდა ფატალურია პოეტისათვის:

შემაძლებინე ეს დღე დავხატო,
ავისხა მკერდზე ნამი მძივებად,
თორემ წამოჰკრეფს მაისი
სხივებს, —
წავა... მთებს მიღმა ჩაქშინება.

შთამბეჭდავია აკაციის ბედთან ლირიკული გმირის სულიერი თანაზიარობის ასეთი პოეტური წარმოსახვა:

ჩემო ნაღვლიანო მეგობარო,
ცამდე აფოფრილო აკაცია,
მოვლენ ერთგული ფუტკრები
და
მხრებზე ვარსკვლავებს
დაგაცრიან...
ეჰ, ჩემო ნაღვლიანო მეგობარო,
ცამდე აფოფრილო აკაცია.

პოეტის ლირიკული ხილვა („რა პატარაა წუთისოფელი, რა ძლიერ ვგავართ უმწეო ფოთლებს“) უფრო და უფრო მუხტავს მკითხველის განწყობილებას: „დაგროვდება სულშიც ღრუბლის ცრემლი, დასასრული მოთმინების არ ჩანს. მოაბოტებს ფოთოლ-ფოთოლ ქარი, მოაქვს მხრებით ტყის ქობა და ფარჩა“. ანდა:

შეგრჩება რაღაცა გასამხელი,
რაღაც მწიფე და მოწეული,
ცაში იტირებენ ვარსკვლავები
ქარში დაირწევა ბროწეული.

ბოლო ლექსი („ჰიაკოკონა“) შთამბეჭდავია თავისი სისადავითა და მოულოდნელი პოეტური გარდასახვებით, ლირიკული გმირის უფაქიზესი სულიერი წიაღსვლებითა და მინიშნებებით, მაგრამ ამ მცირე წერილში მის „განჩხრეკას“ სჯობს თვად მკითხველმა მოიძიოს ალმანახ „ენგურის“ პირველი ნომერი და თავისი თვალით წაიკითხოს ლამზირა ფირცხალავას ეს ლექსი.

**აპოლონ ცანავა**

(დასასრული)

მოხვლა. მაგრამ დიახახლისმა მაგიდასთან მიმიპატიჟა, ჩავვარდი უხერხულ მდგომარეობაში. მივუჯექი სუფრას. ა. გ.-მ მომმართა „მე კარგად ვიცი, რომ კოლეგებს, ყველას გძულვართ, ეს კარგად მესმის, მაგრამ რა უნდა მექნა, 1924 წელს მამა და ძმა დამიხვრიტეს, მეშინოდა და რასაც მავალებდნენ, ვასრულებდით“.

ვუპასუხე, რომ სწორედ 1924 წელს მამაჩემი, 54 წლისა, იურისტი, ადრე მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე, ბოლოს — დამცველი, შეიპყრეს ჩეკისტებმა და აწამეს, ძვლებიც კი დაუმტვრიეს, შემდეგ ხაკაცით გამოიყვანეს და დახვრიტეს. რაც კი გაგვაჩნდა, წაგვართვეს და იძულებული ვიყავი, თელავიდან გამოვქცეულიყავი, თექვსმეტი წლის ბიჭს ცხენოსნები დამადევნეს, მაინც გამოვეპარე. თბილისში უმაღლესი სასამართლოს შენობაში სამუშაოს საძიებლად მისული თელავის მაზრის ჩეკას სამეულის თავმჯდომარემ, ისეთმავე ჯალათმა, როგორიც ი. ტალახაძე ბრძანდებოდა, შალვა მათიკაშვილმა თვითონ დამაპატიმრა, გამოაცხადა, ჩემს მოხაკლავად არის მოსულიო, შემდეგ ცალკე ოთახში შემიყვანა, მკაცრად დამკითხა, შეადგინა ჩემი დაკითხვის ყალბი ოქმი, დამიდო წინ და მითხრა, მოაწერე ხელიო. თან მკითხა, რატომ არ გინდათ ჩვენთან ითანამშრომლოთო? ვუპასუხე, რომ სწორედ სამუშაოს საშოვნელად ვიყავი ამ შენობაში მისული. მითხრა, თავს ნუ იბავშვებთ, თქვენ კარგად გესმით, თუ რა სამუშაოსაც ვგულისხმობთ. ხომ იცით, კარგ პირობებს შეგიქმნითო. უკვე აივსო მოთმინების ფიალა. დავხიე ჩემი დაკითხვის ოქმი, მივაყარე სახეში, წამოვხტი გახარტყმელად, მივაძახე, მაგისთანა ადგილები შეინახეთ თქვენისთანა გარეწარისა და ჯალათებისათვის-მეთქი. მაგრამ ამ დროს ზურგიდან გამაკავა ანდრო ახმეტელმა, რომელსაც მოეყვანია უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ალექსანდრე კაჭარავა და რესპუბლიკის პროკურორი იაკობ (იაშა) ვარძიელი. მათ მიხსნეს შალვა მათიკაშვილის კლანჭებიდან. თექვსმეტი წლის ბიჭს მოსავლელი დამრჩა ცხრა წლის და და გამზრდელი. შემწე არავინ მყავდა. ხშირად რამდენიმე დღე ლუკმა პური არ მიჭამია, მშიერი დავდიოდი, სამუშაოს ვეძებდი, მაგრამ შენებრ არ გავჯაშუშებულვარ მეთქი, ვუთხარი ა. გ.-ს.

ა. გ.-მ ჯერ თავის მართლება დაიწყო, შემდეგ ტირილი აუტყდა და ბოლოს აქვითინდა. მე კი წამოვედი.

მრავალი წლის შემდეგ ა. გ. დაბრუნდა დამცველთა კოლეგიაში, რომლის შემადგენლობა ძლიერ შეცვლილი იყო რეპრესიების გამო. მერე ავად გახდა შიშის შეგრძნებით, ჩაიკეტა შინ და გარეთ აღარ გამოდიოდა, სტუმრადაც არავის იღებდა, და ასეთ ვითარებაში მოკვდა.

ა. გ.-ს მაგვარი და ზოგი მასზე უარესიც ირიცხებოდა დამცველთა კოლეგიაში, მაგრამ უმეტესობა „გაშიფრული“ გვყავდა და ვერიდებოდით. ზოგი მათგანი დღესაც ცოცხალია.

შიში ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ თავისი პირადი ინტერესებისათვის ადამიანური ღირსების შეწირვა, თავმოყვარეობის გაცვლა თვითმოყვარეობაზე ჩემთვის დღემდე აუხსნელი რჩება.

დადგა 1936 წლის მეორე ნახევარი. ბოლშევიკებმა „გამოიგონეს“ მავნებლები, ხალხის მტრები, ტროცკისტები, დაიწყო ხალხის მასობრივი დაპატიმრება, საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნა და დახვრეტები. მომრავლდა ისედაც საკმაოდ გავრცელებული დაბეზღებანი, ენის მიტანა, მიყურადება, თვალთვალი. ხვრეტდნენ ადამიანებს ლამაზი ცოლის გამო, კარგი ცხენის გამო, კარგი ბინის გამო. სრული განუკითხაობა სუფევდა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

ბოლშევიკები არ ინდობდნენ არც თავიანთ პარტიულებს და არც უპარტიოებს, არ ინდობდნენ მათს სამსახურში მყოფ ჯალათებსაც. იხრისებოდა უპარტიო მასა, ზოგჯერ ისეთი გლეხიც დაუხვრეტიათ რომელმაც არც კი იცოდა, ტროცკი ადამიანი იყო თუ რაიმე საგანი.

ციხეებთან პატიმრების პატრონები ქუჩაში ათევდნენ ღამეებს იმისათვის, რომ ამბავი გაეგოთ და გადაეცათ ფული. ფულს იღებდნენ დიდი ხნის წინ დახვრეტილთა სახელზეც, ხშირი იყო პასუხი — გადასახლებულია მიმოწერის აკრძალვითო, რეპრესირებულთა ცოლებსაც არ ინდობდნენ, უპატრონოდ დარჩენილ მოხუცებს და ბავშვებს ბინებიდან ასახლებდნენ სადღაც სარდაფებში და საკუჭნაოებში.

ახლობლებიდან თუ ვინმე გადარჩა, რეპრესირებულთა ოჯახების დახმარება არ შეეძლოთ იმავე შიშის ზეგავლენით.

სამწუხაროდ, საქართველოს ადვოკატურის არქივი მოსპეს და ამიტომ სრული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ 1936 წლის მეორე ნახევრიდან 1937 წელს და 1938 წლის დასაწყისში ბოლშევიკთა ჯალათებმა გაჟლიტეს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა 25%-ზე მეტი მაღალკვალიფიციური და განათლებული პირნი, მათ შორის: ოსიკო ბარათაშვილი, ოსიკო მაჭავარიანი, გრიგოლ გიორგაძე, ძმები შოთა და სამსონ დადიანები, ანდრო ბებურიშვილი, მელქისედეკ კანდელაკი, მიშა ლვამიჩავა, ილიკო თუთბერიძე, ჯანსულ ფურცელაძე, ტოგო ხოშტარია, ჟორა ხომასურიძე, ვალიკო რობაქიძე, პლატონ ლომია, შურა კობეშავიძე, ჟორა ჩაჩავა, გოგი ზარულავა... ხოლო პეტრე ქავთარაძე და ვანო გუბელაძე საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. პეტრე ქავთარაძე დააპატიმრეს, როგორც „მავნებლის“ სერგო ქავთარაძის ძმა. სერგო ქავთარაძე შემდეგ გაათავისუფლეს და ისევ დიპლომატიურ სამუშაოზე დააბრუნეს, ხოლო პეტრე ქავთარაძე ბანაკში, რეპრესირებული ექიმის ტერეზა სახოკიას თვალწინ შიმშილისაგან გარდაიცვალა. ვანო გუბელაძე დაბრუნდა დასნეულებული და დიდხანს აღარ უცხოვრია.

დახვრეტას ვერ გადარჩნენ, შალვა მათიკაშვილი, ვასო ქურდაძე და სხვა მრავალი ვინც ადრე თვითონ ხვრეტდა სხვებს.

აღსრულდა მამაჩემის ნიკო რაზმაძის სიტყვები, რომ „ბოლშევიკები ისეთი მგლები არიან, რომ ერთმანეთს გამოღადრავენ ყელსო“.

ბოლშევიკთა ხელმძღვანელებმა საქართველოს ადვოკატურა აქციეს სხვა და სხვა დაწესებულებებიდან დათხოვნილ იურისტთა თავშესაფარად, რამაც ბევრად განაპირობა ადვოკატურაში პროფესიონალიზმისა და ზნეობრიობის საგრძნობი დაქვეითება.

საბჭოთა და პარტიული აპარატის სრული კორუფციის პირობებში მწარე ენის პატრონები არც საქართველოს ადვოკატურის ხელმძღვანელებს გამორიცხავდნენ საერთო სენისაგან.

ქართველ ერს თავისი ისტორიული წარსულით, მის კულტურას, რაინდობას, თავმოყვარეობას და ეროვნულ შემართებას არ ეკადრება „კომუნისტურ მორალზე“ აღზრდილთა მიბაძვა. საქართველოს დამოუკიდებლობა თითოეულ ჩვენგანს გვავალებს აღვკვეთოთ ეს სასტიკი სენი, მოვსპოთ შური, მტრობა, ქიშპობა, თავხედობა, თავმოყვარეობისა და ადამიანური ღირსების დაკარგვა; აღვადგინოთ ჭეშმარიტად ქართული სულის ზეობა, მტკიცედ გავერთიანდეთ ეროვნული დროშის ქვეშ, მეტი ცოდნის მოპოვებით, მეტი შემოქმედებითი შრომით, ფიზიკური და სულიერი გაჯანსაღებით, ყოველმხრივ გავაძლიეროთ ჩვენი ერი სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად და მომავალი თაობებისათვის ბედნიერი საქართველოს ჩასაბარებლად.



ახოტის სათიბები. ვ. ქისტაურის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისა ქაძოევი

(ინგუშეთი)

# თბილისის ღამე

ეძღვნება ჩემი მეგობრის —
მერაბ კოსტავას ხსოვნას

თბილისის ცაზე ქარიშხალი
შავ ღრუბლებს გრაგნის,
ჰქუხს, გრგვინავს, ელავს, —
თითქოს ღმერთი ელვის ხმალს იქნევს!..
ღმერთი და ხმალი? —
შეიცვალა ქარგაც და თარგიც,
იქნებ (ვინ იცის!..), იქნებ ღმერთიც...
იქნებ, ო, — იქნებ!..

ღამეა ახლა...
სძინავს თბილისს მშფოთვარე ძილით,
ხოლო ძილის დროს
(ძველთაგანვე ასეა ბრძნილი!), —

სხეულს დროებით ტოვებს სული
და ილტვის ცადა...
ეს, უფლის ნებით, ხდება ჩუმად,
წყნარად და სადად!..

...ღია ფანჯრიდან მე გავყურებ
მთაწმინდის არეს, —
ახლა, ამ წუთში,
არ დაჰნათის მთაწმინდას მთვარე...

მე მაინც ვხედავ,
ნათლად ვხედავ მერაბის საფლავს, —
სული კი... სერ-სერ მიჰფრიალებს
ნისლოვან აფრად!..

...კვლავ ბრძოლის ჟინი არ ასვენებს —
მღვიძარედ მძინარს,
დახედავს მთვარე...
მერე ისევ ღრუბლებში შედის!..
ვით ხვატში მინდორს გადახრუკულს
შხაპუნა წვიმა —
სანთლის წვეთებად ელვენთება
ცრემლები დედის!..

...მამადავითზე სისხლის ორთქლი
შიშინებს მძლავრად, —
თვალს გისწორებენ ძმანნი შენნი
ამაყი მზერით!..
მთვარე არა სჩანს,
მაგრამ მზეი ამოვა ხვალ-ზეგ
და მფეთქავ გულზე
ჩინჩხალ სხივებს
დაგაყრის მზეი!..

...ღამეა ახლა!..
სძინავს თბილისს
მშფოთვარე ძილით, —
მთაწმინდის თავზე
ცა იქუფრება...
ბორგავს და გმინავს საქართველო:
უნდა ჰშვას შვილი,
უნდა ჰშვას შვილი, —
თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა!...

თარგმნა გივი ჭნელაძე

# „ალზევანს წავალ...“

ვინმემ არ იფიქროს, ხალხური სიმღერების შესწავლას ვაპირებდე და ეს სათაური იმიტომ ავირჩიე. არა, მე რომ საკითხის დაყენებას ვაპირებ, ის მწერლობას ეხება, მისი საქმეა.

საკითხი კი ამგვარია. საჭიროა თუ არა, იქმნებოდეს ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ადამიანის შრომას, მასთან დაკავშირებულ გარემოებებს უკავშირდება? ვიცი, აზრი ორად გაიყოფა. ერთნი იტყვიან, გვეყო, რაც „ახ, ტრაქტორო მე შენს გამჭედს...“ გვამღერეს, ის დრო წავიდა და აღარ დაბრუნდებაო. კი ბატონო, წავიდა და აღარ დაბრუნდება, ნურც დაბრუნებულა. მაგრამ ამის მთქმელს მინდა ერთი შენიშვნით მივმართო: სიამოვნებით ისმენს თუ არა ის „ურმულს“ ან „ნამგალო, ჩემო რკინაოს?“ დარწმუნებული ვარ, რომ ისმენს, რადგან ამ სიმღერებმა გაუძლო დროის გამოცდას, ხალხი მათ დღესაც მღერის და საკონცერტო დარბაზებშიც ხშირად გაისმის მათი ჰანგები.

ახლა ვიკითხოთ, რაშია საქმე, „ახ ტრაქტორო“ რატომ აღმოჩნდა უდღეური, ხოლო „ნამგალო, ჩემო რკინაო“ დღეგრძელი? იმიტომ, რომ პირველი პლაკატური იყო, ყალბი, პარტიის ლოზუნგის გადამღერება, მეორე კი — ალალი, მშრომელი კაცის ნაგრძნობისა და განცდილის ამონამღერი. ასევე ითქმის „ალზევანს წავალ მარილზეს“ შესახებაც, რადგან მასში წინა პლანზე ადამიანია, მეურმე იმაზე ოცნებობს, შინ რომ დავბრუნდები, „ჯერ დედას გადავეხვევი, მერე შვილსა და ცოლსაო...“ ეს მისი ფიქრია. მაგრამ ლირიზმს თავი რომ დავანებოთ და წინა ორ სიმღერას მივუბრუნდეთ, დავინახავთ, რომ ორივეში შრომითი იარაღია მთავარი — ერთგან-ტრაქტორი, მეორეგან — ნამგალი. ნამგალზე ნამღერი მოგვწონს, ტრაქტორზე კი არა. თავისთავად რა დააშავა ტრაქტორმა, მაგრამ ამ სიმღერაში თვითონ ლექსია ყალბი, ნაძალადევი, პლაკატისა და ლოზუნგის გარითმვაა, ამიტომ განგვიზიდავს. ყალბსა და არაგულწრფელს გასავალი არა აქვს. მთავარი ის კი არაა, შრომას თუ მის იარაღს უმღერის პოეტი ან მომღერალი, არამედ ის, თუ რა ღირსებისაა ლექსი, როგორ იქცა იგი სიმღერად. ვფიქრობ, ეს სადავო არ არის.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ მხატვრულ ნაწარმოებს ადამიანზე ზემოქმედების არავითარი ძალა არ შესწევს, ეს ძირშივე მცდარი აზრია და იგი ცხოვრების უცოდინარობიდან მომდინარეობს. თუ ამ აზრს რომელიმე მწერალი ადგას, მაშინ იგი თვითმკვლელობას სჩადის, თავისი არსებობის გამართლებას საეჭვოს ხდის. ყოველ მწერალს სწამს, რომ ლიტერატურას უდიდესი აღმზრდელობითი ძალა შესწევს, თუ ის ნამდვილი ლიტერატურაა. „ვეფხისტყაოსანი“ რომ ავიღოთ, მარტო იგი მთელი რვა საუკუნის მანძილზე ზრდის ქართველ ხალხს, აზიარებს სიბრძნეს და მაღალ ზნეობას, სიყვარულსა და მეგობრობას, პატრიოტიზმსა და მამაცობას, მაღალ იდეებს...

სიმღერისა და სხარტად ნათქვამი ლექსის ან შაირის როლი ადამიანის საქმიანობაში ძალზე მნიშვნელოვანი რომ არის, ეს ამ სტრიქონების ავტორმა არა მარტო წიგნებიდან იცის, არამედ საკუთარი გამოცდილებიდანაც. ბავშვობა სოფელში გავატარე. რომ წამოვიზარდე, მთელი ზაფხულის განმავლობაში კოლმეურნეობაში ვმუშაობდი უფროსებთან ერთად. რა დამავიწყებს იმ მთვარიან ღამეებს, როცა მონურ შრომაში, სული რომ ამოსვლაზეა, ყოველგვარი ძალა გამოცლაზეა, სადღაც შორიდან, სხვა რომელიმე ბრიგადის რომელიმე ნაკვეთიდან გაისმის ჩვენსავით შრომით გამწარებული კაცის მოულოდნელ-ამოძახილი: „ჰე, ჰე, ჰე, ჰე...“ იმის მომასწავებელია, იმის ნიშანია, რომ ჩვენგანაც ვინმემ უნდა უპასუხოს. პასუხიც არ აყოვნებს: „ჰო, ჰო, ჰო, ჰო...“ ამაზე იქიდან იკითხავდნენ: „შაირი ვთქვათ?“ აქედან უპასუხებდნენ „ვთქვათ, ვთქვათ!“ და დაიწყებოდა, რა დაიწყებოდა... ვინ უფრო „მაგარს“ იტყოდა, ვინ ვის აჯობებდა... ეს წელმოწყვეტილი, ღამის შრომისაგან განაწამები ადამიანები, ისმენდნენ ამ გაშაირებას და შვებას გრძნობდნენ, ხარხარებდნენ, დაღლა და ძილი სადღაც გაიძურწებოდა, გავხალისდებოდით და უფრო მონდომებით განვაგრძობდით მუშაობას. თუ იმ უბრალო შაირებს, რომლებშიც პილპილი და ნატურალისტური პასუხებიც უხვად იყო, ასეთი ძალა შესწევდა, დაქანცულობას ხსნიდა, მაღალხარისხოვან ლექსს ან სიმღერას ხომ გაცილებით მეტი ძალა შესწევს.

კარგი სიმღერა, კარგი მოხწრებული სიტყვა, თუნდაც შაირი, შრომას რომ ახალისებს ქართველი ხალხის მიერ დიდი ხნის წინათ არის დადასტურებული. ამაზე მეტყველებს არაერთი ხალხური სიმღერა, შრომის პროცესებს რომ უკავშირდება. ასეთებია „[illegible]“, „ნადური“, „ო, გიდელი“, „ნამგალო“... და მრავალი სხვა.

რატომ ამოვატივტივე ახლა ეს საკითხი? იმიტომ ამოვატივტივე, რომ ახალი დრო დაგვიდგა და მას ახლებურად უნდა ვემსახუროთ. დროა დავამთავროთ წუწუნი, რომ ქართველი კაცი შრომას გადაეჩვია, გაზარმაცდა, იოლად შრომას მიეჩვიაო. რას მოგვცემს ასეთი მოთქმა და ვიშვიში? ამას ისა სჯობს, დავძებნოთ გზები და საშუალებები იმისა, რომ ჩვენი ხალხი კვლავაც შრომობდეს, როგორც ჩვენი წინაპრები, ვინც რქაწითელი გამოიყვანა და მოამრავლა (რქაწითელს იმიტომ გამოვყოფ, რომ იგი ყველაზე შრომატევადია), ვინც შიშველი ხელით ხიდებს აშენებდა და ვისაც გზები გაჰყავდა, ვინც ციხე-გალავნებსა და ტაძრებს აგებდა, ვინც ლითონს სჭედდა, ვისაც დოლის პური მოჰყავდა... ჩვენ მათი ჩამომავალნი ვართ, ჩვენში მათი გენებია და ეს უნდა ვიცოდეთ. მტერი იმის მტერია, რომ დაპყრობილი ხალხი გადააგვაროს, რათა მასზე ბატონობა გააიოლოს. ახლა ხომ ვიღვიძებთ, ხომ ვთავისუფლდებით. ამიტომ საკუთარი მარჯვენით უნდა შევქმნათ ჩვენი სიმდიდრე და დოვლათი, ამიერიდან სხვისი ხელისშემყურენი ვეღარ ვიქნებით, ან უშრომელად ვინ რას მოგვართმევს ხონჩით.

ლექსსა და სიმღერას დიდი ძალა აქვს. უნდა შევქმნათ ისეთი ლექსები და სიმღერები, რომლებიც თავისუფალ ქართველს თავისუფალ შრომაში გვერდში ამოუდგება, აღმაფრენას შემატებს, ხალისით აშრომებს.

თავის დროზე პოეტმა რაფიელ ერისთავმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა შექმნა გაჭირვებული გლეხობის ყოფის ამსახველი ლექსები. მათ შორის, ჩემი აზრით, გამოირჩევა „თინიას მამითადი“. უდავოა, რომ ეს ლექსი ინტელექტუალთათვის არაა დაწერილი, იგი გლეხის ყოფას ასახავს, კერძოდ, იმ მამითადს, როცა ახლობელ-მეზობლები გაჭირვებულ თინიას შრომაში ეხმარებოდნენ და ამით თინია ილხენს. ეს ლექსი შესაძლოა, ვერც პოეტური აღმოჩენებით დაიკვეხნის, მაგრამ ნახეთ, რა გულითადია, რა თბილია... იგი შრომას უკავშირდება, მაგრამ მასში გადატეხილია სხვა სხივი — ადამიანთა გულითადობისა და თანადგომის მშვენიერი, კეთილშობილური თვისება. აბა დავფიქრდეთ, რამდენი თინია გაიხარებდა ამ ლექსით, რამდენს გაახალისებდა იგი, მამითადობის ადათ-წესს როგორ უფრო განამტკიცებდა ჩვენში. ეს კი მშრომელი ადამიანისათვის დიდი შემწეობაა და რატომ უნდა მოვაკლოთ ადამიანებს წახალისებისა თუ გახალისების ასეთი საშუალება?

ვეთანხმები იმათ, ვინც გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ბევრი ქართველი შრომას გადაეჩვია და იოლ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ამ სტრიქონების ავტორს თავისი თვალით უნახავს, რომ სოფელში, ზაფხულშიც კი, როცა ირგვლივ ამდენი სამუშაოა, ახალგაზრდები, ჯანღონით სავსე მამაკაცები ხის ჩრდილში დამსხდარან და ინვალიდთა და პენსიონერთა სათამაშო დომინოს უჭახუნებენ. საიდან აქვთ მათ ამდენი თავისუფალი დრო, როგორ ჩერდებიან უშრომელად, პირდაპირ განსაცვიფრებელია და მეტიც, აღმაშფოთებელიც კი არის. და თუნდაც სწორედ ამიტომაც, რომ უსაქმურობის ჭირი მოგვეძალა, მწერალი გულგრილი არ უნდა დარჩეს, ასეთი „მედომინოები“ თავისი მოხწრებული სიტყვით შრომისკენ უნდა შემოაბრუნოს.

ილია ჭავჭავაძე, „შრომის ახსნის“ იდეას რომ აყენებდა, ბატონზე მიჯაჭვული ყმის შრომის განთავისუფლებას რომ მოითხოვდა, იმას კი არ გულისხმობდა, ადამიანმა შრომაზე ხელი უნდა აიღოსო, არამედ თავისუფალი შრომის პრინციპს წამოჭრიდა.

„გუთნის დედაში“ ილიამ საოცარი აზრი ჩადო: გუთნის დედას შრომა კი არ ეზარება, შრომის გამო კი არ გამოთქვამს უკმაყოფილებას, არამედ უსამართლობის გამოა გამწარებული. გუთნის დედამ იცის, რომ ის უნდა შრომობდეს, ეს არის მისი მოვალეობა, მაგრამ უსამართლობა მას სულს არ უნდა უხუთავდეს, სარეველა ბალახი თესლის ამოსვლას ხელს არ უნდა უშლიდეს, კაცი მართლაც სიტყვას გულში არ უნდა იკლავდეს. ეს უსამართლობა რომ არა, გუთნის დედა სიამოვნებით იშრომებდა... ეს სწორად უნდა გავიაზროთ და ახალ, თავისუფალ საქართველოში შრომა პატივისა და პატრიოტიზმის საქმედ ვაქციოთ. ჩვენი დიდი წინაპარი შოთა რუსთაველი მშვენივრად მიჯნავდა სხვადასხვა ხელობის ადამიანთა ადგილს საზოგადოებაში — მეომარი უნდა გულოვნებდესო, ბრძანებს შოთა, ხოლო მუშა მუშაკობდესო. შრომის გარეშე ვერანაირი საზოგადოება ვერ იარსებებს, ხოლო პატიოსანი და თავდადებული შრომით, თუ იქვე თავისუფლებაც და სამართლიანობაც არის, ყველაზე ჩამორჩენილი და ღატაკი საზოგადოებაც კი მოკლე დროში წელში გასწორდება და გაძლიერდება.

ჩვენი წინაპარი მარილის მოსატანად შორეულ ალზევანს რომ მიდიოდა, სხვადიანად მღეროდ გულს აყოლებდა, ნიშა კამეჩსაც ეფერებოდა, რადგან ურემს, რომლის კოფოზე იჯდ ეს კამეჩი ეწეოდა თავისი ქედით მოეფერებოდა, რატომ არ მოეფერებოდა იმ კამეჩს, უღელში რომ იყო შებმული, კაცს ეხმარებოდა, ცხოვრებას უადვილებდა, ლამაზ თვალებსაც აბრიალებდა და ოჯახს ფეხზე აყენებდა.

„ურმულის“ კამეჩი და „ახ, ტრაქტოროს“ ტრაქტორი დანიშნულებით კი არის მსგავსი, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ეს სიმღერები ძირეულად განსხვავებულნი არიან: ერთი ძალზე ადამიანურია, თბილია, უშუალოა, ლირიულია, მეორე კი — ყალბი, პლაკატური, გულგარეთ ნათქვამი, უცხო. ეს უნდა გავითვალისწინოთ, ამას უნდა დავუკვირდეთ, თორემ ლექსისა და სიმღერის შექმნა შრომაზე და მშრომელზე საჭირო და აუცილებელი რომაა, ეს სადავოდ არ უნდა გავხადოთ. ახლა ჩვენმა შრომამ უნდა გამოაჩინოს საქართველო, ქართველი კაცი — ვინა ვართ. რანი ვართ.

თავისუფალი საქართველოსთვის არა მარტო პოლიტიკური თავისუფლება იკმარებს, მას ეკონომიკური ძლიერებაც სჭირდება. ეს კი პატიოსანი და თავდადებული შრომის გარეშე არ მიიღწევა. საჭიროა ქართველი კაცი შრომისკენ მიბრუნდეს, საჭიროა ირწმუნოს, რომ ქვეყნის ხსნა და ბედნიერი მომავალი მის შრომაზეა დამოკიდებული. ეს რწმენა კი ადამიანებს მწერლობამ უნდა ჩაუნერგოს და არა მხოლოდ სასიმღერო ლექსებით, არამედ ლიტერატურის ყველა ჟანრით.

ტარიელ
კვანჭილაშვილი

# მცირე პროზა ანუ ესეისტური ჩანაწერები

## თენგიზ ბუაჩიძე



### გადახრა

ცხადია, მე არ შევუდგები იმ საყოველთაოდ ცნობილი (მაგრამ არა საყოველთაოდ აღიარებული) მტკიცების მეცნიერულ უარყოფას, რომ ფილოსოფიის მთელი ისტორია არის ბრძოლა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის, რომ ფილოსოფიის ძირითადი საკითხია ცნობიერების დამოკიდებულება ყოფიერებისადმი, ზოგადად — სულიერისა და მატერიალურისადმი, რომ მატერია პირველადია, ხოლო ცნობიერება მეორადი.

არც იმაზე დავიწყებ კამათს, რომ თუ ჰეგელი პირველდასაბამად თვლიდა ადამიანის გარეშე არსებულ აბსოლუტურ იდეას, ხოლო შოპენჰაუერი — შეუგნებელ კოსმიურ ნებას, მასი ყოველივე არსებულის ელემენტებად აღიარებდა შეგრძნებას, ბეკონი თვლიდა, რომ ფილოსოფიის ძირითადი საკითხია ბუნების ძალათა დამორჩილება, ხოლო თითქმის ჩვენი თანამედროვე ალბერ კამიუ, გამომდინარე სამყაროს აღქმის საკუთარი მოდელიდან, ამგვარად აყენებდა საკითხს: ღირს კი ამქვეყნად ცხოვრება?!

პროფესიონალებმა იმსჯელონ და იპაექრონ ამ საკითხებზე. საინტერესოა მათი ვარაუდობანი და მტკიცებანი შეცნობადი სამყაროს განვითარების ახალ ეტაპზე.

მე კი ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ ფილოსოფიის ძირითადი საკითხია, გაარკვიოს ადამიანის როლი სამყაროში, ამოხსნას მისი დანიშნულება: რად გაჩნდა მოაზროვნე ადამიანი და რა მისია ეკისრება მას?

რა არის ჩვენი მოვლინების მიზანი?

სულერთია, ვინ მოგვავლინა: ღმერთმა, უგონო თუ გონიერმა კოსმოსმა, ბუნების ევოლუციამ თუ სხვამ.

თუ ამ მთავარი, ამ საწყისი კითხვიდან ამოვალთ, მაშინ, ვამტკიცებ, რომ მთავარია, „პირველადია" ადამიანის ცნობიერება. ის არის ერთადერთი იარაღი, საშუალება და გარანტი დასმულ კითხვაზე ოდესმე პასუხის მიღწევისა.

ცნობიერების გარეშე ადამიანი არ არსებობს.

ცნობიერების გარეშე ადამიანი პირუტყვია, ალჭურვილი მხოლოდ მასში ჩადებული ინსტინქტებით.

ცნობიერების გარეშე ადამიანი ხეა, ქვაა, მთაა, მიწაა, მტვერია, რომელსაც საკუთარი თავის შეცნობა არ შეუძლია.

ამდენად, ადამიანში მ თ ა ვ ა რ ი ა არა მისი ხხეული, ძვალი, ხორცი, მატერია, არამედ ის სული-ცნობიერება, ჯერჯერობით ამ ჰურჭელში რომაა მოთავსებული და იმგვარადაა ორგანიზებული, როგორც ორგანიზებულია (მეცნიერების მომავალი სხვა ჰურჭელსაც შემოგვთავაზებს, ასე—ოცდამეორე საუკუნეში).

ვიცი, რომ ის სული-ცნობიერება მოკვდავი მატერიის — ნერვიული სისტემის, ტვინის უჯრედების, მთელი ნეიროსისტემის — ჯერ აუხსნელი მოქმედების შედეგია. როგორ ხდება ამ შედეგის საოცარი გარდაქმნა აზრად, შეგნებად, მეტყველებად, ქცევად — ჯერ არავინ იცის.

მაგრამ, ვინაიდან ეს პროცესი და მისი შედეგი, რაც მატერიას ადამიანად აქცევს, ცნობიერია, უფრო სწორად, შეცნობადია (ჯერჯერობით გარდაქმნის მექანიკის გამოკლებით) და ადამიანი ცნობიერების გარეშე არ არსებობს, მთავარი ყოფილა ცნობიერება, რაც თავისთავად მოკვდავ მატერიას ადამიანად აქცევს.

ცნობიერება-სულიერება ყოფილა მთავარი, რომელსაც ძალუძს შეიმეცნოს საკუთარი თავი და ოდესმე მიაღწიოს ამ ცნობიერება-აზროვნების ძირითადი საკითხის ახსნას — რა აზრი ჰქონდა მის ქვეყნად გაჩენას, რა აზრი ჰქონდა ადამიანის მოვლინებას სამყაროში?

ვინაიდან ადამიანი დღეს უკვე კონკრეტულად მიადგა გენის საიდუმლოების ამოხსნას (ქრომოსომათა ჯაჭვის განლაგების ინვარიანტულობას) და მასში გენეტიკური ინჟინერიის აქტიური ჩარევის შესაძლებლობას (რაც ამ ორმოცდაათი წლის წინათ საოცარ ფანტასტიკად იქნებოდა მიჩნეული), უმოკლეს ისტორიულ ხანაში (ერთი, ურთნახევარი საუკუნე) ასევე მოხდება ადამიანის ნეიროსისტემაში მიმდინარე მექანიკური პროცესების სულიერებად და ცნობიერებად გარდაქმნის საიდუმლოების ამოცნობაც და მასში „აზროვნებისეული ინჟინერიის" ჩარევის შესაძლებლობის დადგენაც.

საკუთარი თავის შეცნობიდან სამყაროში ადამიანის მისიის შეცნობამდე — ეს გზა ისევე დეტერმინებულია, როგორც გზა პირველყოფილი ადამიანის გონებიდან, ვთქვათ, კანტის გონებამდე.

მაშ რა არის ფილოსოფიის ძირითადი საკითხი?

ახლა რომ ვინმემ კითხვა დამისვას: რატომ ფიქრობთ, რომ სამყაროში მხოლოდ ადამიანია მოაზროვნე არსება და რატომ არ ვარაუდობთ, რომ არიან სხვა ფორმისა და სახის მოაზროვნე არსებანიო? — ვუპასუხებ: ვინაიდან ადამიანი ვარ, მაინტერესებს ადამიანის სულიერი არსებობის პრობლემები, ხოლო თუ სხვა მოაზროვნე არსებანიც არიან, ისინი თვით გადაწყვეტენ ან არ გადაწყვეტენ (ან გადაწყვეტილი აქვთ) თავიანთ პრობლემებს.

თუ ადამიანისათვის მისი არსებობის, მოვლინების და ყოფნის აზრის საკითხი მარად ამოუცნობი დარჩა, ან: თუ ადამიანის, ვითარცა სულიერის, არსებობას ამ ქვეყნად რაიმე მიზანი (აქედან — აზრიც) არა ჰქონია, სამართლიანი ყოფილა ალბერ კამიუს მიერ დასმული კითხვა?

მაშ რა არის ფილოსოფიის ძირითადი საკითხი?

წარმომიდგენია, როგორ ქედმაღლურად ელიმებათ პროფესიონალ ფილოსოფოს-მარქსისტებს, (მათ ხომ ყოველივე თავიდანვე იციან!) ამ ჩემს გადახრაზე, ამ დევიაციაზე, ამ ერესზე, ამ „იდეალიზმზე" და როგორ მტკიცედ სწამთ, რომ ერთი დარტყმით (მათი ტერმინოლოგიაა!), ერთი ფრაზით, ერთი დებულებით, ერთი პასუხით დაანგრევენ მხოლოდ სულიერებაზე აკოწიწებულ ამ ხუხულას!

მჯერა: ადამიანში სულია მთავარი, ხოლო ფილოსოფიის ძირითადი საკითხია ამ სულიერების აზრის, დანიშნულებისა და მიზნის შემეცნება.

სხვა წერილში თეოლოგიაზე მოგახსენებთ.

### გულახდილად

დასამალი არაფერი არ მაქვს.

ყოველი ჩემი სტრიქონი, ფიქრი და აზრი უპირველესად განკუთვნილია იმ ინტელექტუალებისათვის, რომლებიც კიდევ მოიპოვებიან საქართველოში.

არ მაინტერესებს არავითარი კონკრეტული პოლიტიკა, არ ვებმები არც ერთი პარტიისა და პოლიტიზებული საზოგადოების მოძრაობაში.

ჩემი „მოძრაობა" არის საქართველოს კეთილდღეობა დღეს და მომავალში. სადაც იქნება — აქ, რუსეთსა თუ ევროპაში, ჩემი შესაძლებლობით ვემსახურები იმ იდეალს, ურომლისოდაც ჩემი არსებობა არარსებობას უდრის.

ჩემი სამწერლო იდეალი სულ მარტივია: ვიყო ერთი უმცირესი მკრთალი სხივი იმ უზარმაზარი და უნაპირო მზისა, რომელსაც ქართველი ერის ოცდაათსაუკუნოვანი ცივილიზაცია ეწოდება — ქართული ცივილიზაცია. ასე ერქვა იმ ერთ-ერთ ჩემს ლექციას, წელს რომ პრაღაში წავიკითხე.

ვცდილობ, არ გაწყდეს კულტურული ურთიერთობანი არც რუსეთთან, არც ყოფილი საბჭოთა იმპერიის სხვა რესპუბლიკებთან თუ რეგიონებთან, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებთან. სულიერი იზოლაცია დამღუპველია.

ვერავინ ვერ დამიშლის, ლენინგრადში (ჯერ ასე ჰქვია) წავიკითხო ლექცია რუსული პოეზიის „ვერცხლის საუკუნეზე" და ქართულ ლიტერატურაზე, ხოლო მოსკოვში — რა არის ქართველი ერისათვის შიდა ქართლი. ვცდილობ, ეს ტერმინში — შიდა ქართლი — დავამკვიდრო ცენტრალურ რუსულ პრესაში („სამაჩაბლო" უფრო ვიწრო ცნებაა) უგვანი „სამხრეთ ოსეთის" მაგივრად. პირველი შედეგი უკვე ჩანს (მაგალითად, იხ. „იზვესტია", ა.წ. 18 ივნისისა, გვ.8).

მრავალგზის შევხვედრივარ პირისპირ და განმარტოებით დღევანდელ პრეზიდენტს მ. გორბაჩოვს და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირებს. ყოველთვის ვცდილობ, შევარბილო, შევამცირო თუ ოდნავ მაინც დავამუხრუჭო ცენტრის დარტყმების ძალა ჩვენს მიმართ. ძირითადი მუშაობა ამ მხრივ კულუარებში, წყნარ კაბინეტებში თუ ხალხმრავალ კორიდორებში უხილავად მიმდინარეობს და არა მხოლოდ პარლამენტის ოფიციალურ სხდომათა ხილულ სცენაზე. არავითარი ჩემი განსაკუთრებული დამსახურება ამაში არ არის. ჩემს ადგილას ყველა ჭეშმარიტი ქართველი ამგვარად მოიქცეოდა.

პრინციპში ყველა იმპერია ვერაგი და სასტიკია.

ჭკუით, ცოდნით და ხერხით ვერავინ ვერ უნდა გვაჯობოს.

ვფიქრობ, ყველაზე დიდი სიფრთხილე, თავდაჭერილობა და მოქნილობა, მოკლედ, მეტი დიპლომატია, სწორედ უახლოეს თვეებში გვმართებს, როცა ფართო და მღელვარე მდინარეზე ფონს გადავდივართ და მეორე ნაპირი უკვე გამოჩნდა...

### ერთი შინაარსდაცლილი ახირება

ვერაფრით ვერ შევაგნებინე ჩემს რუს ნაცნობ-მეგობრებს, საქართველოს სტაჟიან მეგობრებს, რომ ერთმანეთისადმი მიმართვა — სუდარ, სუდარინია, გოსპოდინ და გოსპაჟა — გაცილებით მეტი ურთიერთპატივისცემის გამომხატველია, ვიდრე უკვე გაცვეთილი, მოძველებული და შინაარსდაცლილი „ტოვარიშჩ". არადა, უარესი: იქ უკვე დამკვიდრდა სრულიად უსახური და შეურაცხმყოფელი „ეი, მუჟჩინა", „ეი, ჟენშჩინა"...

„თქვენ, ქართველები — მეუბნებიან ისინი, — უცნაურები ხართ: აბა, რა დროს „ბატონო" და „გოსპოდინია", როცა ბატონობა და გოსპოდინობა დიდი ხანია გადავარდა?"..

„გოსპოდინს" ისინი მხოლოდ ჟირინოვსკის ეძახიან, თანაც ამ მიმართვაში საკმაოდ დიდი დოზის ირონიასა და სარკაზმს ურთავენ.

ვერაფრით ვერ დავაჯერე ისინი, რომ ექვსი წლის შვილიშვილის მომართვაზე, მე რომ „ბატონო" ვპასუხობ, ამით მას ზნეობის პირველ მაგალითს ვთავაზობ. ეს ამბავი მათში გულწრფელ სიცილს და ამგვარსავე გაკვირვებას იწვევს: „როგორ, შვილიშვილს ბატონობით პასუხობ? მართლა რა უცნაურები ხართო!"

ვინ უფრო უცნაურია, ჩვენ თუ ისინი, ვფიქრობ, ესაა ჯერ გასარკვევი...

თუ სურთ, ეძახონ ერთმანეთს „ტოვარიშჩ", ვიდრე საბოლოოდ გონს მოვლენ. ხოლო ჩვენ, ქართველებს, საკუთარი ზნეობრივი პრობლემები გვაქვს გადასაწყვეტი და სხვის ახირებას ბევრ დროსა და ძალისხმევას ვერ დავუთმობთ.

„ტოვარიშჩ მინისტრ!" — დემოკრატიის თამაში ადვილია. ძნელია ნამდვილი დემოკრატობა, რაც უპირველესად ურთიერთ პატივისცემას გულისხმობს და მოითხოვს.

### ჯორჯ სოროსი

ამერიკული პრესა ჯორჯ სოროსს ერთ პიროვნებაში გაერთიანებულ უოლ სტრიტის მიქელანჯელოს, რენუარსა და ბეთჰოვენს უწოდებს.

იგი ცნობილი ფილოსოფოსი, მულტიმილიონერია და ქველმოქმედია.

ჩვენი დაახლოება 1987 წლიდან დაიწყო. დღეს კი მე მისი ცნობილი საქველმოქმედო ფონდის „კულტურული ინიციატივის" გამგეობის წევრი ვარ. დღეს, სხვებთან ერთად, მის მილიონებს მეც ვანაწილებ, მაგრამ საქართველოს, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ მილიონებიდან ერთი ცენტიც არ შეხვედრია— „მიზეზისა გამო სხვათა და სხვათა"...

მაგრამ თავიდან დავიწყოთ.

ჯორჯ სოროსი უნგრეთში დაიბადა 1930 წელს (უნგრულად მისი გვარი წარმოითქმის: „შოროშ"). ნიჭიერი ყმაწვილის დემოკრატიული ბუნება ვერ შეეგუა ომის შემდგომ უნგრეთში გაბატონებულ ტოტალიტარულ სისტემას და 17 წლის ასაკში (1947 წელს) იგი ინგლისში გადაიხვეწა. ლონდონში ეკონომიკურ სკოლაში სწავლობდა. ეკონომიკასა და ფინანსებს გარდა იგი გატაცებული იყო ფილოსოფიით, სამართლის საკითხებით და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებით. ზედმიწევნით დაეუფლა ოთხ ევროპულ ენას. როცა 50-იან წლებში ბირჟას მოევლინა, მალევე გახდა საბირჟო ოპერაციების აღიარებული სპეციალისტი. ხოლო როცა საერთაშორისო საინვესტიციო ფონდის „კვანტუმის" თანამფლობელი და მმართველი გახდა, 1968 წლიდან ამ ფონდის აქტივები 500-ჯერ გაიზარდა, რაც ფინანსური წარმატების მსოფლიო რეკორდად იქნა აღიარებული. სოროსი ამერიკული ბიზნესის ელიტაში შევიდა და მისი ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

ეს ერთი მხარე მისი მოღვაწეობისა.

ჯორჯ სოროსი ავტორია ორი წიგნისა და მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებისა გლობალური ეკონომიკისა და ფინანსების საკითხებზე, მსოფლიოს შემდგომი განვითარების სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებზე და თანამედროვე ფილოსოფიაზე. განსაკუთრებულად განთქმულია მისი ხელნაწერი „ფინანსების ალქიმია", წიგნი ფინანსური ბიზნესის ახალებურ საფუძვლებზე. რაც შეეხება მის ფილოსოფიურ შეხედულებებს, მოვიტან მხოლოდ სამ მცირე ციტატს მისი „ფილოსოფიური საფუძვლებიდან", ხოლო თვით ნაშრომის სრულ თარგმანს უახლოეს ხანში რომელიმე ჟურნალში გამოვაქვეყნებ (ეს არაა საგაზეთო მასალა).

ციტატი პირველი:

„აი ჩემი მტკიცების არსი: რეალობა უმჯობესია წარმოვიდგინოთ როგორც რთული სისტემა, ხოლო მონაწილეთა აზროვნება — ამ სირთულის ძირითადი წყარო".

ციტატი მეორე:

„კომუნისტური სისტემა, ცხადია ეყრდნობა მეტად ერთსახად განსაზღვრულ ფილოსოფიურ საფუძველს, და ამ სისტემის კრახის დამოკიდებულება თეორიული შეცდომებისაგან სავსებით აშკარაა".

ციტატი მესამე (დასკვნა):

„ეს (ზემოთწარმოდგენილი) მსჯელობა გზას სწმენდს იმ თეორიული სქემის აგებად, რომელიც ეყრდნობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ორ გამმარტივებელ პრინციპს. პრინციპი, მე რომ აქ განვავითარე, წარმოადგენს აზროვნების კრიტიკული ტიპისა და ღია საზოგადოების საფუძველს, მასზე უარის თქმას მივყავართ აზროვნების დოგმატურ ტიპამდე და დახურულ საზოგადოებამდე".

ჩვენი ფილოსოფოსებისათვის ალბათ საინტერესო იქნება „რეალობის გამმარტივებელი" ის პრინციპი, რაც საფუძვლად უდევს აზროვნების კრიტიკულ ტიპს და ღია საზოგადოებას.

მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია ჯორჯ სოროსის მოღვაწეობის მესამე მხარე — ქველმოქმედება.

დიდი ინტერესით და სრული გაგებით აღიქვამს ჯ. სოროსი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე გარდაქმნებისა და დემოკრატიზაციის პროცესებს. დღეს მისი საქველმოქმედო ფონდები წარმატებით მოქმედებენ ამ ქვეყნების უმრავლესობაში. მათი მიზანია ღია საზოგადოების, სამართლებრივი საზოგადოების შექმნა და დამკვიდრება იქ. სოროსის ფონდი ნაყოფიერად მუშაობდა ჩინეთშიც, მაგრამ იმ ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, რაც მოხდა პეკინში ტიანანმენის მოედანზე (მომიტინგე სტუდენტების დახვრეტა), სოროსმა შეაჩერა თავისი ფონდის მოქმედება.

მოსკოვში ჯ. სოროსმა დააარსა ფონდი „კულტურული ინიციატივა". მისი მთავარი მიზანია დაეხმაროს მოქალაქეთა შემოქმედებით ინიციატივას მეცნიერებისა და კულტურის სფეროში, სპეციალისტთა მონაწილეობას საზღვარგარეთ მიმდინარე სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, სტუდენტთა და ასპირანტთა სწავლებას დასავლეთ ევროპისა და ამერიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში. მისი შენატანი „კულტურული ინიციატივის" ბიუჯეტში ყოველწლიურად შეადგენს საშუალოდ ორ-სამ მილიონ დოლარს.

„კულტურული ინიციატივის" ფილიალები თუ განყოფილებები გაიხსნა კიევსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

ჯ. სოროსის ინიციატივით" წელს პრაღაში დაარსდა ცენტრალურ-ევროპული უნივერსიტეტი (სწორედ იქ ვიყავი მიწვეული მის მიერ აპრილში), სადაც ძირითადად ისწავლიან სტუდენტები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, ხოლო პროფესორებად მიწვეული არიან მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები. ეს ამბავი სოროსს ყოველწლიურად 5 მილიონი დოლარი დაუჯდება.

მე ხშირად ვესაუბრები ბატონ ჯორჯ სოროსს იმის თაობაზე, რომ ხომ არ დადგა დრო, კავკასიის ქედს აქეთაც გადმოიხედოს. მაგრამ ჯერჯერობით სწორედ ამ მხარეში პროვოცირებული სისხლიანი კონფლიქტები აჩერებს მას. საბოლოოდ, სოროსი შემპირდა, რომ საქართველოში თავისი წარმომადგენლობის დაწესების საკითხს წელს შემოდგომაზე განიხილავს. „თუ მომიწვევთო", — ღიმილით მითხრა მან (ერთხელ ის უკვე იყო ჩვენი სტუმარი, მაგრამ ახლა ოფიციალურ მოწვევაზეა საუბარი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკრეტულად ამისათვის საჭიროა, რომ საქართველოს კულტურის ფონდმა იშოვოს ერთი ან ორი მილიონი საბჭოთა „ხის“ მანეთი (ჩასატარებელ ღონისძიებათა მანეთით უზრუნველსაყოფად), ხოლო თავის მხრივ ჯორჯ სოროსი გვპირდება 250 ათასი ან ნახევარი მილიონი დოლარის შემოწირვას ყოველწლიურად (ჩასატარებელ ღონისძიებათა დოლარით უზრუნველსაყოფად). „ოღონდ საქართველოში ხროლა მეტი ალარასოდეს არ იყოსო“, — დასძინა მან.

ჩემი ოცნებაა: დავაარსოთ თბილისში საქართველო-ჯორჯ სოროსის საქველმოქმედო ფონდი „ჯორჯია“, რომლის საშუალებით ყოველწლიურად გავაგზავნოთ ევროპისა და ამერიკის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში 20-25 ქართველი ახალგაზრდა, სტუდენტი და ასპირანტი (ინგლისური ენის კარგად ცოდნა აუცილებელია!), — თავისუფალი საქართველოს მომავალი კადრები მეცნიერების, განათლების, კულტურისა და წარმოება-მეურნეობის ყოველი დარგისათვის.

ამაზე უკეთესს რას გავუკეთებთ დღეს საქართველოს?!

## თავისუფლება საქართველოს კულტურის ფონდს!

შარშან მოხდა ოფიციალური გამიჯვნა საქართველოს კულტურის ფონდსა და კულტურის საბჭოთა ფონდს შორის.

ალსრულდა!

ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნის!

ნეტავ ასეთსავე კულტურულ, ურთიერთპატივისცემისა და სრული გაგების ვითარებაში მოხდეს ოფიციალური გამიჯვნა საქართველოსა და საბჭოეთს შორის!

როცა ზურგიდან მხარდაჭერას გრძნობ, როცა იცი, რომ პოზიციას გიმაგრებს შენი ხალხი და შენი რესპუბლიკა, მოლაპარაკებაც გიადვილდება, დიპლომატიური ნიჭიც ალეგზნება, ინტუიცია გიბასრდება და ყოველთვის განჭვრეტის, გათვალისწინებისა და გაწინასწარმეტყველების უნარი გიასკეცდება.

ჭეშმარიტად, დიპლომატია დიდი ხელოვნებაა!

დიდი, გლობალური გაგებით პოლიტიკა, როგორც ასეთი კულტურაში შედის, უტილიტარული გაგებით პირიქით, კულტურა შედის პოლიტიკაში.

! გაგვირთულდა მუშაობა?

ერთი თვალსაზრისით დიახაც გაგვირთულდა: თვით უნდა დავტრიალდეთ და ყველაფერი ჩვენვე ვიშოვოთ: სახსრები მცირე აპარატის შესანახად (შემოწირულობათა გახარჯვა ამისთვის წესდებით აკრძალულია), მხოლოდ მოგებით უნდა იმუშაონ ჩვენმა სასუვენირო წარმოებებმა, კომბინატებმა, ლაბორატორიებმა, კოოპერატივებმა, მაღაზიებმა...

სამაგიეროდ, რა მომხიბლავია თავისუფლების გრძნობა!

ხანდახან არც კი გვჯერა, იმდენად ღრმად შემოიჭრა ჩვენი სხვაზე დამოკიდებულების კომპლექსი ამ 70 წლის მანძილზე.

თავისუფლება ისაა, რისთვისაც ქართველმა თავი უნდა გასწიროს, ოღონდ მისი შვილი და შვილიშვილი, მთელი ქართველობის მომავალი თაობა იყოს თავისუფალი...

გაუმარჯოს თავისუფლებას!

## ზღვარი

ზღვარი პათოლოგიასა და ნორმას შორის, რომელზედაც ინდივიდი წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობს, იმდენად მერყევია, რომ ყოველთვის ადვილად ვერ მიხვდები, როდის ავლენს იგი ფსიქოზს და როდის — ნორმას.

მაგრამ თვით დამკვირვებელიც და შემფასებელიც ხომ ანალოგიურ ვითარებაშია: იმავ მერყევ ზღვარზე ბალანსირებს, რაც პათოლოგიასა და ნორმას შორის უშრეტავად გადის.

ასეთ დღეში ვართ ჩვენ, ადამიანები..

# ქართული სამხედრო ტერმინოლოგიისათვის

## რევაზ ჯაფარიძე

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმის მეორე წელსვე ქვეყნის უზენაესი ხელისუფლების გადაწყვეტილების თანახმად საბჭოთა არმიის შემადგენლობაში შეიქმნა ეროვნული სამხედრო ნაწილები და შენაერთები. მათი ჩამოყალიბება რესპუბლიკების ტერიტორიაზე ხდებოდა და სამხედრო მოსამსახურეთა ძირითად მასას ამ რესპუბლიკებიდან გაწვეული სამხედრო ვალდებული პირები შეადგენდნენ.

ეროვნული ნაწილებისა და შენაერთების ჩამოყალიბება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამა თუ იმ ეროვნულ ნაწილში ანდა შენაერთში ამ ეროვნების ყველა წარმომადგენელს მოეყაროს თავი, ვინც კი იმ დროს წითელ არმიაში, შემდგომ საბჭოთა არმიაში მსახურობდა. პირიქით, სამხედრო კონტინგენტის უდიდესი ნაწილი სხვადასხვა ფრონტის შემადგენლობაში განაგრძობდა სამსახურს. ასევე იყვნენ ქართველებიც. 650 ათას მეომარს, ქალსა და კაცს, რომელიც პატარა საქართველომ ომში გამოიყვანა, მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული 5-6 ეროვნული დივიზია როგორ დაიტევდა!

ეროვნული ნაწილები და შენაერთები. მართალია, არსებობდნენ და ფრონტებზე სისხლს აქცევდნენ, მაგრამ მათ ერთ საჯარისო ერთეულად გამაერთიანებელი სარდლობა არ გააჩნდათ, საერთო სარდლობას ექვემდებარებოდნენ და ერთგვარ შინაგან ავტონომიას მხოლოდ თავის შეზღუდულ ფარგლებში ინარჩუნებდნენ.

ქართულ დივიზიებში გამოდიოდა ქართული გაზეთები, ერთადერთი ქართული სამხედრო გაზეთი ჰქონდა ამიერკავკასიის ფრონტსაც. სომხურ და აზერბაიჯანულ გაზეთებთან ერთად იგი ამავე სახელწოდების რუსული გაზეთის — დღევანდელი „ლენინსკოე ზნამიას“ დუბლიკატს წარმოადგენდა.

სამხედრო უწყებაში სამსახურს, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სხვა სფეროში სამსახურს, საკუთარი თავისებურება და სპეციფიკა აქვს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პატრიოტულად განწყობილი ქართველი ოფიცრობა სავლე თუ საკლასო მეცადინეობებს ქართულ ენაზე ატარებდა და საბრძოლო პირობებშიაც ქართული ენით ხელმძღვანელობდა, რადგანაც მათ ხელქვეით მყოფი რიგითი და უმცროსი მეთაურთა შემადგენლობა რუსულ ენას ერთობ სუსტად ან სავსებით ვერ ფლობდა, ცხადი გახდება, რომ მათ წინაშე ახალი ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის შექმნის მეტად რთული ამოცანა იდგა. ამ ამოცანის სასწრაფოდ გადაწყვეტა განსაკუთრებით მძიმე ტვირთად დააწვა ქართულ სამხედრო პრესას, დივიზიებისა და ფრონტის სამხედრო გაზეთს, რომელთაც თანამედროვე ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის უქონლობის გამო თითქმის სრულიად ცარიელ ადგილზე უხდებოდათ მუშაობა.

უკანასკნელი ქართული ეროვნული დივიზია, ანაპის 414-ე, რომლის შტაბიც ბათუმში იდგა, 1956 წელს განაიარაღეს და დაშალეს. ეს სწორედ იმ დღეებში მოხდა, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე, კავშირგაბმულობის სახლის წინ და სანაპიროზე, სტალინის მონუმენტთან, ასობით ქართველი ახალგაზრდა ტყვიამფრქვევებითა და ავტომატებით მოცელეს და ერთ პოლკამდე დაყვანილმა ერთადერთმა ქართულმა დივიზიამ, რადგანაც მის გადმოსაყვანად ეშელონს არავინ შეადგენდა, ქუთაისიდან თბილისში ფეხით ჩამოსვლა დააპირა.

თოთხმეტიოდე წლის განმავლობაში, რაც საერთო-საჯარისო დაქვემდებარების ქვეშ მყოფი ქართული ეროვნული შენაერთები, ნაწილები და ქვეგანაყოფები არსებობდნენ და სანამ ერთადერთი ქართული სამხედრო გაზეთი ჯერ კიდევ გამოდიოდა, ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის განახლების, შევსების და დაკანონების საკითხში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ამ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვით ჯერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ საჯარისო ფორმირებებს, მწერლებს, სამხედრო ჟურნალისტებს, შემდეგ კი, მეორე მსოფლიო ომის დროს, ჩვენს ქართველ ოფიცრობას და ქართულ სამხედრო პრესას, რომლებშიაც ბევრი გამოჩენილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი თანამშრომლობდა. მე ალარაფერს ვამბობ მოთხრობებსა და რომანებზე ომში ქართველი ერის მონაწილეობის თაობაზე, ომის შემდეგ რომ შეიქმნა და გამოქვეყნდა.

ამჟამად საქართველოს რესპუბლიკა თავისი ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბების კარიბჭესთან დგას. ბუნებრივია, თავისი მუშაობა მან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე — ქართულ ენაზე უნდა წარმართოს და როგორ იზამს ამას, თუ დაუყოვნებლივ არ შევუდექით ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ალორძინებას. არავის სჭირდება ველოსიპედის გამოგონება, ანუ ყველაფრის თავიდან დაწყება. ქართული სამხედრო ტერმინოლოგია, ურომლისოდაც ქართული სამხედრო ფორმირებანი წინ ერთ ნაბიჯსაც ვერ წადგამენ, უკვე არსებობს. რა არის ახლა საჭირო? სპეციალისტების მიერ მისი აღდგენა, დაზუსტება-შევსება და შესწავლა!

მოკლე წერილში, რაც მხოლოდ მეტად საჭირბოროტო, გადაუდებელი საკითხის დაყენებას ეძღვნება, მე საშუალება არა მაქვს და არცა ვცდილობ საკითხს ჩავუღრმავდე, მაგრამ, ამავე დროს, არ შემიძლია უყურადღებოს გარეშე დავტოვო ის არასწორი ფორმები, რომელიც ბოლო დროს ყოველ ნაბიჯზე გაისმის და ყოველ საქმეში ჩახედული კაცის გულისწყრომას თუ არა, გაკვირვებასა და შეცბუნებას მაინც იწვევს.

გავიხსენოთ, მაგალითად, სიტყვა-ტერმინი „შენაერთი“. იგი რამდენჯერმე გაისმა ეროვნულ სტადიონზე და რადიო—ტელევიზიით, როდესაც ჯარში ახალგაწვეული გვარდიელები სამხედრო ფიცს იღებდნენ. მე არ ვიცი, რამდენი ასეული იყო იმ დღეს სტადიონზე, იქნებ ეს სამხედრო საიდუმლოებაა, მაგრამ ვვარაუდობ, რომ 1000—1500 კაცზე მეტი არასგზით არ იქნებოდა. იქნებ ესეც დიდი ციფრია?

რატომ ვიხდით თავს სასაცილოდ, მტრის სამასხარაოდ? ვის და სად გაუგონია, 500, 1000 და თუნდაც 8 ათასი კაცისაგან შემდგარ მწყობრს ვინმე შენაერთად ისხენიებდეს? თუ ვხმარობთ სამხედრო პრაქტიკაში უკვე დამკვიდრებულ-დაკანონებულ ტერმინს, ისეთს, როგორიც „შენაერთია“, ხომ უნდა ვიცოდეთ მისი მნიშვნელობა? ტერმინის უადგილო ადგილას ხმარება, როცა მის მაგივრად სულ სხვა ტერმინი უნდა გვეხმარა, ნაღვლიან ღიმილს იწვევს, მტერს კი გულში ირონიულად ჩაეცინება, ჯერ ბავშვი არ დაბადებულა და ეს მამაცხონებულები უკვე აბრამს არქმევენ, ნაცარს ნებაყოფლობით იყრიან თვალებშიო.

მაშ, რა არის „შენაერთი“, რა მოცულობის ჯარს ისხენიებენ შენაერთად?

ვფიქრობ, ჯობს, თავიდან დავიწყოთ.

ქვეითი ჯარის ყველაზე უფრო მცირე საჯარისო ერთეული ათეულია. იგი 10-15 კაცისაგან შესდგება, რომელთაგან ერთი, სერჟანტი, მეთაურია. იმავე ათეულს სატყვიამფრქვევო, სანაღმტყორცნო და საარტილერიო სპეციალური დანიშნულების საჯარისო ერთეულებში გუნდი ეწოდება. გუნდის წევრთა შემადგენლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი კაცისაგან შემდგარი პერსონალი სჭირდება ამა თუ იმ ტექნიკური საშუალების მომსახურებას, საბრძოლო მასალების მიწოდებას და ერთი ადგილიდან მეორეზე ტრანსპორტირებას.

სამი ათეული შეადგენს ოცეულს, ხოლო სამი ოცეული კი ასეულს. ასეული, საბრძოლო ვითარებაში, შესაძლოა, 150 კაციდან 250 კაცამდე ითვლიდეს.

სამი ქვეითი ასეულისაგან, სპეციალური დანიშნულების ორ ასეულთან და რამდენიმე ოცეულთან ერთად, დგება ბატალიონი, ანუ ათასეული.

სამი ათასეული, აგრეთვე სპეცდანიშნულების რამდენიმე ათასეულთან და საარტილერიო დივიზიონთან ერთად, უკვე პოლკია, იგივე ლეგიონი.

სამი ლეგიონისაგან, არტპოლკისაგან და სხვა სპეციალური დანიშნულების პოლკებისაგან და ათასეულებისაგან იქმნება დივიზია.

სამი დივიზია, აგრეთვე სპეცდანიშნულების ფორმირებებით შევსებული, კორპუსია, სამი კორპუსისაგან და შესაბამისი სპეცდანიშნულების მქონე ფორმირებებით კი არმიას ადგენენ.

არმიები ექვემდებარებიან ფრონტს, რომელთა შემადგენლობა უმაღლესი მთავარსარდლობის შეხედულებისდა მიხედვით, სტრატეგული და ტაქტიკური თვალსაზრისით და ყოველთვის სტაბილური არ არის.

ახლა მივყვეთ და სათითაოდ გავარჩიოთ, რომელს რას ვეძახით.

ასეული და მასთან გათანაბრებული საჯარისო ერთეულები ქვეგანაყოფია, ბატალიონი, ანუ ათასეული — დანაყოფი, პოლკი, ანუ ლეგიონი — ნაწილი, დივიზია, კორპუსი და არმია — შენაერთი.

ვფიქრობ, ახლა უკვე ცხადად ვხედავთ, რიგით ჯარისკაცთა, უმცროს მეთაურთა, უმცროს, საშუალო და უფროს ოფიცერთა, გენერალთა რა უზარმაზარ მასას გულისხმობს სიტყვა—ტერმინი „შენაერთი“ და რა დიდ შეცდომას ჩავდივართ, როცა მას უადგილო ადგილას ვხმარობთ!

ველოსიპედის თავიდან გამოგონება არც ერთ დარგში არ გვარგებს, მით უფრო სამხედრო საქმეში. გონიერი სამხედრო პირები ყველა ქვეყანაში იყენებენ სხვა ერებისა და სახელმწიფოების გამოცდილებას, თაობების მიერ დაგროვილ ცოდნას. მათ სამხედრო დოქტრინებში გათვალისწინებულია ჯარების შინაგანი ორგანიზაციის, მათი საბრძოლო წვრთნის და ბრძოლაში მართვის ყველა საკითხი მაკედონელიდან და ჰანიბალიდან მოკიდებული ვიდრე დღემდე. სხვისაგან სწავლა სირცხვილი როდია, სირცხვილი დოგმატიკოსობა და საკუთარ უცოდველობაში თავის დარწმუნებაა.

ღმერთმა აშოროს ეს მანკიერება საქართველოს მომავალ არმიას და მის მეთაურებს!

ფოტო—

ჟურნალისტის

არქივიდან



არნოლდ ჩიქობავა.
პროკლე კეკელიძე,
ვიქტორ კუპრაძე,
ავლიპ ზურაბაშვილი,
ალექსანდრე ბარამიძე.

მურმან ჩაჩუას ფოტო

ბერლინში დაუყოვნებლივ მომაწყვეს იქაურმა ქართველებმა სავსებით კომფორტაბელურ პანსიონში. სამსახურში გამაფორმეს, უნივერსიტეტში შევედი. ფრიად დავიტვირთე შრომისაგან, მაგრამ საოცარმა დარდმა შემიპყრო, ახლა გამოვუტყდი ჩემს თავს, რომ ფრაუ ლენცი მეც მყვარებია. განსაკუთრებით მძიმე იყო პირველი კვირეების მარტოობა. ლამის იყო დეპეშა არ გავუგზავნე ფრაუ ლენცს ჩამოდი-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა, დავძლიე ეს მწუხარება და მუშაობას მივეძალე[1].

ბერლინის უნივერსიტეტში მხოფლიო სახელის პატრონი მეცნიერები დამიხვდნენ. აღმოსავლეთის ისტორიას გვიკითხავდა აკადემიკოსი ედუარდ მაიერი, აღმოსავლეთ ევროპისას პროფ. შიიმანი, ლოგიკას პროფ. ბ. ერდმანი, პაპიზმის ისტორიას პროფ. ტანგლი, ძველბერძნულ ლიტერატურას პროფ. ვილამოვიც ფონ მოელენდორფი, ფილოსოფიის ისტორიას პროფ. ალოიზ რიილ, ეკონომიურ მეცნიერებათა ისტორიას პროფ. ზომბარტი.

თეატრის დიდად მოყვარული არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ იმ ჟამად ფრიად გამიტაცეს შექსპირმა, ბერნარდ შოუმ, ჰენრიკ იბსენმა და სტრინდბერგმა. თითქმის ყოველ შაბათს რაინჰარტის თეატრის სტუმარი ვიყავი.

ევროპის დიდი ქალაქები ფრიად ქსაქსავენ ახალგაზრდა ადამიანის ყურადღებას. მეცნიერება, მწერლები, თეატრი, მხატვართა გამოფენები, პრესა, ეს უზარმაზარი ქალაქდისმიერი ცივილიზაცია უცნაურად ტვირთავს ჭაბუკურ ენერგიასა და გულისყურს.

მე ქვეშეცნეულად მივყვებოდი ამ უძლიერესი ფაქტორების ზეგავლენას და ბოლოს სავსებით დამატყვევა ამ ვითარებამ.

ბერლინის უნივერსიტეტში მე გავეცანი ინდოელ და ჩინელ სტუდენტებს. ერთი ინდოელი მწერალი, რომელიც არსებითად იყო ჩემი პირველი რომანის „დიონისოს ღიმილის“ გმირის, აბსენ ტუნგის პროტოტიპი, დაბეჯითებით მირჩევდა ავრიდებოდი ამდენი შთაბეჭდილების მიღებას, თუ ეს შეგონება თქვენ არაფრად მიიჩნიეთ, მარწმუნებდა იგი, თქვენს ინტელექტს აუცილებელი კატასტროფა მოელის.

„მე მაქვს ერთადერთი წიგნი რიგვედასი, რომელსაც მრავალგზის ვკითხულობ. თქვენს კანტსა და ჰეგელს ვთვალიერებ მხოლოდ გამოცდების ჩასაბარებლად“.

მე ამ გამოცდილი მეგობრის რჩევა არაფრად მივიჩნიე, კიდევ უფრო მივეძალე გამუდმებულ კითხვასა და ლექციების მოსმენას.

ჟურნალ „დერ ნოიე ორიენტის“ რედაქციაში გავიცანი რამდენიმე ინდოელი და გერმანელი-სანსკრიტისტი, მათი რჩევით შევიძინე დიდძალი სანსკრიტული ლიტერატურა გერმანულად, ინგლისურად და ფრანგულად თარგმნილნი.

ამ ამბავმა ჩემში შეანელა კანტისა, ნიცშეს და შოპენჰაუერის ნაწერებისადმი ინტერესი და ჩემი გონება გადაეშვა ამ აღმოსავლური სიბრძნის უსასრულო ოკეანეში. იმ ხანებში ვთარგმნე კიდევაც რამდენიმე ლექსი რიგვედას ციკლიდან. საკუთარი ლექსებიც დავბეჭდე ჟურნ. „ახალ აღმოსავლეთში“.

ერთ ოჯახში მე წარმიდგინეს ცნობილ არაბისტს, პროფესორ ზახაუს. მან, როგორც კი გაიგო ჩემს გამო, ქართველიაო, მირჩია დავმოწაფებოდი და არაბული შემესწავლა. მპირდებოდა კიდევაც: თუ ამ ენას წარმატებით შეისწავლი, აღმოსავლური ენების სემინარში გაგწვრთნი, ასპირანტად აგიყვანო. მე ვერ გადავწყვიტე პროფესორ ზახაუსთან დამოწაფება, მაგრამ სამაგიეროდ მივადექი არაბი ფილოსოფოსებისა და მწერლების თარგმანებს და დიდი ენერგია დავხარჯე მათ შესათვისებლად.

ეგზომ ინტენსიურმა მუშაობამ მე ისე გამიტაცა, ინდოელი ასკეტებისადმი მიბაძვით თითქმის ალვიკვეთე ჭამა-სმა, ბერლინელი ქართველი მეგობრები სერიოზულად მაფრთხილებდნენ: მუშაობას თუ არ შეანელებ და რიგიან კვებას არ დაიწყებ, უცილოდ დაიღუპებიო.

უნივერსიტეტში, სემინარებში, ბიბლიოთეკებში მუშაობას იგიც ზედ ერთვოდა, რომ მე ღამღამობით სამსახურისთვის საჭირო თარგმანებში ვხარჯავდი ენერგიას. ყოველივე ამას ერთი გარემოებაც დაემატა. ბერლინელმა ქართველმა ახალგაზრდებმა ჩამოაყალიბეს „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“. ამ ორგანიზაციამ გაიჩინა საკუთარი ორგანო „ქართული გაზეთი“. ახლა ამ გაზეთშიაც დავიწყე თანამშრომლობა.

ადელლე ლენცს პატარა ბარათი მივწერე ერთხელ. დაუყოვნებლივ მიპასუხა: შენს ხელწერაზე ვატყობ, არ უნდა იყვე კარგად. შაბათ საღამოს მოვდივარო მიუნხენ-ბერლინის ექსპრესით.

ფრაუ ლენც სასტუმრო „ადლონში“ გაჩერდა, რადგან ჩემს პანსიონშიაც აკრძალული გვქონდა მანდილოსნების სტუმრობა. მთელი დღე ჩემთან იყო, მართობდა, ფორტეპიანოზე უკრავდა. პანსიონის პატრონესსა ფრაუ ედელფაის მისი შორეული ნათესავი აღმოჩნდა, ასე რომ ჰოტელ ადლონს მხოლოდ შირმად იყენებდა ადელლე.

მე უკვე სერიოზულად ჩამაფიქრა ამ გარემოებამ. გულის სიღრმეში არც მე მინდოდა მისი წასვლა. ფიზიკურად ძლიერ დავუძლურდი. ძილი დავკარგე. გამუდმებულ თავდახრილად ჯდომისაგან თვალები დამისისხლიანდა, წოლა შემეძლო მხოლოდ პირაღმა. მთელი ორი თვე უსამსახუროდ ვიყავი, სტიპენდია კვლავ იგვიანებდა. ერთ დღეს მოხდა უცნაური ამბავი: ჩემს პანსიონში გადმოსახლდა ბარონ ფონ იქსკიულ და ერთ საღამოს მსახურის პირით მამცნო: თქვენი ნახვა მსურსო.

ადელჰაიდეს წინასწარ ვუამბე ჩვენი უსაგნო დუელის ამბავი. ბოლოს შემოვიდა ჩემი პარტნერი აბსენტი და შოკოლადი მომართვა. ბარონ ფონ იქსკიულ დამშვენებული მეჩვენა. მე გამაოცა მისმა წვევამ. სტუმარმა შემომანათა თავისი კრიალა კბილები და მითხრა: „იცი, ჰერრ გამსახურდია, მეც ვთანამშრომლობ ჟურნალ „ახალ აღმოსავლეთში“. რედაქციაში ბევრი საინტერესო რამ მიამბეს თქვენი ტალანტისა და კაიკაცობის გამო. თქვენი ავად გახდომა რა გავიგე, გადავწყვიტე გწვეოდით“. შორიახლო დაჯდა, ცოტა ხანს მდუმარედ მიცქეროდა, მერმე სთქვა: „აფსუს, რა ძლიერი სული შეხიზნულა ამ სუსტ სხეულში. კენიგსბერგში თქვენ ჩაბსკვნილი და კორპორანტი სჩანდით. არაფერია, ამგვარი გადაღლილობა მეცა მჭირდა შარშან. მთავარია არ შეკრთეთ და არ დაღონდეთ. ახლა გადმომცა ემანუელ კანტის პატარა ბროშურა „თვითშთაგონება“ „ავტოსიუგეტიონ“[2]. ამ შრომაში კანტი აგრე ამტკიცებს: მთავარზე მთავარი ეს თვითშთაგონებააო. კანტის შეგონებანი დაუვიწყარი დარჩა ჩემს ცნობიერებაში. ავად გავხდებოდი თუ არა, ჩემს თავს ვარწმუნებდი: კარგად უნდა გახდე-მეთქი.

დღესაც სკეპტიკურად შევცქერი ექიმების შესაძლებლობას, რადგან კარგად ვიცი ჩვენი სხეული ისევე ბნელია, როგორც ჩვენი სული. დღესაც ამ შეგონებას მივსდევ და ალბათ ამის მეოხებით შევინარჩუნე ფოლადის ჯანმრთელობა და შეუდრეკელი სულიერი სიმხნევე. დღესაც მაოცებს ეს გამძლეობა, ომში, ციხეებში, ბრძოლებში გამოვიწაფე და არასოდეს არ შემშინებია სიკვდილის. ფრაუ ლენციც გაოცებული უსმენდა ჩემს სტუმარს. მან სთქვა: „ამჟამად მე გახლავართ „ახლო აღმოსავლეთის“ რედაქტორის ნაცვალი, რადგან რედაქტორი ჰერრ ფინტ დასნეულდა. მე ცნობა მაქვს, რომ თქვენ ვაიმარში გამოგიციათ ერთი შრომა, რომელსაც მე უკვე გავეცანი. მე იგი ინგლისურად ვათარგმნინე და ამერიკაში გავაგზავნე. დღედღეზე პასუხს ველი. სათანადო ჰონორარსაც მოგართმევენ. ამ რამდენიმე დღეში კვლავ გინახულებთ“. მცირე ხანს სდუმდა სტუმარი და მერმე მითხრა: „მე აგრე მგონია, ჰერრ გამსახურდია, ჩვენი დუელის გამო არ შეგძულებივართ. კარგად მახსოვს, როცა დამკოდეთ, ძლიერ შეწუხებული მოხვედით ჩემთან და ექიმს ევედრეთ მალე შეეხვია ჭრილობა“.

---

[1] დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1963, № 35; „მნათობი“, 196., № 8, 9.

[2] თვითშთაგონებისათვის.

„რასა ბრძანებთ, ბატონო ბარონ, ახალგაზრდული ანცლობის ამბავი აბა რა მოსაგონარია. დიდი მადლობა ეგზომ უანგარო ზრუნვისა და თანადგომისათვის“.

ადელლემ თავაზიანად გააცილა სტუმარი, შუბლზე მაკოცა და მითხრა: „ჰოი, რა ბედნიერი კაცი ხარ, კონსტანტინ! შენ კაცი კი არა, ნამდვილი ჯადო ხარ ჩემი“.

„ასე, ძვირფასო ადელლე, მე ღმერთმა არ მომცა არც ქონება, არც სახელი და არც ამქვეყნიური რაიმე დიდება, მაგრამ მართლაც ბედნიერი ვარ, რადგან ამდენ კარგ ადამიანებს გიყვარვართ“.

არსებითად ადელჰაიდე იყო ნამდვილი ჯადო. იგი სულ ხუთიოდე წლით იყო ჩემზე ხნიერი, მაგრამ ისე მექცეოდა, თითქოს დედა ყოფილიყო ჩემი. ყოველ საღამოს ფეხსა მბანდა, ვანის ოთახში გავყავდი და თავად მივლიდა. მე გაოცებული ვარ ახლაც მისი უზადო და უანგარო სიყვარულისგან. ახლაც, ამ სტრიქონების წერისას აღვსილი ვარ მისდამი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. აგრე მგონია, სახწაული რომ მოხდეს, მას კვლავ შევეყარო და გასაჭირში ვნახო, ჩემს სიცოცხლეს გავწირავდი მისთვის.

საქართველოში დაბრუნების შემდეგაც რამდენიმე წლის მანძილზე

## კონსტანტინე გამსახურდია

# 1917-1924 [illegible] 1917-1924

სიყვარულით სავსე წერილებს მიგზავნიდა, მაგრამ 1924 წელს, გასაგები მიზეზების გამო, მე მას თავაზიანად ვთხოვე: ამიერიდან წერილი აღარ მოეწერა ჩემთვის. აგრე დავკარგე ეს უანგარო და კეთილშობილი მეგობარი.

ზუსტად ათიოდე დღის შემდეგ ჰერრ ფონ იქსკიული კვლავ მეწვია და ათას სამასი მარკის ჩეკი მომცა ჩემი ჰონორარის ანგარიშში. ადელჰაიდე მიუნხენს გაბრუნდა, ერთი კვირის შემდეგ კვლავ ჩამოვიდა ბერლინს.

ჩემი ავადმყოფობის ამბავი გაეგო ცნობილ ორიენტალისტ ბარონ ფონ ვეზენდონკს. ეს მეცნიერი-კავკასიოლოგი, რიჰარდ ვაგნერის უკანონო შვილი იყო. იგი გავიცანით მე და ადელლემ ბაიეროტში, რიჰარდ ვაგნერის ფესტივალზე.

ერთ საღამოს მოულოდნელად მეწვია ფონ ვეზენდონკი და მამცნო: „მე საკმაო კავშირები მაქვს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, გუშინ ვინახულე ბერლინის უნივერსიტეტის რექტორი ექსელენც ედუარდ მაიერი, მას მოაგონდით და აგრე მითხრა: „ჩემი სახელითაც თხოვეთ მინისტრს, ეს ტალანტიანი ახალგაზრდა კაცი არ დაღუპონ. ახლა, როგორც გავიგე, ავადმყოფ ტყვეებს შვეიცარიაში აგზავნიან სამკურნალოდ.

„ოღონდ ეგაა, დასძინა ვეზენდონკმა, ვინ გაგაცილებთ შვეიცარიაში მიმავალს?“ — ესა სთქვა და ადელლეს გადახედა.

ადელლემ მიუგო: „თქვენ წასვლის ნება მოაგვარეთ, ბატონო ბარონ და მე აუცილებლად გავაცილებ ჩემს მეგობარს“.

ადელლემ ბევრი იარა სამინისტროში, ორჯერ გამატარეს საექიმო კომისიაში და ბოლოს მეორე ხარისხის ინვალიდობა მომცეს, რა თქმა უნდა, მინისტრის თხოვნის მიხედვით.

მერმე ის იყო დავოსში წამიყვანა ადელლემ, ჩვენ თან წავიღეთ ჩემი ბიბლიოთეკა.

იმ წელს მე უკვე ვწერდი ნოველებსა და პირველ რომანს „დიონისოს ღიმილს“, იმ ხელნაწერების თან წაღების უფლებაც გამოატანა ვეზენდონკმა ადელჰაიდეს.

●

დიდი მწუხარება განვიცადე ადელჰაიდესთან განშორების გამო. გუშინდელ დღესავით მახსოვს, როგორ მოსდევდა იგი ჟენევა-პარიზის ექსპრესს და ბალღივით ტიროდა.

მატარებელი ძლიერ სწრაფად მიდიოდა, თორემ მე მზად ვიყავი, ჩამოვმხტარიყავი და სამუდამოდ დავრჩენილიყავი მასთან.

მე იმ დღეს შევიცანი, რომ ეს ცხოვრება საშინელი ტრაგედიაა მათთვის, ვისაც რაიმე მორალური კანონი ბოჭავს. ადელჰაიდე რომ ქართველი ყოფილიყო, მე მას აუცილებლად შევირთავდი. მისი ტრაგედიული ცხოვრება უცილოდ გამოდგებოდა ბრწყინვალე რომანის საგნად. მე ახლაც აგრე მგონია, ეს ცხოვრება ნამდვილი უდაბნო იქნებოდა, სიყვარული რომ არ ატფობდეს მას.

ჟენევიდან მე წამოვედი ნაყიდი პასპორტით. ეს პასპორტი შევიძინე ვინმე ებრაელის ალოიზ სიმსონის ქვრივისაგან. ჟენევაში დავტოვე ჩემი ბიბლიოთეკა, სტუდენტური დანაზოგებით შეძენილი. ადელჰაიდემ იგი მიუნხენში წაიღო, მაგრამ მისი გამოგზავნა ველარ მოხერხდა. პარიზში ჩასულს მე დამიხვდა მხოლოდ თედო სახოკია, რომელიც ღარიბულ მანსარდში ცხოვრობდა. ორიოდე თვის შემდეგ მე ლონდონს გავემგზავრე. ამ ქალაქში ჩასვლის უმალვე ინტელიჯენს სერვიზში მიხმეს და წინადადება მომცეს: დაუყოვნებლივ დამეტოვებინა ინგლისი. საოცარი რამ მოხდა: ბერგენის ბილეთი ნაყიდიც არა მქონდა, ჟანდარმთა შეფი მოვიდა ჩემთან, მკლავზე ხელი წამავლო და ბერგენს მიმავალ გემში ჩამსვა. მხოლოდ ერთი საათის შემდეგ შემოუშვეს თანამგზავრები.

ნოემბრის ქარიშხლიანი ღამე იყო, გემი ძლივს მიაპობდა ამბოხებულ ზღვას. პასაჟირებს გამოგვიცხადეს: გერმანული წყალქვეშა ნავი მოგვდევსო, თანაც კაუჩუკის ქამრები დაგვირიგეს. ზღვა ბობოქრობდა. ჩემი თანამგზავრები იატაკზე ენარცხებოდნენ და არწყევდნენ. მე ზღვას კარგად ვიტანდი მუდამ. ჩემს კაიუტაში მწოლარე ებრაელი სტუდენტი შემევედრა: როგორც მსმენია, ქართველები ვაჟკაცები ხართ, მიშველეთ რამე.

მე მივუგე: ქართველები ხმელეთზე ვართ ვაჟკაცები, ზღვასთან რა ვაჟკაცობა გამოვა-მეთქი.

გერმანულმა წყალქვეშა ნავმა სიგნალი მოგვცა, პისტოლეტებით შეიარაღებული ოფიცრები ამოვიდნენ, გემი გაჩხრიკეს და ბოლოს კაპიტანმა მადლი მიაგო უფალს.

გათენებამდის ბორგავდა ზღვა და როცა ბერგენს ვუწიეთ, მე ვემთხვიე ნორვეგიის მიწას.

ნორვეგიამ იმჟამინდელი საქართველო მომაგონა. ყოველ სადგურზე მოცლილი მოსეირენი უხვდებოდნენ მატარებელს.

რამდენიმე დღეს სტოკჰოლმში დავრჩი. ვნახე ნუშის გულივით თეთრი შვედი ქალები, უაღრესად ვნებიანი და ტფილი დიაცები, რომელნიც თავათ ნადირობენ მამაკაცებზე.

მე ახლა აგრე მგონია, შვედი ქალების დარი ლიბიდოს მქონე დიაცები მთელ მსოფლიოში არ მოიპოვება.

მესამე დღეს ვუწიე ჰაპარანდას, რუსეთის მოსაზღვრე პუნქტს. ამ ადგილას წყდებოდა რკინიგზა და მარხილებით მოგვიხდა მგზავრობა. ფინეთის საზღვარზე მისულს რუსი ჟანდარმები შემომეგებნენ, ვახმისტრი მეძგერა და მიყვირა: „ვინ მოდის გერმანიიდან?“, „არავინ“ — მივუგე მე.

ვახმისტრი საყელოში წამწვდა, მარხილიდან ჩამომიყვანა და ჟანდარმთა შეფს მიმგვარა. აქ მოხდა მთლად უცნაური ამბავი: ჟანდარმთა შეფმა ის ჟანდარმი დაითხოვა და მე მომმართა ქართულად:

„შენ რა გვარი ხარ, ყმაწვილო?“

როცა მას სიმონი ვუხსენე, მან ირონიულად გამიღიმა და მითხრა:

„რას მატყუებ, შე ყ...ლარო, მე მამაშენს, სიმონის ნათლული ვარ, ჯავახია, ახლა მე შენ პეტ...ურგს გაგაგზავნი და მერმე შენ იცი, ოღონდ არ გაამხილო, რომ მე შეგიცანი“.

ორი ჟანდარმი თან გამაყოლა ჯავახიამ. მატარებელი მიგელავდა ფინეთის მიწაზე. ჩემს მხლებელ ჟანდარმებს ეძინათ, მე არა ერთხელ წამოშიარა ფიქრმა, მატარებლიდან ჩამოვმხტარიყავი და მოსალოდნელ უბედურებისაგან თავი დამეღწია.

პეტერბურგში თოვდა, მუხლამდის თოვლს მივაპობდი, ჩემს უკან მოჩანჩალებდა მოხუცი ჟანდარმი. ეს ისეთი სათნო კაცი იყო, მე ახლაც მგონია, ჟანდარმების შეფმა, ჯავახიამ საგანგებოდ შეარჩია ჩემთვის.

სავსებით მოულოდნელად სიმონ ყაუხჩიშვილი შემეყარა გზაზე. მე შევდექი, მოხუც ჟანდარმს ვუჩურჩულე:

„ეს ყმაწვილი ჩემი ბიძაშვილია, ორიოდე სიტყვის თქმა მაცალე მეთქი“.

„ორი წუთი, ორად ორი, თორემ ორივეს ჩაგვაყუდებენ“.

მე ვუამბე სიმონს ჩემი გასაჭირი.

შტაბში წამიყვანეს და გამუდმებული დაკითხვა დამიწყეს: როდის, სად, რომელ ქალაქში მიცხოვრია ევროპაში, ფულს საიდან ვღებულობდი და სხვა. როგორც გვიან გავიგე, ჩემი მეგობარი, სიმონ ყაუხჩიშვილი, პროფესორ ივანე ჯავახიშვილთან გაქცეულა, ბატონი ივანე გენერალ ნაკაშიძეს ხლებია, ხოლო ეს გენერალი ნიკოლოზ მეორეს. ასე რომ, სამი კვირის წამების შემდეგ წინასწარი საპატიმროდან გამომიშვეს და წინადადება მომცეს, დაუყოვნებლივ დამეტოვებინა პეტერბურგი.

სწორედ იმ ღამეს თავადმა იუსუპოვმა და პურიშკევიჩმა მოჰკლეს რასპუტინი. სწორედ იმ ღამეს მე ვთქვი ჩემთვის: იტ იზ სომსინგ როოტენ ინ ზე შტეტ ოფ დენემარკ (რაღაც დალპა დანიის სახელმწიფოში).

მატარებელი მოსკოვის სადგურზე შესდგა. მე ძლიერ მშიოდა და ბუტერბროტების სასყიდლად ჩავედი პერონზე. ვაგონში უკან შებრუნებას ვაპირებდი, აქ უამრავი ჯარისკაცები დამიხვდნენ, მატარებლის კიბეზე შევდგი თუ არა ფეხი, მატარებელი დაიძრა, ჯარისკაცებს, როგორც სჩანს, ეუცხოვათ ჩემი მაგარი შავი ქუდი და შავი პალტო, ერთმა მათგანმა მიმართა თავის ტოლებს, მოდი ეს წუნკალი ურია ჩამოვაგდოთო მატარებლიდან. ამის მთქმელი წამეპოტინა, მაგრამ მე დიდხანს არ დავაყოვნე, მთელი ძალით ვხეთქე [illegible] ლა. ბოდიში, ბოდიშიო, სთქვა, გვემულმა და გზა მიტია. დანარჩენებს სიცილი აუტყდათ, ისეთი ტლაშუნი გაადინა სილაქმა.

●

ტფილისში ჩამოსულს უკვე დევნის მანია შემეყარა. მუდამ თან ვატარებდი ჩემს მაუზერს, თანაც მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, დაპატიმრების შემთხვევაში იარაღით შევბრძოლებოდი შემპყრობლებს.

ქალაქში გაწერა ვერ გავბედე, ამის გამო შევეხიზნე ჩემს ძველ მეგობარს, „სახალხო გაზეთის“ რედაქტორს, სამსონ ფირცხალავას.

ერთხელ საპარიკმახეროში წვერს ვიპარსავდი. ამ დროს შემოვიდა გრძელულვაშიანი რუსი ჟანდარმი და ოსტატი ამოირჩია. მე სანახევროდაც არ ვიყავი გაპარსული, ისე ვუჩურჩულე ჩემს ოსტატს, მუცლის გვრემამ მომიარა, ახლავე მოვალ მეთქი, გასამრჯელო ჩავუდე და მახლობელ ფეხსადგილში გავედი. აქ ფანჯარაზე რკინის ბადე იყო. ბადე გავგლიჯე და მეორე სართულიდან ჩამომავალ სანიაღვრე მილს ჩამოვყევი.

ამჯერად დიდხანს არ გაგრძელებულა ჩემი ტანჯვა, მერმე ის იყო რევოლუციის ქვემეხები აგრიალდნენ. ნიკოლოზ მეორე ტახტიდან ჩამოაგდეს.

ერთ დღეს გაზეთის რედაქციაში ვმუშაობდი, წითელ ჩაბალახიანი ორი კაზაკი შემოვიდა და სამსონ ფირცხალავას რაღაც პაკეტი გადასცა. სამსონმა გაიღიმა და მითხრა:

„აბა კოტე, თავს უშველე, ეს კაზაკები შენ დასაჭერად არიან მოსული“.

ბოლოს მან პაკეტი დინჯად გახსნა და ამოიკითხა, რუსების „ნამესტნიკი“ რედაქციას სთხოვდა თავისი წარმომადგენელი წარეგზავნა თათბირზე სასახლეში.

რედაქციაში ყველაზე უკეთ მე და სამსონ დადიანს გვეცვა ტანზე, ამიტომაც დელეგატებად ჩვენ ორი აგვირჩიეს. სასახლის დიდ დარბაზში უამრავი გენერლები და ქართველი ჟურნალისტები ირგვლივ შემოსხდომოდნენ გრძელ მაგიდას. აქ იყვნენ მენშევიკების გაზეთის წარმომადგენლად ნოე რამიშვილი, „ზაკავკაზსკაია რეჩის“ რედაქტორი და სხვანი.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დიდად დამწუხრებული სჩანდა. მან პირველმა აიღო სიტყვა და გვთხოვა:

უნდა შევეცადოთ, რევოლუციის ტალღა ჯარში არ გადავიდეს, თორემ ჩვენი არმია გაირყვნებაო.

ნოე რამიშვილი შეესიტყვა პირველად. იგი აგდებული ტონით ესაუბრებოდა რუსების შეფის ნაცვალს, ჩვენ რა შეგვიძლია ვქნათ, რევოლუცია სტიქიონია და ამ სტიქიონს ვინ შეაჩერებსო? დაახლოებით იგივე აზრი გამოვთქვით დანარჩენებმა. მეფის ნაცვალი გაწბილებული დარჩა, წყალწყალა ჩაის სმას როგორც კი მოვრჩით, თავი დავუქნიეთ მასპინძლებს, გახარებულნი წავედით ჩვენს ჩვენს რედაქციებში და ეს ყოველივე ვახარეთ ჩვენს ამხანაგებს.

●

მერმე ის იყო, წამოვიდა მეცხრე ტალღა, რუსეთის მონარქია დაემხო და მცირერიცხოვან ერებს იმედი ჩაესახათ გულში, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა... საოცარის სისწრაფით წარიმართნენ მოვლენები. ნოე ჟორდანიამ, კაკი წერეთელმა, ევგენი გეგეჭკორმა და მათმა მიმყოლებმა „ამიერკავკასიის ფედერაცია“ მოაცოდვილეს. ჩვენ ახალგაზრდებს ძლივს გვაოკებდნენ ხანდაზმული მეგობრები, რადგან ჩვენ დამოუკიდებელი საქართველო გვენატრებოდა და არა ხელოვნურად შეხოხლებული ფედერაცია.

ამიერკავკასიის მთავრობა უდღეური აღმოჩნდა. ქვეყანა ანარქიის წინაშე წარსდგა. ოსმალეთის ფრონტიდან გამობრუნებული, სანახევროდ დაშლილი ჯარი ქალაქებს გადაბუგვას უქადდნენ. მალე ტფილისი ანარქიამ მოიცვა. რუსის ჯარი დაიშალა, ორიოდე პოლკი დარჩა, სტიქიურად ჩამოყალიბდნენ რუსული, ქართული და სომხური ჯარის ერთეულები. ამასობაში გერმანიის არმიის აღმოსავლურმა ნაწილმა ტფილისს უწია.

მე ამასობაში ჟურნალ „პრომეთეს“ ვცემდი. კოლეგიაში შევიყვანე: აკაკი შანიძე, პ. ინგოროყვა, ა. პაპავა და აწ განსვენებული ლინგვისტი ი. ყიფშიძე. სხვა ჩვენი ცნობილი მეცნიერები: ივანე ჯავახიშვილი და პ. ინგოროყვა თანამშრომლობდნენ „პრომეთეში“.

ერთ დღეს მე თავაზიანი ბარათი მომივიდა გერმანულ გენშტაბიდან. როცა მანდ მივედი, მიმგვარეს პროპაგანდის განყოფილების გამგესთან. ოდნავ შეჭაღარავებული კაცი წამოდგა და მითხრა:

— „მე გახლავართ პროფესორი ცუგმაიერი“.

— „რითი შემიძლია გემსახუროთ, პროფესორო ბატონო?“ — მივუგე.

— „ჩვენ გვინდა თქვენ ემსახუროთ მხოლოდ თქვენს ლამაზ საქართველოს“.

— „როგორ და რა რიგად?“

— „ჩვენ თქვენ კარგად გიცნობთ ბერლინიდან. ახლა უნდა მოგახსენოთ გერმანიის არმიის გენშტაბის სახელით... თქვენ ალბათ იცნობთ არმიის გენერალს კრეგ ფონ კრეზენშტაინს?“

— „დიახაც, შორეული ნაცნობობა მაქვს მაგ ბატონისა“.

— „თქვენ ცნობილი ხართ, როგორც გერმანული კულტურის მოყვარული თქვენს კავკასიაში. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ გთხოვოთ, იკისროთ გერმანული ორიენტაციის ქართული გაზეთის გამოცემა. საამისოდ დღესვე გაახლებთ სამოც ათას მარკას. წინასწარი პირობა ასეთი იქნება, ჩვენ არამც და არამც არ ჩავერევით ამ გაზეთის საქმიანობაში“.

ახლა პროფესორი ცუგმაიერი მოუყვა ჩემს ქებას, ისიც ახსენა, რომ ექსელენც ედუარდ მაიერი და ბარონ ფონ ვეზენდონკიც აგრე ფიქრობენ. თქვენ ამომავალი ვარსკვლავი ხართ თურმე ქართული კულტურისა.

მე ვუპასუხე:

— „ჩემთვის სასიამოვნოა თქვენ რომ აფასებთ ჩემს მოკრძალებულ ღვაწლს გერმანული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. მადლობელი ვარ იმ ნდობის გამოც, რომელსაც ჩემს მიმართ იჩენთ, მაგრამ გულახდილად უნდა მოგახსენოთ, პროფესორო ბატონო, რომ მე ასეთ საქმეში არ გამოგადგებით“.

— „რათაო?“ — გაოცებული მეკითხება პროფესორი ცუგმაიერი.

— „რათა და მე ჩემს თავს ვერ მივცემ ნებას, თუნდაც კარგი გაზეთის დასაარსებლად უცხო სახელმწიფოსაგან მიღებული თანხები გამოვიყენო“.

ცუგმაიერი გაოცდა.

— „თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, რომ კეთილი მიზანი ყოველგვარ საშუალებას ამართლებს?..“

— „არა, უფალო, ეს მაკიაველის ცნობილი ლოზუნგია და მე ჩემი მორალი, რაც უმთავრესია, ჩემი პატრიოტიზმი ნებას არ მაძლევს მაკიაველის შეგონებას ავყვე“.

პროფესორი ცუგმაიერი განაწყენებული და განცვიფრებული დავტოვე იმ დღეს. მე ჩემს პრომეთეს მივუბრუნდი კვლავ, მაგრამ ამასობაში ოსმალეთმა გადმოლახა საქართველოს საზღვარი, ბათუმი აიღო და მე იძულებული გავხდი კალმის ნაცვლად ხმალი ამეღო ხელში და ეს იყო ჩემი სიცოცხლის უბედნიერესი წუთები.

„რევანში, რევანში“, — აყვირდა მთელი ახალგაზრდობა.

ტფილისის უნივერსიტეტში მიტინგი გავმართეთ ქრისტეფორე რაჭველიშვილმა, ჯვებე იოსელიანმა და მე. ამ მიტინგზე ჩოხით გამოვედი, ხმალი გავაშიშვლე და ვთქვი:

„საქართველოს ახალგაზრდობის სახელით ომს ვუცხადებ ოსმალეთს“.

ათას ხუთასი სტუდენტი ჩაეწერა იმავე კრებაზე მოხალისედ. სალდათური მარშით გავედით ქუჩაში.

ცნობილი სიმღერა გაისმა:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან შემოესმა რეკვა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა...“

ჩვენ უკვე დაზვერილი გვქონდა საარტილერიო კაზარმები ფიქრის გორაზე. ასიოდე კაზაკი ჩალიჩობდა აქ. ჩვენ გამოვრეკეთ ეს დამშეული მეომრები და კაზარმებს დავეპატრონეთ. ჩვენმა „სალდათურმა კომიტეტმა“, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მე ვიყავი, სასწრაფოდ მოვიწვიეთ ცნობილი ოფიცრები: გენერალი მაზნიაშვილი, პოლკოვნიკი კარგარეთელი, კაპიტნები: ილია მახარაძე და გოგი მესხი, საუკეთესო ჩვენი არტილერისტები. დღე და ღამ გვავარჯიშებდნენ და გვასწავლიდნენ. ამბობდა ჩვენში ჭაბუკური სული. სამშობლო დიდ გასაჭირში ჩავარდა და ჩვენ ყველანი მზად ვიყავით სასწორზე შეგვეგდო ჩვენი სიცოცხლე.

მენშევიკური მთავრობა ჩვეულებრივი მიტინგებითა და გალიმათიით ერთობოდა. ხუთასაიოდე კინკილა გვარდიელი იცავდა მათ.

ახლად შედგენილ ჯარს კვება უნდოდა. ერთ დღეს წავიყვანე ოციოდე შეიარაღებული მხედარი და მტკვრის პირა წისქვილებს მივადექით. ამ წისქვილებს განაგებდნენ რუსი ესსერები, მათ კატეგორიულად გამომიცხადეს, ჩვენ ეს ფქვილები რუსის ჯარისთვისა გვაქვსო განკუთვნილი. მე ჩემი ბრაუნინგი ამოვიღე და ვუთხარი მათ:

— „ამ წუთში დაგხოცავთ, თუ დაუყოვნებლივ არ დასთმობთ წისქვილებს“.

ბოლოს ძალამ აღმართი მოხნა. ვორონცოვის მოედანზე გავაგზავნე ბიჭები, მათ ფორნები მოიყვანეს, ფქვილის ტომრებით დავტვირთეთ ისინი და ფიქრის გორაზე წავიღეთ.

ზარბაზნებს ცხენები სჭირდებოდა. მე და ჩემი რაზმი დავძრწოდით ღამღამობით ქალაქში, ვიჭერდით ეტლებს, ცხენებს რეკვიზიციას ვუწყობდით და ჩვენს კაზარმებში მიგვყავდა ისინი. მენშევიკები დღე და ღამ ბჭობდნენ, არ იცოდნენ გამოეცხადებინათ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა. ახალგაზრდობა ღელავდა.

ერთ დღეს ათი კარგად შეიარაღებული არტილერისტი ავიყოლიე და მოქალაქურად გადაცმულნი შევიპარეთ სააზნაურო ბანკის საკრებულოში, სადაც მენშევიკ მატრაბაზებს სხდომა ჰქონდათ იმ ღამეს.

ჩვენ წინასწარ ფიცი დავდევით, თუ მენშევიკები არ გამოაცხადებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, იმ ღამესვე დაგვეხოცა ნოე ჟორდანია, კაკი წერეთელი და ევგენი გეგეჭკორი.

როცა კაკი წერეთელი ტრიბუნაზე ავიდა და მისთვის ჩვეული რუსეთუმობის ლობე-ყორეს მოედო, მე ჩემი ბრაუნინგი შევწკიპე და ის ის იყო, როგორც იყო ამოშაქრა ამ პეტარმა სიტყვა „დამოუკიდებლობა“.

●

გამოხდა ხანი.

ჩვენ უკვე მზად ვიყავით ბათუმის ფრონტზე წასასვლელად და სწორედ ამ დროს ასეთი რამ მოხდა: ჩემმა მსტოვარებმა ამბავი მოგვიტანეს, აწინდელ ვერეს ბაზარში სამანქანო გარაჟია ერთი, ეს მანქანები სადღაც უნდა გაიტაცონ შოფრებმა და უშველეთო საქმეს.

ასიოდე არტილერისტი წამოვიყვანე და დაუყოვნებლივ ალყა შემოვარტყით გარაჟს. შოფრებს ტკბილად ეძინათ, მხოლოდ რამდენიმე სალდათი და ერთი პოლკოვნიკი კონტორაში დაგვიხვდა. მე ჯიქურ მივედი პოლკოვნიკთან და ვუთხარი:

— „ერთ წუთში წამომყევით, სერიოზული საქმე მაქვს თქვენთან“.

პოლკოვნიკი ეზოში გამომყვა. სიღამით ვისარგებლე, ჩემი ბრაუნინგი ფერდზე მივაჭირე და ვუთხარი:

— „იცოდეთ, პოლკოვნიკო, ამ წუთში დაგვიცალეთ გარაჟი, თორემ სიკვდილი არ აგცდებათ“.

პოლკოვნიკმა გამიღიმა და მითხრა:

— „ეჰ, ახალგაზრდა კაცო, გეტყობა გულფიცხი ჭაბუკი ხართ. მე მხოლოდ გუშინ შევირთე ცოლი, ოღონდ ნუ მომკლავ და ჭირსაც წაუღია ეს გარაჟი და თქვენი მთავრობაც“.

ეს კაცი თავაზიანად გავაყვანინე ქუჩაში, შოფრები და სალდათები გავაღვიძებინე და ფეხსადგილებში დავამწყვდევინე, ზოგსაც პაგონები აგხადეთ და ქუჩაში გავუშვით ფრიად გახარებულნი.

გათენებამდის ძილვფხიზლობდი კონტორაში, ამასობაში ჩვენი არტილერისტები ცხენებს აბამდნენ მანქანებში და ფიქრის გორაზე მოჰყავდათ ისინი. ამასობაში მოვიდნენ რაჭველიშვილი და იოსელიანი. ერთბაშად ტელეფონის წკრიალი მოისმა.

— „გელაპარაკებათ ამიერკავკასიის მთავრობის სასახლის კომენდანტი“, — მომესმა დაბეჟილი ხმა.

— „რა გნებავთ?“

— „სამი მანქანა მზად იყოს დილის შვიდი საათისათვის“. — მე მკვახედ მივუგე:

— „იცით, ბატონო ვერეშჩაგ, ეს გარაჟი ჩვენ ავიღეთ და არავითარ მანქანას არ მიიღებთ, ეგეც უწყოდეთ, თქვენს მთავრობას ჩვენ აღარა ვცნობთ“.

ვერეშჩაგი გაცოფდა, მაგრამ ყურმილი უხეშად ჩამოვუკიდე. ამ წუთს მე გადავწყვიტე, საარტილერიო კაზარმებში წავსულიყავი, ხუთასი არტილერისტი წამომეყვანა, ამიერკავკასიის მთავრობა დამეჭირა და ეროვნული მთავრობა შეგვექმნა. წინა კვირას ჩემი მეგობრების, რაჭველიშვილისა და იოსელიანის დაუკითხავად მე ეს საკითხი შევუთანხმე გენერალ მაზნიაშვილს, პოლკოვნიკ კარგარეთელსა და დანარჩენ ჩვენს ოფიცრებს. ჩვენ ისიც გადაწყვეტილი გვქონდა: ოსმალებთან გვეომნა, მერმე ლენინთან კაცი გაგვეგზავნა და ეს ამბავი გვემცნო, რადგან ჩვენ მაშინაც ვიცოდით, ლენინი არაფრით ჰგავდა ზოგიერთ კაციჭამიებს და დარწმუნებულიც ვიყავით, იგი ჩვენ თანადგომასაც გაგვიწევდა.

ისიც გადაწყვეტილი გვქონდა, სომხებთან და აზერბაიჯანთანაც კეთილმეზობლური კავშირი დაგვემყარებინა.

მე მუდამ აგრე ვცდილობდი: პოეზიაში რომანტიკოსი ვყოფილიყავი, ხოლო პოლიტიკაში უაღრესად რეალისტი. ოსმალეთის ფრონტზე წასვლის კვირაძალში მე ვიყავი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ტფილისური კომიტეტის წევრი, მაგრამ სათანადო განცხადება შევიტანე კომიტეტში და განვუცხადე, ამიერიდან თქვენი პარტიის რიგებში არ მიგულისხმოთ მეთქი. მე არ მომწონდა ამ პარტიაში არსებული დაბნეულობა, ისინი ე. წ. კულტურულ ავტონომიას ეპოტინებოდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ბათუ დანელია**

# ახალი ლექსები

## თუმცა...

არც — ბოლოში! არც — თავში! ვარჩევ შუა
ადგილს.
ხელქვეითს ან მბრძანებელს ჩემგან ნუ ელიან,
რადგან ქვეყნად მრავალი გარგანტუაა და
ასჯერ მეტი იმათზე — პანტაგრუელია.

ვერ ვივარგებ მათხოვრად და ვერც მომხვეჭელად—
წუთისოფლის სტუმარი მთლად უქმად ვარ მგონი!..
როგორც მოველ — ისევე წავალ უეჭველად,
მაგრამ მანამ დამტანჯავს მე ეს მარათონი...

საერთგულოდ მოსული წავალ უღალატოდ,
მხოლოდ ლექსთან მიხილავს ზეცა დუელიანტს...
თუმცა ქვეყნად მრავალი გარგანტუაა და
ასჯერ მეტი იმათზე — პანტაგრუელია.

## სამშაბათი

რიცხვი — თხუთმეტი, დღე — სამშაბათი,
დაჩოქილი ვარ და ვილოცები.
სული რომ მიდგას კვლავ სამშობლოთი —
ხედავენ ჩემი ანგელოზები.

მთელი ცხოვრება ბედს ვემდუროდი,
რომ არ დგებოდა ჟამი დიადი...
და როგორც ჩიტი ზამთრის სუროდან,
სახლიდან ისე გამოვდიოდი...

დღემდე დავდივარ უკმაყოფილო,
ვარ მოარული — სულის გალია...
და ვხედავ, ჩემი წუთისოფელი,
რომ უბედური და საწყალია.

და!.. მაგრამ მაინც ვარ მე მაღალი,
ვით გადამტყდარი ალვა — წვეროზე...
და სამშობლოზე ლოცვებს აღვავლენ,
ვემუდარები ჩემს ანგელოზებს.

დაჩოქილი ვარ მე ამ სამშაბათს
და სამშობლოზე დიდხანს ვოცნებობ.
გადამირჩინეთ-მეთქი, სამშობლო,
სამშობლო-მეთქი, ანგელოზებო!

## ეპიტაფია

შენ უხდებოდი თბილისის ქუჩებს
ცოლით და შვილით, ლექსით, ყველაფრით...
ხან იყავ ბავშვი საყვარლად ურჩი,
ხან კი სიბერის შიშით ღელავდი.

ოცნება გქონდა მიწიდან ცამდი,
ტკივილი გქონდა ასი პოეტის, —
შენ ამ ცხოვრების სამსალას სვამდი
და იმ ცხოვრების პურს აყოლებდი.

როცა თენდება ქალაქში დღე და
ქალაქში ღამე შემოდის როცა —
იმ ქვეყნისაკენ მიმავალს გხედავ
და ეს ქვეყანა კვართივით გმოსავს.

## უკვე ვგრძნობ

მე სულ სხვაგვარი ცხოვრება ვნახე:
დრო-ჟამი თითქოს ხე იყო დიდი
და ჩავლილ წამებს, ვით არცა ნახერხს
თითქოს სამყაროს ფანჯრიდან ვყრიდი.

უკვე ვგრძნობ, გულს რომ ვარამი მიჭამს
და რომ თანდათან მიერთებს ნისლი...
და როცა ვიცვამ პერანგს ან პიჯაკს,
ასე მგონია — სამარეს ვიცვლი...

## ადამიანური მონოლოგი

*ბაჩანა ბრეგვაძეს*

ისმის სულთა გოდება—განკითხვის დღე მოდის,—
მას არ შეეცოდება მქნელი სიბოროტის
და გაგზავნის დათვლილად განკითხულთა ურმებს...
ქვეყანაზე მადლია ყოფნის ღერძი თურმე, —
ყოფნას ღვთით ბოძებული ღერძი გავუღუნეთ
და ეს გაგრძელებულა მთელი საუკუნე..
მეოცე საუკუნის დასასრული, დროო,
გრიალებს და გუგუნებს, როგორც ვატერლოო.
მსხვერპლი გავხდით დევების ცხრათავიანების,
დევებს რად არ შევებით ადამიანები?!
რად და — ჩვენგან ყოველი დევად ქცევას ლამობს,
კარგს ნურაფერს მოველით სწორედ ამის გამო...
ჩვენს გარშემო ყიამეთს ვქმნით ჩვენივე ხელით
და ცხოვრების სიამეს მაინც ურცხვად ველით, —
ბოლო არ აქვს მოლოდინს, ბრაზით ვაქნევთ თავებს
და სამყაროს ბოლო დღეც შავ ხელს აქანავებს..
ჩვენთა ხელთა ბინდები გაშლას, უშლის კოკორს...—
როგორ განვიწმინდებით? როგორ? როგორ?
როგორ?
ჩვენი უბედურება აღარაფერს ინდობს,
ჩვენ ვართ უწმინდურები და სიწმინდის მინდორს
ვაქუცმაცებთ ბელტებად და სიავეს ვთესავთ, —
ქრისტეს ჯვარცმა გრძელდება ჩვენი ხელით
დღესაც;
მადლი დღესაც არ გვცხია და ჟანგიან ლურსმნებს
ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს დღესაც ვაკრავთ
გულზე;
ქრისტეს დღესაც არ ვინდობთ, არ გვებრალვის
არც ერთს
და არ ვიცით, ამით რომ ჩვენს თავს ვაკრავთ
ჯვარზე.
გვავიწყდება ცოდვები და კვლავ ვცოდავთ
შფოთვით, —
როდის გავსათნოვდებით? როდის? როდის?
როდის?
დროა, გონზე მოვიდეთ! გამოვიდეთ დროზე
ამ უწმინდურ ომიდან და ჩვენს ანგელოზებს
შევავედროთ უგუნურ ყოფნის ყველა წამი
და ოცი საუკუნის ჯვარცმა შეწყდეს ამით!
უწმინდური ომიდან სათნოების მინდორს
ყვავილებად მოვედოთ — ასე განვიწმინდოთ
და ველტვოდეთ ნელიად მოშავთეთრო შორეთს,
სადაც სულებს ელიან... განვიწმინდოთ, თორემ
მეოცე საუკუნის დასასრული, დროო,
გრიალებს და გუგუნებს, როგორც ვატერლოო...

## მარტო

მარტო მივდივარ! დიდი ღამეა,
ქვეყანაც დიდი და თოვლიც დიდი...
არ შეიძლება აქ ადამიანს,
არ დაეუფლოს შიში და რიდი.

მარტო მივდივარ! მკვდარი ალერსი
გულს მაფენია ძვირფას ნაქსოვად...
მარტოკა მე ვარ ამ ქვეყანაზე,
აღარავის რომ აღარ ვახსოვარ.

მარტო მივდივარ! გაუხარებელ
გულით ვამშვიდებ ბებერ ჭრილობებს
და მესმის — თოვლის მუნჯი ზარები
ენის ამოდგმას როგორ ცდილობენ.

მარტო მივდივარ! უგზოდ, უხიდოდ —
მარტო გავდივარ თეთრი — შავიდან
(ვისაც ყველაზე უფრო ვუყვარდი —
ისიც სრულიად მარტო წავიდა)...

მარტო მივდივარ! დიდი ღამეა,
ქვეყანაც დიდი და ყინვაც დიდი...
არ შეიძლება აქ ადამიანს,
არ დაგეუფლოს შიში და რიდი.

## სარკე

ხანდახან სარკე ჩემს ოცნებებსაც
ირეკლავს, როგორც სკამს და მაგიდას, —
სარკეს ნიღბები უკვე მობეზრდა,
სარკეს გაქცევა სურს ოთახიდან.

მობეზრდა სარკეს და მეც მომბეზრდა
ძველი პიესის როლი უცვლელი...
მე უკვე ვფიქრობ სხვა ჭრილობებზე
და სარკეს სულ სხვა თვალით ვუცქერი,

ვუცქერ და მართლაც ვერ ვამჩნევ ზოგჯერ
საკუთარ თავს და საკუთარ ნივთებს, —
მათ ნაცვლად დიდი ტკივილი მოსჩანს,
რომელსაც მთელი ცხოვრება მივდევ...

ხანდახან სარკე ირეკლავს წარსულს
და მის ხავსიან ლოდსა თუ რიყეს...
სარკეში ზოგჯერ სიკვდილის კარზე
ვარ მიმდგარი და არავინ მილებს!..

## ოქროს გალია

ყველას წინაშე მუხლზე ვეცემი,
მთელი ქვეყნისგან ვითხოვ შენდობას,
თუმცა ქვეყანა უკვე ბეცია
და პოეტებსაც აღარ ენდობა.
ბოდიშს მოვუხდი მე მთელ სამყაროს,
ლექსს რომ დავნებდი — ოქროს გალიას,
ქედს ვიხრი ისე, რომ თვით სამყურაც
ზემოდან დამცქერს და მაღალია.
მითხრეს, იტანჯოს შენმა მუზამო! —
დევებს უღელი უნდათ დამადგან, —
რისთვის, ბატონო! — ცუდს ნუ იზამენ,
მეტს ხომ არაფერს ვითხოვ ამათგან!
ყოველ მათგანში შფოთავს ჰეროდე,
თავები მხრებზე ადევთ თუჯივით,
მე კი სამყურას ციცქნა ჩეროდან
გავყურებ ცას და ბედს არ ვუჩივი.
მე ჰიაყელაც მაღლით დამყურებს,
როგორც ლუკმას და მსხვერპლს სახვალიოს!
მე ისე ვიხრი ქედს, რომ სამყურაც
ჩემზე ათასი წყრთით მაღალია.
თქვენი ტახტიც და თქვენი გვირგვინიც
ჩალის ცეცხლივით უნდა მინავლდეს,
მე კი მიმიძღვის წმინდა გიორგი
და მიცავს მისი სულის სინათლე...
და მაინც თავი უნდა დავხარო,
რომ გამაჩინა ღმერთმა პოეტად,
რომ ლექსის გარდა შენთვის, სამყაროვ,
მე არაფერი მომეპოვება!



არნოლდ გეგეჭკორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ბრეგაძე

# „რაღაც ნაცნობი, რაღაც თავისი“

●

ვისაც,
თუნდ ერთხელ,
მთაწმინდიდან სიამით მზირალს —
დაბლა თავისი უძებნია თვალებით სახლი,
ვისაც,
მჯდარს კენტად,
ღელის პირას,
ანდა ხის ძირას —
აღუდგენია სახეები ნაცნობი ხალხის,
არა მგონია, არ იპოვნოს ამ ლექსში იმან —
რაღაც ნაცნობი,
რაღაც ტკბილი,
რაღაც თავისი, —
ვითარცა
ნაცნობს წარმოადგენს
ზღვათათვის წვიმა,
ვითარცა
სუნთქვა წარმოადგენს
ნაცნობს ქარისთვის.

მუხრან მაჭავარიანის ამ უსათაურო ლექსს, რომელიც მას 1955 წელს დაუწერია, დიდად გამორჩეული ადგილი არ უჭირავს მის შემოქმედებაში — იგი არ გახმაურებულა ისე, როგორც, ვთქვათ, „საბა“, „ვახტანგ მეფის ნანადირევი“, „იმერული ქელეხი“ ან ციკლი „1832“... აქ არც ისეთი ვნებათაღელვა ბობოქრობს, როგორიც მრისხანე ლექსში „სხდომა“, არც იმგვარი ფილოსოფიური დილემაა წამოჭრილი, როგორიც პატარა შედევრში „თქვი“...

სალექსო ფორმის თვალსაზრისითაც ამ ლექსში განსაკუთრებული არაფერი მოგხვდებათ ერთბაშად თვალში. ის ქართულ პოეზიაში ესოდენ გავრცელებული თოთხმეტმარცვლიანი საზომით და ტრადიციული ჭვარედინი რითმებით არის შესრულებული; თანაც ეს რითმები („მზირალს—ძირას“, „სახლი — ხალხის“, „იმან — წვიმა“, — „თავისი — ქარისთვის“) აბა სად მოვა მ. მაჭავარიანისავე ისეთ რითმა-შედევრებთან, როგორიცაა — „ელჩო, ყიალი — ხელჯოხიანი“, „ტურფა ტანძია — თუ ფანტაზია“, „შემოიარა რა „ჩემო იარალად“, „ვიხი არი — ვიზიარებ“ და სხვა მრავალი.

რაც შეეხება ხატოვან მეტყველებას — ამ ლექსში ორი შედარებაა: როგორც წვიმა წარმოადგენს ნაცნობს ზღვებისათვის და როგორც სუნთქვაა ნაცნობი ქარისთვის, იმედი მაქვს, ასევე ნაცნობი აღმოჩნდება მკითხველთათვის ამ ლექსში ასახული განწყობილებაო, — აცხადებს პოეტი.

ეს შედარებები ზუსტია, მკაფიო და ნათელი, თუმცა არა ისე მოულოდნელი და ორიგინალური, როგორც მუხრან მაჭავარიანს საზოგადოდ სჩვევია (გავიხსენოთ, თუნდაც — „მაგონდება წრიპა მთვარე, — აზნაურის ულვაშივით“; ანდა ასეთი გასაოცარი შედარება: „ღამეა შავი — ახლის შავი ქალაღლდის მსგავსი, და დღე მეორე — არის ზუსტად წინა დღის ასლი“ — ამას მოსაწყენი ერთფეროვნებით ალბეჭდილ დღეთაგან გაბეზრებული პოეტი ამბობს).

მუხრან მაჭავარიანი ის ოსტატია, რომელთანაც ლექსის ყოველ კომპონენტს მკაცრად განსაზღვრული ფუნქცია აკისრია ნაწარმოების მხატვრულ იდეასთან მიმართებით: რითმაც, ურითმობაც, სახეობრიობაც, სადა მეტყველებაც, ფორმის სიახლეც, ფორმის ტრადიციულობაც მის ლექსში არასოდეს არ არის თვითმიზნური. პოეტის მიზანი ყოველთვის ერთია: ზუსტად, უდანაკარგოდ მიიტანოს მკითხველამდე თავისი სათქმელი, აღძრას მკითხველის გულში სასურველი ემოცია თუ განწყობილება. პოეტური ალღო მას, როგორც წესი, შეუცდომლად კარნახობს, ამ მიზნის მისაღწევად სად თვალისმომჭრელ პოეტურ ფეიერვერკს უნდა მიმართოს და სად ჩვეულებრივი, ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული პოეტური ფორმებით უნდა დაკმაყოფილდეს.

ამ ლექსშიც მხატვრული იდეა და მისი გამოხატვის ფორმა ზუსტად შეესატყვისება ერთმანეთს.

საით მიგვყავს მსჯელობა? ისე ხომ არ გამოდის, რომ არაფრით გამორჩეული ფორმით აქ უინტერესო, ბანალური სათქმელია გადმოცემული? ცხადია, არა, შეუძლებელია ასე იყოს, რადგან ლექსის წაკითხვის შემდეგ ნამდვილად ჩნდება „რაღაც ნაცნობი, რაღაც ტკბილი, რაღაც თავისი“ განცდა. ოღონდ ისიც აშკარაა, რომ მხატვრული გამოსახვის ოსტატობით გამოწვეული აღტაცება კი არ გვეუფლება, არამედ გრძნობა მადლიერებისა ხელოვანისადმი, რომელმაც ჩვენს გულში ეს „ტკბილი“ განცდა აღძრა. ლექსის ჩაკითხვის შემდეგ ტექსტი თითქოს ქრება ჩვენი თვალსაწიერიდან და ვრჩებით ჩვენს თავთან მარტო, „რაღაც ნაცნობი, რაღაც ტკბილი“ განცდით გულავსებულნი...

მაგრამ მთელი ეს მსჯელობა ლიტონ ლაპარაკად დარჩება და ვერაფერს ღირებულს ნაწარმოებზე ვერ ვიტყვით მანამ, სანამ ლექსის მხატვრულ იდეას არ მოვიხელთებთ. მოდით, ვცადოთ ეს.

რატომ ჰგონია პოეტს, რომ უთვალავ საცხოვრისს შორის ჩაკარგული საკუთარი სახლის მაღლიდან ძებნის ᲘᲜᲡᲢᲘᲜᲥᲢᲣᲠ ჩვეულებას თუ შეგვახსენებს და ღელის პირას კენტად ჯდომისას ნაცნობი ადამიანების სახეთა მეხსიერებით გაცოცხლების ᲣᲜᲐᲠზე თუ გაგვამახვილებინებს ყურადღებას, ეს ჩვენში, მის მკითხველებში, „რაღაც ნაცნობ, რაღაც ტკბილ და რაღაც თავის“ განცდას გამოიწვევს?

ჯერ ის უნდა ითქვას, რომ ეს ᲘᲜᲡᲢᲘᲜᲥᲢᲘᲪ და ეს ᲣᲜᲐᲠᲘᲪ ზოგადადამიანური თვისებებია, ეს ის თვისებებია, რაც ადამიანებს ერთმანეთთან საერთო აქვთ, რაც ადამიანებს ერთმანეთს ამსგავსებს, რაც მათ აახლოვებს. ეს ის თვისებებია, რომელთა გამოც ადამიანები სოლიდარულნი არიან ერთმანეთის მიმართ.

მაგრამ მარტო ზოგადადამიანურზე მინიშნებით, მარტო საერთოადამიანურის შეხსენებით მკითხველის გულის მოგება გაჭირდება. ადამიანისთვის ძვირფასია არა იმდენად ის, რაც მას სხვებთან საერთო აქვს, არამედ უფრო ის, რაც სხვათაგან გამოარჩევს, ანუ ის, რასაც ამ ლექსში „რაღაც თავისი“ ეწოდება. ამიტომ არის, რომ ᲧᲕᲔᲚᲐ ეძებს მაღლიდან სიამით მზირალი თავის სახლს, მაგრამ ყველა ᲗᲐᲕᲘᲡ სახლს ეძებს; ღელის პირას, ანდა ხის ძირას კენტად ჯდომისას (ანუ ბუნების წიაღში განმარტოებისას) ყველას შეიძლება აღეძრას ტკბილი მოგონებები და ამით ყველანი ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ ყველას მხოლოდ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ტკბილი მოგონებები აღეძვრის და ამით ყველანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

ზოგადადამიანურისა და ინდივიდუალურის ჰარმონიაზე მინიშნება ბადებს სწორედ ამ ლექსის მკითხველის გულში „რაღაც ნაცნობ, რაღაც ტკბილ“ და „რაღაც თავის“ განცდას. ზოგადადამიანური და ინდივიდუალური ისევე ბუნებრივად და სასიამოვნოდ ერწყმის აქ ერთმანეთს, როგორც ზღვას ერწყმის წვიმა და სუნთქვა ერწყმის ქარს. ამ შედარებებს პირდაპირი დანიშნულების გარდა კიდევ ის ფუნქცია აქვთ, რომ მათი კომპონენტები — ზღვა და ქარი — ზოგადადამიანურის, ხოლო წვიმა და სუნთქვა — ინდივიდუალურის ასოციაციას აღძრავს ჩუმად.

მოკლედ, „რაღაც ტკბილ“ განცდას ამ ლექსის კითხვისას იმის შეგრძნება წარმოშობს, რომ ისეთიც ხარ, როგორნიც ყველანი არიან და, ამავე დროს, ყველასგან განსხვავდები, განსხვავდები თუნდაც ᲨᲔᲜᲘ სახლით, ᲨᲔᲜᲘ მოგონებებით. არც ადამიანური ერთობის გარეთ ხარ გარიყული და, ამავდროულად, არც გათქვეფილი ხარ ამ ერთობის წევრებში.

პოეტი ისეთ ზოგადადამიანურ თვისებებს შეგვახსენებს, რომლებიც ამავე დროს ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ინდივიდუალურნიც არიან. ამ თვისებების ზოგადადამიანურობის გამო პოეტს იმედი აქვს, რომ ლექსში გამოხატული განცდა ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ყველასათვის ნაცნობი აღმოჩნდება. ამავე თვისებების მკაფიოდ ინდივიდუალური შეფერილობის გამო კი პოეტი იმედოვნებს, რომ ეს განცდა ყველასათვის ᲗᲐᲕᲘᲡᲘ (თავისებური) განცდა იქნება.

ნებისმიერი ზოგადადამიანური თვისება როდი გამოდგებოდა აქ მკითხველის გულში სასურველი ემოციის აღსაძვრელად, ნებისმიერი ზოგადადამიანური თვისება როდია ამავე დროს მკაფიოდ ინდივიდუალურიც. მაგალითად, ზოგადადამიანური თვისებაა ისიც, რომ, როცა კაცს მოსწყურდება, სიამოვნებით მიირთმევს წყალს. წყურვილის მოკვლით აღძრული სიამოვნებაც ზოგადადამიანური განცდაა, მაგრამ ინდივიდუალურის გამოვლენის შესაძლებლობა აქ არ არის — წყალს ყველა მწყურვალი ერთნაირად ეწაფება, „თავისის“ მოძიება აქ ვერ ხერხდება.

დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ ამ ლექსის გარეგნული სისადავე. ამასაც თავისი ფუნქცია აქვს: უაღრესად ყოფით და ჩვეულებრივ მოვლენებზეა მასში ლაპარაკი და ელვარე ფორმით მათი მკითხველისათვის მიწოდება არ იქნებოდა მართებული, ეს დაგვაცილებდა კიდეც მხატვრულ იდეას. მაგრამ უფრო ღრმად რომ ჩავხედეთ, ლექსში გამოხატული განცდა სულაც არ აღმოჩნდა ისე სადა და მარტივი, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა: იგი ზოგადის და ინდივიდუალურის რთული ნაზავი გამოდგა.

ასევე, ამ ლექსის ფორმის სისადავეც „მატყუარა“ სისადავეა. არ ვიცი, შეამჩნიეთ თუ არა, რომ მთელი ეს ორსტროფიანი ლექსი ᲔᲠᲗᲘ წინადადებაა, ერთი ᲠᲗᲣᲚᲘ ქვეწყობილი წინადადება. ლექსის ბოლოს რომ წერტილია დასმული, ეს აქ ერთადერთი წერტილია. მთელი ლექსი სინტაქსურად ერთიანი მონოლითია, რაც საკმაოდ იშვიათი რამ გახლავთ. ლექსის სინტაქსური მონოლითურობა მასში გამოხატული განცდის მონოლითურობის შედეგიცაა და საფუძველიც — ისინი ერთმანეთს განაპირობებენ.

ლექსი იწყება ორი ერთგვაროვანი დამოკიდებული წინადადებით, რომელთა საწყისია ანაფორულად გამეორებული მაკავშირებელი სიტყვა „ვისაც“. ამის შემდეგ მოდის მთავარი წინადადება და ბოლოს ისევ ორი ერთგვაროვანი დამოკიდებული წინადადება, რომელთა საწყისია ანაფორულად გამეორებული მაკავშირებელი სიტყვა „ვითარცა“. ეს სინტაქსური სიმეტრია, დინჯ ინტონაციასთან შეწყვილებული, გაწონასწორებულობის, სტაბილურობის, სიმშვიდის შთაბეჭდილებას ქმნის, რაც ხელს უწყობს ლექსში გამოხატული განწყობილების მკითხველამდე მაქსიმალური ეფექტით მიტანას.

ასე რომ, ამ ლექსის ფორმაც, მისი შინაარსის მსგავსად, „რთული სისადავე“ აღმოჩნდა.

თუმცა... განა ხელოვნებაში არსებობს „მარტივი სისადავე“?



## „გულანი“

გამოვიდა მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გულანის“ ალმანახი „გულანი“. (გამომცემლობა „მერანი“).

ალმანახი იხსნება ასოციაციის პრეზიდენტის მაყვალა გონაშვილის შესავალი წერილით. „გულანი გულთ სანდომად შეკრებილი წიგნი: გულანი ესე არს საგალობელი სრული“; გულანი — გულის ნებით შეკრებილი წიგნიაო — განმარტავს საბა. სწორედ გულის ნებამ, ურთიერთპატივისცემამ და სიყვარულმა გაგვაერთიანა მწერლები ერთ ასოციაციაში“ —წერს წინასიტყვაობაში ავტორი.

„გულანში“ მკითხველს შეუძლია გაეცნოს ახალგაზრდა ავტორთა ლექსებს, მოთხრობებს, წერილებს, საინტერესო თარგმანებს. რუბრიკით „წიგნიდან ბედისწერა“ წარმოდგენილია უდროოდ გარდაცვლილი მწერლების—თამაზ ბაძაღუას და ირაკლი კოსტავას ლექსები.

ალმანახი გამოვა წელიწადში ორჯერ.

„გულანის“ რედაქცია მადლიერებით აღნიშნავს, რომ მას სპონსორობას უწევს გამომცემლობა „მერანი“.

მკითხველებს ასევე ვაუწყებთ, რომ მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გულანის“ პირველი პრემია წიგნისთვის „ბოლმა უარყოფილ სულთა“ (გამომც. „მერანი“ 1991 წ.), მიენიჭა ვახტანგ ღლონტს. აღნიშნული პრემია ყოველწლიურია და მიენიჭება ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალს საუკეთესო წიგნისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პეტრე კურცხალია



ამ პატარა მოგონების დაწერის სურვილი ბიძაჩემ პეტრე კურცხალიაზე, აღმიძრა თამარ და სანდრო გოთუების მიერ ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულმა ძალზე საინტერესო ისტორიულმა ამბავმა, რომელიც ეხება ლევან გოთუას განვლილ ცხოვრებას.

დიდ მადლობას ვუხდი თამარ და სანდრო გოთუებს, რამდენადაც ბევრი ისეთი ფაქტი და ამბავი წავიკითხე ჟურნალ „მნათობში“ პეტრეს შესახებ, რაც დღემდე არ ვიცოდი და არც წარმომედგინა.

პეტრე კურცხალია დაიბადა 1894 წ. საჩხერის რაიონში, სოფელ არგვეთში. პეტრეს მამა ვლადიმერ კურცხალია მამაჩემის (ცნობილი პედაგოგისა და შრომის გმირის) ხეით იაშვილის მკვიდრი ბიძა იყო, ვლადიმერს მრავალშვილიანი ოჯახი ჰყავდა, ამიტომ მამამ, ბიძის ცხოვრების შემსუბუქების მიზნით, თავისთან საცხოვრებლად და გასაზრდელად თბილისში წამოიყვანა ვლადიმერის უმცროსი ვაჟი პეტრე და ქალიშვილი ეკატერინე (ცუციკო).

ხეით იაშვილი პედაგოგად მუშაობდა თბილისის ყოფილ სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში და პეტრეს სასწავლებელში მოწყობა არ გაძნელებია, მითუმეტეს, რომ პეტრეს არც ნიჭი აკლდა და არც შრომისმოყვარეობა, პეტრეს დას ცუციკოს კი დედაჩემი ასწავლიდა როგორც წერა-კითხვას, ისე ჭრა-კერვასა თუ ქარგვას. პეტრე კურცხალია სამაგალითო მოწაფედ ითვლებოდა გიმნაზიაში და მამაჩემსაც ეს ძალზე ახარებდა.

პეტრემ ისეთი სახელი მოიხვეჭა როგორც ნიჭიერმა და მომზადებულმა მოსწავლემ, რომ თავისი კლასის ამხანაგებსაც კი უწევდა სწავლაში დახმარებას. პეტრესთან მეგობრობდნენ და მასთან სახლში დადიოდნენ შემდეგში ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორც იყვნენ აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, პროფესორი უროლოგი ლევან ცისკარიშვილი, ბავშვთა ქირურგი პროფ. გაბო რატიშვილი, პროფესორი ალ. უსტიაშვილი და სხვ.

მამას ეამაყებოდა პეტრეს ჩვენი ოჯახის წევრობა. აფასებდა მის დიდბუნებოვან და კეთილშობილ ხასიათს, მის პატიოსნებას და დადებით გავლენას საკუთარ შვილებზე.

პეტრე კურცხალია იყო თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი, პოლიტიკაში კარგად ერკვეოდა, ებრძოდა ყოველგვარ უსამართლობას. სახლშიც კი მამაჩემს, როგორც სოციალისტ-ფედერალისტს, ხშირად ეკამათებოდა და უფრო ეროვნული-დემოკრატიის პროგრამას იცავდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს კარგ ეკონომისტად ითვლებოდა და დიდ საპასუხისმგებლო ადგილებზეც ღებულობდნენ სხვადასხვა დაწესებულებებში. 1921 წ. მონაწილეობას ღებულობდა ბოლშევიკების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. მას ვერ წარმოედგინა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, მაგრამ, საუბედუროდ, რუსეთის ჯარის სიმრავლემ თავისი გაიტანა და თავისუფლება დავკარგეთ. ამ ხნიდან მოყოლებული, ქართველი ერი ვერაფრით ვერ ურიგდებოდა ბოლშევიკურ წესწყობილებას და 1924 წ. აგვისტოში მოხდა კიდეც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კახეთში, გურიაში, ზემო იმერეთში და სხვ. ეროვნული აჯანყებები. საუბედუროდ, აჯანყებას საქართველოს კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტით უპასუხა. იჭერდნენ და ხვრეტდნენ ისეთ ხალხსაც, ვინც არც კი მონაწილეობდნენ ამბოხებაში, აპატიმრებდნენ ნიშანში ამოღებულ ხალხს, მათ ახლობლებს, მოგვარეებს, ახალგაზრდებს, მოხუცებს და ბავშვებსაც კი. ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელს ან ხვრეტდნენ ანდა ციმბირში ასახლებდნენ.

როგორ დაავიწყდება ხალხს სოფელ არგვეთში ქართველი ხალხის მხეცური განადგურება, როცა საქონლის დახურულ ვაგონებში დამწყვდეულ ტუსაღებს ტყვიამფრქვევი დაუშინეს. უმთავრესად ამ ვაგონებში დაიღუპნენ ჭიათურის და საჩხერის რაიონების საუკეთესო წარმომადგენელნი—წერეთლები, აბაშიძეები, მაჭავარიანები, კურცხალიები, იაშვილები, ბარათაშვილები და სხვ.

ასეთივე საშინელება ხდებოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

25 და 26 წლებში კვლავ გრძელდებოდა ქართველი პატრიოტების დაჭერა და გაციმბირება. სოლოვეცკის ციხეში მოხვდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: დიდი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, ძალზე ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი და დრამატურგი ლევან გოთუა, ცნობილი ეკონომისტი პეტრე კურცხალია, იასე ფავლენიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილი, ბესო ვაშაკიძე და სხვ. საბედნიეროდ, ბატონი კონსტანტინე შედარებით უფრო ადრე დაუბრუნდა თავის სამშობლოს.

სოლოვეცკის ციხეში ქართველი პატრიოტები შეყრილი ჰყავდათ ბანდიტებთან, კაცის მკვლელებთან, ქურდებთან და ავაზაკებთან, ამიტომ მათ პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადეს, რაც, სულ ცოტა, ოც დღეზე მეტი გაგრძელდა, და 26 პოლიტიკური პატიმრიდან მხოლოდ ექვსი დარჩა ცოცხალი. ესენი იყვნენ: პეტრე კურცხალია, ლევან გოთუა, იასე ფავლენიშვილი, ბესო ვაშაკიძე, შოთა აბესაძე და შალვა დადიანი.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ მოვიგონო ბიძაჩემის წერილის შინაარსი, რომელშიც დიდი განცდებით იტყობინება უვადო შიმშილობის შედეგად თავისი საუკეთესო მეგობრის ვანიჩკა ყარანგოზიშვილის გარდაცვალებას.

საინტერესოა ორი მეგობრის — პეტრეს და ვანიჩკას ციხეში გადაღებული სურათი, ერთნაირი სევდიანი გამომეტყველება რომ ალბეჭდიათ სახეზე. სოლოვეცში სამი წლის უადამიანო ცხოვრების დამთავრების შემდეგ ზემოხსენებულ ტუსაღებს არა ჰქონდათ უფლება საბჭოთა კავშირის მთავარ ქალაქებში ცხოვრებისა, რის შედეგადაც ექვსიდან ოთხმა — პეტრემ, ლევანმა, იასემ და ბესომ აირჩიეს ვლადიკავკაზში ცხოვრება იმ მოსაზრებით, რომ უფრო ახლოს იქნებოდნენ თბილისთან. ვლადიკავკაზში ეს ოთხი მეგობარი შეიკედლა ერთმა პატიოსანმა და კეთილშობილმა პიროვნებამ ბ-ნმა სიმონ ბურდულმა, რომელმაც ერთი ოთახი გამოუყო მათ საცხოვრებლად, აი, როგორ იგონებს იგი პეტრე კურცხალიას: ამ ოთახში პეტრე კურცხალია ყველაზე უფროსი იყო. არაჩვეულებრივად სერიოზული, დინჯი, დაფიქრებული, განათლებული და ინტელიგენტი, დიდი პატრიოტი და რუსოფილების სასტიკი მოძულე. პეტრემ მუშაობა დაიწყო ამ ქალაქში, როგორც გაზიანი წყლების გამყიდველმა და ირჩენდა კიდეც თავს. მაგრამ ჩეკამ თავისუფალ გადასახლებაში მყოფ ოთხ მეგობარს, პეტრეს, ბესოს, იასეს და ლევანს რატომღაც კიდევ მოუმატა სამი წელიწადი, ამან მოთმინებიდან გამოიყვანა ისინი და დიდი ფიქრის და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტეს თურქეთისაკენ საზღვრის გადალახვა, რაც, საუბედუროდ, ძალზე ცუდად დამთავრდა. მეგზურმა ისინი გასცა, და როცა რაღაც წამები აკლდა მათ გადარჩენას, საშინელ გარემოცვაში მოხვდნენ, ჩეკისტებმა დაშინების მიზნით, ტყვიები დაუშინეს, პეტრე მდინარის გადალახვის დროს მძიმედ დაჭრეს, ხოლო ლევანს, იასეს და ბესიკს ბორკილები დაადეს და ჯერ თბილისის ჩეკაში, შემდეგ ციხეში და ბოლოს ისევ გადასახლებაში გაგზავნეს. მძიმედ დაჭრილი პეტრე კურცხალიას შემდეგი ბედი კი, როგორც მისი მეგობრებისთვის, ისე ჩვენთვის — მისი ახლობლებისთვის, გაურკვეველი დარჩა.

ვინ და სად მოარჩინა დაჭრილი პეტრე, ანდა შემდეგ სად გადაასახლეს, ეს დღესაც ჩვენთვის ბნელითაა მოცული, თვითონ პეტრეს, არასდროს უყვარდა თავის გაჭირვებაზე საუბარი. და აი, როგორც იქნა, მის ნახვას ველირსეთ მხოლოდ 1935-37 წელს, ისიც ძალზე მცირე ხნით. თბილისში მშვენივრად მოეწყო სახკინმრეწვში მთავარ ეკონომისტად, მაგრამ სულ მალე, როგორც გადასახლებაში მყოფს, აუკრძალეს თბილისში ცხოვრება და მუშაობა. ნება დართეს ეცხოვრა ზესტაფონში, და ფეროში მთავარ ეკონომისტად დაიწყო მუშაობა, მაგრამ აქაც შეუშვეს წყალი.

პეტრე კურცხალი ფეროში, როგორც საქმის დიდ ოდნეს, ემადლიერებოდნენ, მაგრამ გადასახლებაში ნამყოფს მაინც ალმაცერად დაუწყეს ყურება. მასთან ერთად მუშაობდნენ ინჟინრად — შიო ჩიტაძის ვაჟიშვილი ვასიკო და ეკონომისტად ჩემი კლასის ამხანაგი, მიხო ბერიტაშვილი.

1936 წლის მიწურულში და 37 წლის პირველ თვეებში ზემოხსენებული პირები უკვე მონათლეს მავნებლებად და საბჭოთა წყობილების მტრებად. დადგა 37 წელი და ღმერთმა უწყის ვის იჭერდნენ, ვის ხვრეტდნენ, ვის ასახლებდნენ. ხან სამეული წყვეტდა ხალხის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, ხან კი, ვითომ სასამართლოს დადგენილებას ემორჩილებოდნენ. სწორედ ამ დროს ჩამოვიდა ზესტაფონიდან პეტრე კურცხალია თბილისში. და თავისი საოჯახო ბარგი — უმთავრესად კი უამრავი წიგნები, მიიტანა თავის დასთან (რაც, ჩემის აზრით, დაჭერის მოლოდინის წინათგრძნობით იყო გამოწვეული). ჩვენ, სუყველა ახლობლები გვინახულა, ალბათ, გამომშვიდობების მიზნით, მამაჩემმა მამაშვილურად ურჩია ზესტაფონში აღარ დაბრუნებულიყო და რუსეთის რომელიმე რესპუბლიკაში წასულიყო, დროებით საცხოვრებლად. მაშინ მე ვცხოვრობდი ყოფილ ბარიატინსკის ქუჩაზე დაქირავებულ ბინაში, პეტრემ ჩემი პატარა ოჯახის ნახვაც ისურვა, მით უმეტეს, რომ, როგორც თქვა, ძალიან მონატრებოდა თავისი ნათლული — ჩემი პატარა მარინე, რომელსაც ეს სახელი თვითონ შეარქვა. მამაჩემის რჩევა მეც გავუმეორე, მაგრამ ცივი უარი მითხრა. „როგორ, ჩემს მეგობრებს დავემალო, რომლებიც ალბათ დაჭერილებიც არიან?“ პეტრე წავიდა ზესტაფონში, შესულა თავის ბინაში ღამის 11 საათზე, და ლოგინზე ჩაცმული წამოწოლილა, დაახლოებით პირველ საათზე თურმე პირდაპირ შევიდნენ ჩეკისტები და დაადგნენ თავზე — შეეკითხნენ: რატომ არ გძინავს? პეტრეს უპასუხნია: თქვენ გიცდით და იმიტომ აღარ შევიწუხე თავი ლოგინში ჩასაწოლადო.

მოკლედ, პეტრე წაიყვანეს და ჩააგდეს კარცერში ისევე, როგორც ფეროში მომუშავე მისი ამხანაგები გ. ჩიტოშვილი, მ. ბერიტაშვილი და სხვ. რამდენიმე კვირის წამების შემდეგ უჭმელი და ნაწვალები უტეხი ვაჟკაცები ჩამოიყვანეს თბილისში, და მე, სრულიად შემთხვევით, კონსერვატორიაში მიმავალმა ვნახე წვერმოშვებულები როგორ ვაჟკაცურად მიაბიჯებდნენ რუსთაველის გამზირზე და როგორ შეიყვანეს უშიშროების კომიტეტის შენობაში.

პეტრე კურცხალიას გამწარებულმა ერთადერთმა დამ დიდი წვალების შემდეგ მიაღწია აუდიენციას ბერიასთან, რომელსაც ასეთი სიტყვები უთქვამს მისი ძმის შესახებ. **«Ну и брат у вас; он оказался сильнее меня; такого твердого орешка я еще не встречал».**

რასაკვირველია, დის აუდიენცია ბერიასთან უშედეგო გამოდგა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ძმის რეაბილიტაციის ცნობა მიიღო.

მინდა გავიხსენო ერთი ამბავიც.

1941 წ. მე და ჩემი 8 წლის მარინე მივემგზავრებოდით მოსკოვს საერთაშორისო ვაგონით, გზაში ბავშვი ვიოლინოზე უნდა მემეცადინებინა. შემდეგ კი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორებისაგან სათანადო კონსულტაციები მიმეღო; მეზობელ კუპეში მგზავრობდა ვინმე სალაძე. როგორც მეზობელი, ჩემთან შემოდიოდა ხოლმე და ვმუსაიფობდით, სალაძე აღმოჩნდა ზესტაფონის ფეროს პარტკომი და საერთოდ დიდი ძალაუფლების მქონე პიროვნება. გატაცებით მიამბობდა, როგორ შეისწავლა და გამოავლინა საბჭოთა წყობილების მტრები — ფეროში მომუშავე ეკონომისტები. პეტრე კურცხალია, მიხო ბერიტაშვილი, ინჟინერი ვასილ ჩიტოშვილი და სხვა. და თან მიხასიათებს მათ ვინაობას:

პეტრე კურცხალია მათ შორის ყველაზე დარბაისელი, საქმის მცოდნე, პატრიოტი და გაუტეხავი კაცი იყო, 25-26 წლის მიხო ბერიტაშვილი არაჩვეულებრივად ნიჭიერი, მაგრამ ამავე დროს საშინელი ცინიკოსი იყო, სულ დასცინოდა კომუნისტურ წყობილებას, არაფრად გვაგდებდა, ვ. ჩიტაძეც განათლებული და ინტელიგენტი, მაგრამ პოლიტიკურად ისიც საეჭვო იყო. ამიტომაც, მე დამსახურებად ჩამეთვალა როგორც მათი გამომჟღავნება, ისე დაჭერაო. სწორედ ამ „ვაჟკაცობისათვის“ დაეწინაურებინათ სალაძე 31-ე ქარხნის გენერალურ დირექტორად.

სულგანაბული ვუსმენდი სალაძის მოყოლილ ამბავს და გული ლამის ბოლმისგან გამხეთქოდა. მან აბა რა იცოდა, რომ პეტრე კურცხალია ჩემი ბიძა, ხოლო მიხო ბერიტაშვილი — ჩემი კლასის საუკეთესო მეგობარი იყო.

მამაჩემს ეამაყებოდა, რომ პეტრე ჩვენს ოჯახში დავაჟკაცდა, და დიდ იმედებსაც ამყარებდა მასზე. ხშირად უთქვამს ჩემთვის, ისე უნდა სწავლობდე, ისე უნდა იქცეოდე, ისეთი კეთილშობილი, ინტელიგენტი და ამავე დროს სამშობლოსთვის თავგანწირული უნდა იყო, როგორც ჩვენი პეტრეაო.

**ლუარსაბ იაშვილი**

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ მიწისძვრისაგან დაზარალებულთა ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიხეილ ზაქარაშვილი**




ვითომ ამერიკაში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებები

როცა მე ნიუ-იორკში ჩავფრინდი, ვიფიქრე აქ ჩემი ჩამოფრენა ყველას სცოდნია-მეთქი. გამვლელნიც კი ისე მიღიმოდნენ, თითქოს ეს-ესაა ვეჩვენებინოთ ამერიკის ტელევიზიით. მე საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ამერიკაში, უბრალოდ, ასეა მიღებული — ერთმანეთს უღიმიან. რა ვიცოდი, რომ ისინი ქუჩაში სახეგაბადრულნი დადიან, რომ სიცოცხლეახარებთ! როცა ამერიკელ გამვლელთა სახეებს შესცქერი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მათ არ იცოდნენ, რომ ლპებიან.

მოგზაურობის ბოლომდე ვერა და ვერ შევეჩვიე ამ გაუთავებელ ამერიკულ კეთილმოსურნეობას. ნეტა, რისთვის გიცინიან ასე? რა უნდათ შენგან? თავიდან, როცა თვითმფრინავში გამიღიმა სტიუარდესამ, პატიოსნად გეტყვით, ვიფიქრე, რომ რაღაცა მქონდა შეხსნილი. სასტუმროში შვეიცარმა ხომ ხელი მომითავა. გამიღიმა და კარი ციმციმ გამიღო! უხაროდა ჩემი ჩამოსვლა! თქვენ თუ გინახავთ როდისმე შვეიცარი, რომელსაც თქვენი ჩამოსვლა უხაროდა?! ნეტა, მსოფლიოს ყველა ქვეყნის სასტუმროებში შვეიცრები რატომ გიღებენ კარებს და რატომ ეზიდებიან თქვენს ბარგს, ჩვენები კი რატომ არ გიშვებენ სასტუმროში? როცა ხანდაზმულმა „ბოიმ" ჩემი ბარგი ნომერში შეიტანა და, უტაქტოდ მომღიმარემ, შემომთავაზა, თაროებზე მათს ჩამოლაგებაში დაგეხმარებითო, მე ის გავაგდე ნომრიდან მისი ბინძური ქარაგმის გამო.

ასე რომ, გასტროლების პირველ დღეებშივე გავიგე, თუ რამდენად მართალი იყვნენ საბჭოთა კორესპონდენტები და ტელეკომენტატორები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ამერიკაში ყოფნა არ გსიამოვნებს ადამიანს. ნამდვილად არ გსიამოვნებს. არ იცი, რა გააკეთო საპასუხოდ. შენც უნდა გაუღიმო? მე არ შემიძლია მთელი დღე-ღამე ვიღიმებოდე. ჩვენ — საბჭოთა ადამიანებს — სახის სხვა კუნთები გვაქვს განვითარებული. მე ვცადე. საღამოსთვის ღიმილი უხეშდება, სახე ილრიცება და სასიკვდილოდ დაჭრილი ადამიანის ღიმილი გამოდის.

მაგრამ ეს ღიმილი ცუდია. უკულტურობაა. საკმარისია მაღაზიაში შეხვიდე, რომ შენთან მოირბენს გამყიდველი და იდეალურად დახვეწილი ღიმილით გეკითხებათ: „რა გნებავდათ? რითი შემიძლია გემსახუროთ?" აბა, როგორ უნდა ავუხსნა, თუ რითი შეუძლია მემსახუროს. მხოლოდ იმით, რომ დაუყოვნებლივ მომწყდეს და ხელი არ შემიშალოს. იმიტომ, რომ მე აქ საყიდლად კი არა, და სათვალიერებლად შემოვედი, რამეთუ ერთბაშად ას მეტრზე დაწყობილი სხვადასხვანაირი ფეხსაცმლები არასოდეს მინახავს. ამიტომა ვარ ახლა ექსკურსიაზე!

ღმერთმა ნუ ქნას, რომ დახლიდან ფეხსაცმელი გადმოიღოთ და მოზომება სცადოთ. ის სავარძელში ჩაგსვამთ, თვითონ ჩაგაცმევთ და თასმებსაც შეგიკრავთ. თუ თქვენი ფეხის ზომა არ აღმოჩნდება, საწყობიდან ახალ და ახალ წყვილებს გამოგიტანთ და მანამ არ მოგეშვებათ, ვიდრე მის წინაშე დანაშაულის გრძნობის კარნახით არ იმოქმედებთ და... თასმებიან ჩუსტებს მაინც არ შეიძენთ. ყოველი გაყიდული ნივთისთვის მას, თურმე, პრემია ეკუთვნის. ყველას დამსახურების მიხედვით — სოციალიზმის კანონია! ამიტომაც ირჯებიან ისინი ისე, როგორც უნდა იქცეოდნენ ადამიანები სოციალურად სამართლიან საზოგადოებაში. ესე იგი, თუ არაფერს იყიდი, დამნაშავედ მიიჩნევ თავს. თავს დამნაშავედ გრძნობ იმის გამო, რომ საერთოდ შეხვედი მაღაზიაში.

მართალია, მოგზაურობის ბოლოს ვისწავლე მათს მომღიმარე სერვისთან ბრძოლა. როგორც კი მკითხავდნენ, რითი შეგვიძლია გემსახუროთო, მე მაშინვე ყბების ახევამდე გაღიმებული ვპასუხობდი: „გმადლობთ! მე საბჭოთა კავშირიდანა ვარ". და ის უკვალოდ ქრებოდა. ხვდებოდა, რომ მხოლოდ დასათვალიერებლად შევედი... თანაც, ეს მხოლოდ გამყიდველებმა როდი იციან. ამერიკელ ქალებს საბჭოთა მამაკაცები ისე ებრალებათ, როგორც მხოლოდ ღარიბ-ღატაკი შეიძლება შეგებრალოს. ინტელიგენტური ამერიკელი ქალი საბჭოთა მამაკაცს კაფეში ფულის გადახდის უფლებას არ მისცემს, თუნდაც მხოლოდ პატარა ჭიქა დიეტური პეპსიკოლა დალიოს. დიდი-დიდი „არაშავმიწანიადაგი ზონის გვირილებისა" ან „ალტაის თხების" ტიპის ღია ბარათების შეკვრა იჩუქნოს მისგან.., რათა ეს ღია ბარათები დაიტოვოს მჩუქებლის სამარადისოდ და მკაფიოდ დასამახსოვრებლად.

მაგრამ ამერიკაში ყველაზე გამოცდილი გამყიდველები შენთან არ მორბიან, როცა მაღაზიაში შედიხარ. ბევრმა მათგანმა უკვე ისწავლა საბჭოთა ადამიანის ცნობა. არა ტანსაცმლით, არა... ამერიკაში ჩამოსვლიდან სამი დღის შემდეგ ნებისმიერი საბჭოთა მოქალაქე ზუსტად ამერიკელ უმუშევარსავითაა ჩაცმული, თუ, რასაკვირველია, უმუშევარს ჩავაცმევთ გულდაგულ დაუთოებულ ჯინსებსა და შავ ქუსლებიან ლაქის ფეხსაცმლებს. არა, ჩვენებური კაცი ნებისმიერ უსაფუძვლოდ გახარებულ დასავლურ ბრბოში უშეცდომოდ გამოიცნობა მისი სახის გამომეტყველებით. მასზე თითქოს სამარადჟამოდაა აღბეჭდილი ჩვენი ინინდუსტრიალიზაცია! მასზე აღბეჭდილია ეტაპები დიდი გზისა, აკრულია კომკავშირის ექვსი ორდენი, მოუხვნელი ყამირი და ნანგრევთა განუწყვეტელი აღდგენა... ამასთან, მის თვალებში ირეკლება საგონებელში ჩავარდნილობის ყოველწამიერი ბრძოლა ზრუნვით შეწუხებულობასთან.

მეორის მხრივ, სხვა როგორი სახე შეიძლება ჰქონდეს ჩვენებურ კაცს, როცა ის შედის სასურსათო მაღაზიაში და იქ ხედავს ორმოცი სახის ყველს? ის ხომ ტანჯვას იწყებს! — რომელი აირჩიოს? ამ მიმართებით ჩვენი საზოგადოება უფრო ჰუმანურია. ჩვენში ამის გამო ტანჯვა არ გიხდება — ჩვენთან ყველის ერთი სახეობაა: ყველი! მას სახელად ჰქვია „თუკი შემოიტანეს..."

ერთ მაღაზიაში არ დავიზარე და დავითვალე... ოცდაჩვიდმეტნაირი ზეთისხილი! რამდენადაც ვერ შევძელი ფანტაზიით წარმომესახა ასეთი რაოდენობა იმისა, რაზეც საერთოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, გამყიდველს გამოვკითხე, თუ რითი განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან. თურმე, მათში კურკების ნაცვლად სხვადასხვაგვარი გულია: ზოგში — ნუში, ზოგში — არაქისი, ზოგშიც ისეთი რამ, რისი დამნახავი მიჩურინიც შეიძლებოდა ჩამოვარდნილიყო იქიდან, რაც მან გაზარდა. გასაოცარია! ეს კაკლები, ნეტა, როგორ ხვდება ზეთისხილებში? და ისინი იქ პარტიის ხელმძღვანელი როლის გარეშე ხვდება. სამინისტროებისა და უწყებათა მონაწილეობის გარეშე. არავინ იძლევა განკარგულებას „კაკლების საყოველთაოდ გამოწუწნის თაობაზე" და არ ჰკიდებს პლაკატს „კაკლები — ცხოვრებაში!" მთელ სასურსათო ბაკქანალიას ქვეყნის ფერმერთა სულ ორი-სამი პროცენტი ართმევს თავს! თანაც, ფერმერთა ამ ორ პროცენტს გამოწოვაში იელის უნივერსიტეტის სტუდენტები და ჰარვარდის პროფესურა არ ეხმარებიან...

ერთ სუპერმარკეტში 30 სახის კეფირი დავითვალე! არის ხენდროს, მარწყვის, მოცვის გემოდაკრული, შოკოლადიანი, მოცვიანი, ხენდროიანი, მარწყვიანი კეფირები. როგორ შემიძლია გავიგო, რომელი მინდა? ყველა მინდა! შესაძლოა, საზღვარგარეთ არასოდეს გამიშვან იმის შემდეგ, როცა მოვყვები, თუ რამდენნაირი კეფირი ვნახე. შესაძლოა, გარდაქმნა საერთოდ დამთავრდეს ამ დღეებში. ასე რომ, ერთბაშად ყველა კეფირი მინდა! ახლავე, დაუყოვნებლივ! მინდა ყველა ეს კეფირი მივირთვა ერთბაშად! სწორედ ამას გამოხატავს ჩემი „ინდუსტრიალიზაციური" სახე, როცა ვუყურებ ამ კეფირებს, როცა ისინი ისე აწყვია თაროებზე, როგორც წიგნები ლენინის ბიბლიოთეკაში.

აბა, სცადეთ და მიდით ჩვენთან მაღაზიაში, მიდით და ჰკითხეთ გამყიდველს: „რომელ კეფირს შემომთავაზებდით?" გამყიდველი, არც აცხელებს, არც აციებს და გიპასუხებთ: „გუშინდელს, ყურუმსაღო!" — რამდენადაც სამოცდაათი წლის განმავლობაში ვისწავლეთ ორნაირი კეფირის დამზადება: გუშინდელისა და გუშინწინდელისა. არსებობს ორი კვირისაც, მაგრამ ეს უკვე უმაღლესი ხარისხისა არაა!

როცა ამერიკაში სასურსათო მაღაზიაში შედიხარ, უნებლიედ ნაღვლიანი ფიქრებით ს ა მ შ ო ბ ლ ო შ ი წარმოიდგენ თავს. ჩვენი ემიგრანტებიც კი, რომლებსაც უკვე 20-20 წელი აქვთ ნაცხოვრები ამერიკაში, აღიარებენ, რომ ეს მათ დღემდე ემართებათ და მეცოდება ჩვენი ქალები: მათი ქალური სახეები „ინდუსტრიალიზაციური" რატომ უნდა გახდეს, ხოლო მათი ფეხები რატომ უნდა გატრომბოფლებიტდეს, თუკი მთელ მსოფლიოში უკვე აღარაა ისეთი სიტყვები, როგორიცაა „კალათი" და „ბადე"?

მამაკაცები არ მებრალება. მამაკაცი ჩვენთან ყოველთვის წესრიგშია. ერთი ჭიქა გადაჰკრა და ის უკვე ამერიკაშია. ერთიც გადაჰკრა და ავსტრალიაშია. დილით თხრილში თავის თავს ვენეციაში წარმოიდგენს!

ერთ სუპერმარკეტში ვორონეჟელ ქალთან ერთად მომიხდა შესვლა. ის თავის დასთან ჩამოვიდა — ვალია უკვე თხუთმეტი წელიწადია ამერიკაში ცხოვრობს. დედამისს კატეგორიულად არ უნდოდა თავისი ქალიშვილის სამუდამოდ გაშვება ამერიკაში. შეაჩვენა ის. ვალიას დედას — ძველ ბოლშევიკს სიცოცხლის ბოლომდე გულწრფელად სჯეროდა ჩვენი მთავრობისა და კუკრინიქსებისა რომ ამერიკა — ესაა გაუპარსავი ძია სემი, რომლის ტანი ტანი კი არა, ფულით გატენილი ტომარაა და რომელსაც გრენლანდიის მსგავსი ცხვირი აბია.

შვილს როცა აცილებდა, დედამ, შეჩვენების მიუხედავად, მკაცრად უთხრა: „იქ თუ შიმშილი მოგიწევს, მოიწერე და კონსერვებს გამოგიგზავნით!"

— დახანანია, რომ დედაჩემი ვერ მოესწრო გარდაქმნას, — ამბობდა ვალია. — ვერ შეძლო ჩვენთან ჩამოსვლა. ძალიან მინდოდა ენახა, როგორ ვცხოვრობთ.

დედამისის მაგივრად და ჩამოუვიდა ათი წლის ვაჟიშვილიანად. როცა სუპერმარკეტში შევიდა, ის ატირდა. მის თვალებში მხოლოდ ეს იკითხებოდა: „რისთვის?" ესაა კითხვა, რომელსაც ს ა მ შ ო ბ ლ ო შ ი ვერც კი დაუსვამ ვინმეს. ათი წლის ბიჭუნა დედას სახელოზე ექაჩება.

— დედა, ეს რაა?

— ეს ხენდროა, შვილიკო.

— ტყუილია, დედა, ასეთი ხენდრო არ არსებობს.

ვალია დედას ურჩევს, ამდენს, ასე ბევრს ნუ წამოიღებ. ამ საღამოს რაც გვეყოფა, იმდენიღა წამოვიღოთო. ამასთან, თვითონ იღებს იმდენს, რამდენიც ჩვევია. მაგრამ დედას ვერ დაუჯერებია, რომ ყველაფერი ეს აქ ხვალაც იქნება და ზეგაც.

— ხვალამდე ხომ ყველაფერი წახდება! — თავს იმართლებს ის. ვალიას ეღიმება.

— ხვალ უფრო ახალს შემოიტანენ.

— კი, მაგრამ ესა?! ამას რას უზამენ?

კითხვა — რას უშვრებიან ამერიკელები გაუყიდავ პროდუქტებს? — მხოლოდ საბჭოთა ადამიანს ებადება. თვითონ ამერიკელები ამაზე არასოდეს ფიქრობენ. ყველა თავის საქმეს აკეთებს. მათ სხვისი საქმეები არ აინტერესებთ, განსხვავებით მოგანგაშე სახელმწიფოებრივი გონების პატრონი ჩვენებურისგან, რომელმაც ყველაფერი უნდა იცოდეს, რომელსაც ყველაფერი უნდა ესმოდეს და, თავად მათხოვარმა, ყველა უნდა მოძღვროს რა როგორ უნდა იყოს.

...ამერიკაში გამომგზავრებამდე ერთი კვირით ადრე ჩემს მეგობარს მოსკოვში დედა მოუკვდა. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, როცა მისი სიკვდილის ცნობა წარადგინა, მას ნება დართეს ქელეხისთვის პროდუქტები შეეძინა გასტრონომის სარდაფში. პატარა შენობის კარზე ეწერა: „სპეცკონტიგენტისთვის"! კონტიგენტისთვისაც კი არა, „სპეცკონტიგენტისთვის". და, ამასთან, ამ „სპეცკონტიგენტთან" ზიარების სიხარულს მხოლოდ რომელიმე შენი ახლობლის სიკვდილის შემთხვევაში განიცდი. და მორჩა! ახალ სიკვდილამდე ამგვარ რამეს ველარ განიცდი.

რა გაეწყობა! როგორც ჩვენი იდეოლოგები ამტკიცებდნენ, ჩვენ მცხოვრობთ ჰუმანურ საზოგადოებაში, რომელშიც ადამიანს მისი მომავალი არ აშინებს, სადაც ის თავისი ხვალინდელი დღით გულმშვიდია. ამერიკაში ამ მიმართებით საზოგადოება, უეჭველად, გაცილებით პირქუშადაა. ამერიკელებმა არ უწყიან, თუ რა ელით მათ ხვალ: ბაგამში იმოგზაურონ თუ იტალიაში? ვილა იყიდონ თუ მანქანა? ჩვენთან ყველაფერი გარკვეულია! მომავლის გამო საგანგაშო არაფერი გვაქვს. ერთ ადგილზე ათ წელიწადს მუშაობის შემდეგ ჩვენს ხელფასს 15 მანეთი მოემატება, სიცოცხლის ბოლოში ჩვენი საცხოვრებელი ფართობი 15 კვ. სმ-ით გაიზრდება... შესაძლოა, საწოლი გარნიტურის რიგმაც მოგიწიოს, რომელიც, კაცმა რომ თქვას, შენ მაინცდამაინც აღარ გჭირდება, იმიტომ, რომ მარტოხელა ხარ დარჩენილი...

...ნიუ-იორკის ცათამბრჯენის 107-ე სართული. უმაღლესი კლასის რესტორანი. იქ უპიჯაკოდ და უჰალსტუხოდ არ უშვებენ. უკვე ღამეა. ამერიკელები გვიან სადილობენ. ჩვენს, ქვემოთ, შორს, ჩირაღდნებით დალიანდაგებულ სტრიტებად და ავენიუებად ჩახჩახებს მანჰეტენი .აქედან, ზემოდან, გუძონითა და ფშანით შემორტყმული მანჰეტენის კუნძული, რომელზეც მკვიდრობს ნიუ-იორკის ცენტრი, გემბანს ჰგავს. და ჩვენ ოდნავ ვირყევით მის მთავარ ანძაზე. რაც უფრო ძლიერ ირხევა ქარისგან ანძა, მით უფრო შფოთავს სული. ისეთი შეგრძნებაა, რომ მეხი პირდაპირ ჩვენს პატარა მაგიდას უმიზნებს.

სადილად მიმიწვია ჩემი სიყრმის ამხანაგმა, ამჟამად ბატონმა იური რაძიევსკიმ. ოცი წლის წინათ ის ერთი ყველაზე უფრო ცნობილი „კავეენის" (მხიარულთა და საზრიანთა კლუბი) კაპიტანი იყო. ქალაქ რიგის გუნდს თავკაცობდა. ახლა სარეკლამო ოფისის მეპატრონეა. ამერიკულად საბჭოთა საზომებზე, რომ გადმოვიყვანოთ, ეს ელისეევის მაღაზიის დირექტორობაზე. გაცილებით მეტია. ინგლისური იცის. უწინდებურად მოხერხებულია და მხიარული. როცა კითხულობ მის რეკლამას ელექტრონულ კბილის ჯაგრისზე, გიკვირს, აქამდე როგორ არსებობდი უამჯაგრისოდ. ამიტომ ყველაზე მდიდარი დამკვეთნი მასთან იჭერენ საქმეს. ამ წლების განმავლობაში ბევრს მუშაობდა, რაკი ესმოდა, რომ ამერიკაში ყველა შრომის მიხედვით იღებს საზღაურს! ცოლიც ჰყავს საქმეში ჩაბმული. როგორც ჩვენთან იტყვიან, ეს საოჯახო იჯარაა.

ის თავისი ლპობადი ნიუ-იორკიდან ეხმარება მოყვავილე მოსკოვში მცხოვრებ თავის მშობლებს. ამარაგებს მათ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის აუცილებელი რაღაცეებით.

ფანჯრის გასწვრივ იელვა. ოფიციანტს თავდახურული ტაფით შემოაქვს ცხელი კერძი. რაძიევსკი რაღაცას უჩურჩულებს ყურში და ოფიციანტი იმ ცხელი კერძითურთ სამზარეულოში ბრუნდება.

— რა უთხარი? — ვეკითხები იურას.

— მე მას ვუთხარი, რომ ადრე მოიტანა. — მპასუხობს იურა.

— მაპატიე, რა გააკეთა მან?

— ადრე მოიტანა. იცი, ასეთი კლასის რესტორანში ყველაფრის სუფრაზე დაწყობა ცუდი ტონია. ეს არაეთიკურია. ჩვენ ხომ ჯერ ცივი საუზმის ჭამა არ დაგვიმთავრებია.

— იურა, — ვეუბნები სავსებით სერიოზულად, — აი, რა მინდა გთხოვო: მოსკოვში რომ ჩამოხვალ, წავიდეთ რესტორანში და, გევედრები, იქ ოფიციანტს უთხარი, რომ მან კერძები ადრე მოიტანა. მინდა, რომ შენც განიცადო ელდის ცემა. თანაც, წმინდა ფიზიკური სახით.

ამდენი მკვეთრი, აქამდე ჩემთვის უცნობი შეგრძნებისგან გადასართველად, აგრეთვე, იმიტომაც, რომ ამერიკაში კიდევ მთელი თვე მიწევს ყოფნა, იურა ცივილიზებული ქვეყნებისთვის კარგი ქცევის წესებს მაცნობს.

მაგალითად, ჩალის ღერით წვენის სმა პიუონობაა. ჩალის ღერი დასალევ წყალში გამდნარი ყინულის მოხარშევადაა აუცილებელი. ამის შემდეგ ის გვერდზე ჩამოდებულ პატარა თეფშზე უნდა გადადო.

კეთილი. კონიაკი კი მაღალი, მაღალი ფართო ბოკალებით უნდა შესთავაზო კაცს, ამასთან, ის ისხმება ძალიან ცოტა, იმდენი, რომ ოდნავ დაფაროს სასმისის ფსკერი. ახსელებენ ასეთ ზომას — ერთ ყლუპს. თურმე, ბოკალის სიფართოვე ძველი კონიაკის არომატს უკეთ შეგაგრძნობინებთ.

ყველაფრიდან, რაც რაძიევსკიმ ამიხსნა, ერთი რამ გავიგე — მთელი ეს დახვეწილობები ჩვენებურთა ფსიქიკაზე არაა გათვლილი. თანაც, ეს ჩემს მაგალითზე გავიგე. ვთქვათ, ერთი ყლუპი გადაჰკარი, ამის შემდეგ რა გინდა ჰქნა? ეკალზე უნდა იჯდე და მო-

(გაგრძელება მე-14 გვ.)

იბეჭდება შემოკლებით. მკითხველი ამ ნაწარმოების სრულ თარგმანს გაეცნობა „დვრიტის" ბიბლიოთეკის სერიით.

(გაგრძელება)

რიგ ულუპს ელოდო? და ვიდრე ოფიციანტი მორიგი ულუპის მოსატანად დინჯად მიდის, შენი ფართო ბოკალის არომატის შესუნთქვა გეყოფა? ამერიკელზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ჩვენებურთან მიმართებაში ეს ხადიზმია მეტიც, გაირკვა, რომ ამ რესტორანში ყოველ მესამე ულუპს ფირმის ანგარიშზე იძლევიან... ეს გეგმის გადაჭარბებით შესრულებისთვის პრემიის მაგვარი რაღაცაა. დარწმუნებული ვარ, რომ როცა ამ წესს ნერგავდნენ, გარდაქმნის გამოისობით ამერიკაში საბჭოთა ტურისტთა ზრდად ნაკადს არ ითვალისწინებდნენ. არასოდეს დამავიწყდება გაოცებისგან ლამის გადმოცვენამდე გაფართოებული თვალები ოფიციანტისა, როდესაც მას მეოცედ მოუხდა სამზარეულოში გაბრუნება მეოცე ულუპის მოსატანად. როცა მობრუნდა, გვკითხა, საიდანა ხართო? რუსეთიდან ვართ-მეთქი. ის ისევ სამზარეულოსკენ გავარდა, ბოთლიანად მობრუნდა და, მთელი ძალ-ღონის მოკრებით გაღიმებულმა, თქვა: „აგერ, ბატონებო, და ულურწეთ, რამდენიც გნებავდეთ! და აქეთ-იქით ენაგადმოგდებულად ძუნძულიც არ დამჭირდება!“

— ხედავ, იურა, თქვენს სერვისსაც აქვს ელეგანტურობის ზღვარი!

— ეგრეა. მაგრამ მხოლოდ თქვენებთან... ჩვენების აზრით ვამბობ, ურთიერთობაში! სიტყვას მოჰყვა და, ახლავე უნდა გაგაფრთხილო, რომ ამერიკელებს არ ვუყვარვართ. რუსეთის მკვიდრი რუსები უყვართ, ემიგრანტები — არა. ხედავ — გიღიმის, ხომ ასეა? მაგრამ მის თვალებს დააკვირდი — არ უყვარხარ. მას შენც ემიგრანტი ჰგონიხარ. იცი, ახლა რატომ ვერ გვიტანენ? იმიტომ, რომ მხოლოდ ჩვენებურს შეუძლია მოვიდეს ამ რესტორანში და განაცხადოს: „მე პირველი ორი ულუპი არ მინდა, პირდაპირ მესამე მომიტანეთ“, ჩვენებურებს, ძმაკაც, არცერთ ამერიკელს რომ არ დასიზმრებია, ისეთი მოსაზრებულობა აღმოაჩნდათ. მათ შურთ ჩვენი გამჭრიახობა.

მაგალითად, შეამჩნიე თუ არა, როგორ ასხამენ აქ ღვინოს? თავიდან გასინჯებენ. შენ მოსვამ, შემდეგ კიდევ მოსვამ, შემდეგ ცლი და ამბობ: „არა, მჟავეა — წაიღეთ“. ამ ჭიქა ღვინის საფასურს ფირმა იხდის. ამერიკელებისთვის ეს ნორმალური ამბავია. ჩვენებური კი მაშინვე იხაზრებს: აჰა, შეიძლება რესტორნიდან რესტორანში გადახვიდე და განაცხადო: „მჟავეა“. და სალამოსთვის ღვინო მთლად არამჟავე ხდება! აქ, შტატებში, მე მივხვდი, რომ საბჭოთა ხელისუფლების გაცუცურაკებულ კაცს მსოფლიოში ნებისმიერი ხელისუფლების გაცუცურაკება ძალუძს! ზოგჯერ მეგონა, რომ ადამიანთა აზროვნება ემგვანება იმ ქალაქების ქუჩების განლაგებას, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ. ქვევით მანჰეტენს ხედავ? სტრიტი, სტრიტი, სტრიტი... ყველაფერი პარალელურადაა. ავენიუ, ავენიუ, ავენიუ... ყველაფერი პერპენდიკულარულადაა. ამერიკელების აზროვნებაც ასეთია — მართკუთხედურია. ჩვენს ქალაქებში კი რა ვითარებაა? შესახვევი, თხრილი, სანარცხე, პლაკატი, ჩიხი... ჩიხი, პლაკატი, თხრილი, სანარცხე, ყრუ შესახვევი... ამიტომ ჩვენთან აზროვნებაც მიმოხვეულთხრილურია. თუმცა, გვეყოფა ნაღვლიან რამეებზე საუბარი. ისა სჯობია, ამ რესტორანში ყველაზე ძვირი ღვინო გავსინჯოთ.

— გარსონ, აი, ეს ღვინო მოგვართვით, გეთაყვა! — იურა მენიუში ღვინის სახელწოდებას უთითებს.

ზურგსუკან ხელებშემოწყობილი გარსონი, რომელსაც წინასწარვე ვძულვართ, ღვინოს ბოკალში მისხამს გასასინჯად. ვაგემოვნებ, კიდევ ვაგემოვნებ... ვცვლი! როგორ მინდა ვთქვა: „მჟავეა! წაიღეთ!“ გარსონი მომღიმარე, მაგრამ მოძულე თვალებით მომჩერებია.

— ჩინებული ღვინოა! — ვამბობ. — ჩამოგვისხით!

თვალებში სიკეთე ელვრება, რუსი „ემიგრანტისგან“ ასეთ რამეს არ ელოდა.

მორიგმა ელვამ კიდევ ერთხელ გაიელვა ჩვენი პატარა მაგიდის თავზე. შესმული ულუპების წყალობით ის უკვე ვეღარ გვაშინებს. პირიქით, მას ფირმის ანგარიშზე გამართული შოუს ნაწილად აღვიქვამთ.

იურა მახწავლის იაპონური „სუშის“ ხმას ჩხირებით და ქათმის ფრთის ჭამას დანა-ჩანგლით. ქათმის ფრთას მარცხენა ხელით ვიღებ და არისტოკრატულად ვაცვამ ჩანგალზე, რომელიც გრაციოზნულად მიჭირავს მარჯვენა ხელით. გარსონი გვისხამს „არამჟავე“ ღვინოს. მეჩვენება, რომ უკვე ყველაფერი ვიცი, ყველაფერი შემიძლია და მზადა ვარ მომავალი გასტროლებისთვის. ქვემოდან ღრუბლების ნაფლეთებს იქიდან ეშმაკურად მიკრავს თვალს ამერიკელების აზროვნებასავით მართკუთხედური მანჰეტენი.

## რამ დასცა თავზარი თავადის ქალს?

ჩემთვის ყველაზე უფრო მოულოდნელი ამბავი გახდა ის, თუ რისთვის დაეცა თავზარი თავადის ქალს დოლგორუკოვას, ქალწულობაში აპუხტინას. ის უკვე ემიგრაციაში გაჰყვა დოლგორუკოვთა ძირძველი გვარის უკანასკნელ შთამომავალს, თავადს. მხცოვანების მიუხედავად, ცოლიცა და ქმარიც აქამომდე ამაყად არიან წელში გამართულნი და ერთსაც და მეორესაც არისტოკრატული ცისფერი სისხლის შესატყვისი ცისფერი თვალები აქვს. ამერიკაში ეროვნების გამო არასოდეს დაუმცირებიათ ვინმე... ამერიკაში არ ზრის ეროვნება, რადგან იქ არის დანარჩენი ყველაფერი.

ოც წელში, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა თავადის ასული აპუხტინა და თავადი დოლგორუკოვი თავიანთ ოჯახებითურთ ვრანგელთან ერთად გემით გავიდნენ სევასტოპოლიდან.

— თქვენ მოგეხსენებათ, რომ ვრანგელი ძალიან ჭკვიანი, ინტელიგენტური ადამიანი იყო, — მაუწყებს თავადის ქალი ირინა პეტრეს ასული. — და, რაც მთავარია, ძალზე წესიერი პიროვნება გახლდათ. მახსოვს, როგორ მოგვიყარა მან ყველას თავი სევასტოპოლიდან გამომგზავრების წინ და პატიოსნად გვითხრა: „თქვენ რუსეთი უნდა დასტოვოთ. მე თქვენ არაფერს გპირდებით. შესაძლოა, ჩვენ მსოფლიოში არცერთმა ქვეყანამ არ მიგვიღოს, მაგრამ აქ დარჩენას არავის ვურჩევ. შეუძლებელია ბოლშევიკებისგან რაიმე სიკეთეს ელოდოს ადამიანი. სცადეთ თურქეთში გადასვლა. იქ კი გამოჩნდება, ვის რა ბედი ელის“.

ირინა პეტრეს ასული სუფთა რუსულით ლაპარაკობს. ის არ ხმარობს სიტყვებს: ალტერნატივა, რეგიონი, პოდვესტი ჩერტუ, პოსტავიტ ვოპროს, რეგლამენტ, კონსოლიდაცია ს როტაციეი., — კონსენსუსზე რომ არაფერი ვთქვათ. ის სუფთა ლიტერატურული ენით, პუშკინის ენით ლაპარაკობს. აზირებულებაა ასე თქმა: „პუშკინის კონსოლიდაცია ნატალია გონჩაროვასთან მოხდა ბავშვთა შობისთვის და, ამავე დროს, ამას ჰქონდა ალტერნატიული ვარიანტი მეზობელ რეგიონში“.

აქ, ამერიკაში, პირველი ტალღის ემიგრაციის წყალობით, შემონახულია რუსული ენა, რუსული სამზარეულო, რუსი ინტელიგენცია. მადლობა ვრანგელს!

— არაფერია, რუსები კიდევ აღორძინდებიან, — მამშვიდებს ირინა პეტრეს ასული. — მე და ჩემი ქმარი ძალიან ვგულშემატკივრობთ რუსეთს. და ძალიან დიდ პატივსა ვცემთ გორბაჩოვს.. მე ვფიქრობ, რომ ის უშველის დანგრეულ ქვეყანას. ძალიან მინდა მოსკოვში ყოფნა. ჩემს ქმარს იქ ცალკე სახლი აქვს. იცით, ის სახლი ლენინის ბიბლიოთეკის გვერდითაა. მასში ახლა კარლ მარქსის მუზეუმია. ეს კარგია. მაშასადამე, თქვენები უვლიან ჩვენს სახლს. მაგრამ ჩემი ქმარი შეუძლოდაა. ვეჭვობ, რომ ამ სიშორეზე მოგზაურობა გაბედოს. აი, მე მაინც ვცდი, თუმცა ძალიან კი მეშინია. ვფიქრობ, რომ მე უკვე ვეღარ მოვესწრები რუსეთთან შეხვედრას ან, თუ მოვესწარი, ჩემი გული ვერ გაუძლებს ამ შეხვედრას.

ჩემი კონცერტის მეორე დღეს ირინა პეტრეს ასულმა შვიდ საათზე დამირეკა. ხმა ისე უთრთოდა, აშკარად ეტყობოდა, რომ მეტისმეტად აღელვებული იყო.

— მომიტევეთ, რომ გაღვიძებთ, მაგრამ მთელი ღამე არ მძინებია. მე და ჩემი ქმარი თავზარდაცემული ვართ. მიბრძანეთ, რუსეთში მარილი მართლა არაა? — ტელეფონშიც კი ვგრძნობ, რომ ყელში ბურთგაჩრილი მეკითხება. — ნუთუ თქვენებმა მთავრობაში, — შეცბუნებულია თავადის ქალი, — არ უწყიან, რომ კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ცივილიზაციის განვითარების დონე საპნის მოხმარებით ისაზღვრებოდა? მე და ჩემი ქმარი ყოველთვის ვამბობდით, რომ უვიცი ადამიანები დააქცევდნენ რუსეთს, მაგრამ იმას კი ვერასოდეს ვიფიქრებდით, რომ აქამდე მოიყვანდნენ!

წინადღით ირინა პეტრეს ასულს მოსკოვიდან ჩამოტანილი ფრანგული სუნამოს ფლაკონი ვაჩუქე. ამერიკაში ამ სუნამოს ფასი დაახლოებით 100 დოლარია, თუმცა ჩვენში ის სულ 45 მანეთი ღირს, რამდენადაც ჩვენ ტაიგას ვყიდით და გაყიდული ტაიგის სანაცვლოდ ვიღებთ სუნამოს, რომელიც ტაიგის გამყიდველთა შორის ნაწილდება.

ირინა პეტრეს ასული გაახარა და გააოცა ასეთმა საჩუქარმა.

— რუსეთში არის ფრანგული სუნამო?

— სავსეა! — მივუგე ჩვენი ტაიგით ამაყმა.

ტელეფონით ჩვენი საუბარი ირინა პეტრეს ასულის ასეთი უკანასკნელი კითხვით დამთავრდა:

— მიხეილ ნიკოლოზის ძევ, მე ვერ გამიგია, რად უნდათ რუსეთში ფრანგული სუნამო, თუ საპონი არა აქვთ?

●

...რესტორანში ჩემს გვერდით ზის რუსი ემიგრანტი. ჩემდა მოულოდნელად ის ჯიბიდან აძრობს დაფნის ფოთოლს, სანთებელათი ცეცხლს უკიდებს მას და, ეგრევე, ჩქარა უშვებს არყიან ჭიქაში.

— რატომ აკეთებთ ამას? — ვეკითხები.

— მანქანას ვატარებ და... სუნი რომ არ ამივიდეს...

ეტყობა, მიხვედრილობა დევს ჩვენებური ადამიანის გენეტიკაში, მის ქრომოსომურ წყობაში, რამდენადაც ერთადერთი, რაც საბჭოთა ადამიანებში თაობიდან თაობას გადაეცემა, — ესაა სიღატაკე, მოხერხებულობა და ენთუზიაზმი.

სწორედ ამიტომ იქცა ამერიკა მისი ბიზნესის თავისუფლებით ჩვენი აზროვნების შავმიწა ნიადაგად. რუსეთიდან სახელგანთქმულ მხატვართა სურათების გატანა არ შეიძლება? ჩვენი ემიგრანტისთვის ეს განა პრობლემაა? მოისაზრეს თვითონ მხატვრების მიწვევა, მათი გამოკვება, მათი დღიური გასამრჯელოს გადახდა და ჰონორარის შუაზე გაყოფა, ოღონდ, მათ პირდაპირ იქ, ამერიკაში, ემიგრანტთა სხვენებში ხატონ. და ამის შედეგად ბევრნი გამდიდრდნენ.

ამჟამად გარდაქმნასთან დაკავშირებით ჩვენი ემიგრანტების ფანტაზიამ საბოლოოდ გაშალა ფრთა — განსაკუთრებით ჩვენს კოოპერატორებთან ურთიერთობაში. ვოლგაზე იქმნება ერთობლივი სანადირო სავარგულები მილიონერთათვის. საწყალი მილიონერები ათასობით დოლარს იხდიან ამგვარ ნადირობაში, მაშინ, როცა ჩვენებს ისინი ლობის ხვრელებში გაჰყავთ ბოთლი არყის ფასად, რომელსაც იქვე აძლევენ ეგერს.

საწყალ მილიონერებს რაღას არ აჩეჩებენ ჩვენი ჭკუის კოლოფები, ოღონდ დოლარები დასცანცლონ მათ! საქმე იქამდე მივიდა, რომ გამოაქვეყნეს რეკლამა, თითქოს მამაკაცის პოტენციისათვის განსაკუთრებით სასარგებლოა ძროხის თირკმელებიდან გამოღებული ქვების ნაყენი. და ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირთან მეგობრობის გარეშე ვერაფერს გააწყობ, რამეთუ ქვები ფილტვებში მხოლოდ საბჭოთა ძროხებს უჩნდება... ვფიქრობ, რომ ამერიკელ ობივატელთა შორის პოპულარული სუვენირები — დანგრეული ბერლინის კედლის ნაჭრები — რუსული ემიგრანტული რაიონის ქვაფენილებზეა აღებული.

ამბობენ, რომ ამჟამად გამოძიებათა ფედერალურ ბიუროში შექმნილია განყოფილება იმის გამოსაძიებლად, თუ რა ხდება ნიუიორკის რუსულ რაიონში.

ამ რაიონზე უკვე ლეგენდები დადის მთელ მსოფლიოში, როგორც დედამიწის სფეროს ერთ ყველაზე „მხიარულ“ ადგილზე.

ბრაიტონ-ბიჩი... უფრო მარტივად — ბრაიტონი... ატლანტიკის ოკეანის სანაპირო... ჰყვებიან, რომ აქ ოდესღაც წესიერი ღატაკი ზანგები ცხოვრობდნენ. ისტორიულად ცნობილია, რომ თუ ზანგები რომელიმე ადგილზე გადადიოდნენ საცხოვრებლად, იქიდან ყველანი მაშინვე იბარგებოდნენ. ესაა ერთადერთი შემთხვევა, როცა სადღაც წავიდნენ თვითონ ზანგები მას შემდეგ, რაც იქ რუსები მივიდნენ. უფრო ზუსტად, კი არ წავიდნენ, არამედ გაიქცნენ. ჩვენებმა ისინი გააძევეს. კინწისკვრით გაჰყარეს. ვიღაცას თვალები დათხარეს. და ღატაკი რაიონი რესტორნებითა და მაღაზიებით აყვავდა... აინთო რუსულ წარწერებიანი რეკლამები: „უ რიმი“, „ოდესა“, „კიევი“, „რუს“, „იაშა ი სინოვია“... სანაპიროს მუსიკა მოეფინა:

„...ნებოსკრიობი, ნებოსკრიობი, ა ია მალენკი ტაკოი...“

„...ეშჩიო ნე პოზდნო, ეშჩიო ნე რანო, სტოიუ ოდნა ია უ რესტორანა...“

გამდიდრებული იალტა ოდესური ტემპერამენტითა და ხარკოვული გემოვნებით. ოღონდ, იალტაში სეზონზე ისვენებენ, ბრაიტონში კი — ყოველთვის.

და, რასაკვირველია, აქ რესტორნები უფრო ქურდულია, სახეები — უფრო მხიარული, სიმღერები — უფრო ყოჩაღური, ქალების სამკაულები — უფრო მძიმე ქვები. მხოლოდ ჩვენები დადიან ნიუ-იორკში დილიდანვე „მოოქროვილნი“ — ყურებში დნეპროჰესის ფასის ოქროს ზოდები აქვთ გაყრილი! კიდევ კარგი, აქ „ობეხესი“ არაა. სალამოს კი რესტორანი. და მხიარულება! მაგრამ როგორი! მე მგონი, საბჭოთა კავშირიდან წასვლის გამო ბედნიერების გრძნობა ბევრ ჩვენს ემიგრანტს მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე ეყოფა. ამიტომ იხე ზეიმობენ ყოველდღე, თითქოს ეს მათი აქ ყოფნის უკანასკნელი დღე იყოს. მორჩა, გათავდა!.. ხვალ უკან, საბჭოთა კავშირში ბრუნდებიან..

„იამშჩიკ, ნე გონი ლოშადეი!..“

გამოაღწიეს! გამდიდრდნენ! თავისუფალნი არიან!

„...მნე ნეკუდა ბოლშე სპეშიტ...“

ბრაიტონზე რუსული ენა უფლობს. ბევრი ინგლისურს არცკი სწავლობს. რომელიღაც დეიდა ფრიდა შევიდა ამერიკულ მაღაზიაში და გულწრფელად აღშფოთდა:

— რა ხდება! უკვე ექვსი წელია, რაც ჩვენ აქა ვართ, ამერიკელები კი რუსულად არ ლაპარაკობენ!

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენები კი არ ჩავიდნენ ამერიკაში, არამედ ამერიკა მოვიდა მათთან. და დეიდა ფრიდა ჭეშმარიტებისგან არც ისე შორს იდგა. ამერიკელი პოლიციელები რუსულ რაიონში რუსულს სწავლობენ. თანაც, დედის გინებაინად, რამდენადაც ჩვენები იქ ისე იგინებიან, როგორც სამშობლოში იგინებოდნენ. პოლიციელებს ფიქრობენ, რომ რუსული ენა სწორედ ესაა. მე ინგლისურად ვკითხე ზანგ პოლიციელს, თუ სად იყო ჩემთვის საჭირო ქუჩა. პასუხად მან რუსულად გამაგზავნა... ყველა ჩვენთაგანისთვის ცნობილი მარშრუტით...

ამერიკელ ობივატელებს ბრაიტონისა ეშინიათ. მათ აშინებთ გამაყრუებელი რესტორნული მუსიკა, ძაბავთ ცეკვები — ლამბადისა და ბოშურის დომხალი. მათ თვალს ეუცხოება აჭარხლებული, ღამით სალათში ჩარგული სახეები. ამერიკულმა მაფიამაც კი არ იცის, რა მოუხერხოს რუსულ მაფიას. არცერთი ჩიკაგოელი განგსტერი არ შემოდის რუსულ რაიონში, მან არ იცის, სად დააყენოს მანქანა. საკმარისია შვიდიოდე წამით დატოვოს ქუჩაში ოთხიანი შავი „როლს-როისი“, რომ ჩვენიანი ამ შვიდ წამში ჩვენებურად დააკაწრავს მას მთელი მსოფლიოსთვის ნაცნობ სამ ასოს...

ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში, ამერიკის საელჩოსთან, რომელიცაც დღე-ღამეობით ოგანის ამერიკაში ამჟამად ... ქართველმა უყვირა მოხელეს:

— რატომ აფორმებთ ასე დიდხანს?

და ამერიკელმა მოხელემ იკითხა:

— იმიტომ, რომ არ მინდა, — მთელი რიგის გასაგონად იყვირა. — რომ თქვენ ჩემს ქვეყანაში გადმობარგდეთ!

და შეგვიძლია მას გავუგოთ...

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ბრაიტონზე ახალი ამერიკული ტელეფონ-ავტომატები ძველით შეცვალეს. ახალი ტელეფონ-ავტომატები — ადამიანებისთვის შეიქმნა — კონსტრუქცია სრულყვეს იმისთვის, რომ საუბრის დროს მონეტების ჩაყრა არ დასჭირვებოდათ და ამით ყურადღება არ დაეფანტოდათ. აგდებ ხაწყის მეოთხედ დოლარს, ლაპარაკობ შვიდ, ათ, ოცდათ წუთს... ლაპარაკს რომ მორჩები, ყურმილს ჰკიდებ. ტელეფონ-ავტომატი რეკავს. იღებ ყურმილს, — რობოტი გაუწყებს, რამდენისა ილაპარაკე და კიდევ რა თანხა უნდა ჩაუშვა! ნახეს, რაღა, სულელები! თანაც, ჩვენები ავტომატს რომ ეცლებოდნენ, კიდევ არა უშავდა რა, არ ეცილებიან, მათ ხომ კიდევ უნდა ისიამოვნონ იმით, რომ ვიღაც გააცუცურაკეს თუნდაც წვრილმანი რაღაცით. ამიტომ ჩვენები მაინც იღებენ ყურმილს და გახარებულნი ჩასძახიან: „ერთი თქვენი!“ და მხოლოდ ამის შემდეგ — არა, არ მიდიან, — გარბიან ღრმა კმაყოფილების გრძნობით გამსჭვალულნი.

შემთხვევით როდი ავიჩემე „ჩვენები, ჩვენები, ჩვენები“. ისინი ნამდვილად ჩვენები არიან, უწინარეს ყოვლისა — ქრომოსომული წყობით.

ზოგიერთნი, ჩვევისამებრ, პირველ მაისსაც კი ზეიმობენ, ბევრნი ამერიკულ დღესასწაულებსაც აღნიშნავენ და საბჭოურსაც.

ხუმრობა იქით იყოს და ვიღაც ამერიკის კომუნისტურ პარტიაში შევიდა. აბა!

ადამიანს შეუძლია გვარი, სახელი, სამშობლო შეიცვალოს, მაგრამ ქრომოსომული წყობის შეცვლა შეუძლებელია.

ამერიკაში ყველაზე მეტი დასმენა ბრაიტონიდან მოდის. ეს ქრომოსომული წყობაა!

რესტორან „რუსში“ მეზობელ მაგიდასთან ვიღაცას სკამზე ბოთლის საცობის ჩამოკვრის გამო ლუდი დაეწუწა. და ესეც ქრომოსომული წყობაა.

ვიღაცამ მანქანიდან გამომტვრეული ძიმლები შემომთავაზა, იყიდეო. რესტორნის დიასახლისს კი სადღაც მოფარებულში გავყავარ:

— პალტო იყიდე!

სპეკულირება იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერია, მხოლოდ ჩვენს კაცს შეუძლია.

— სამოცდაათ დოლარად მოგცემ!

ვხედავ, რომ პალტო მინიმუმ ათასი დოლარი ღირს, ძვირფასი ხაჭერია, ახალი...

— საიდან? — ვეკითხები.

თვალით სამზარეულოს კუთხისკენ მანიშნებს. იქ, სკამზე ბოშა ზის. ქურდობენ. ამერიკელები თავდაჯერებულად ფიქრობენ, რომ მათ ქურდობის პრობლემა გადაჭრეს. მათი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები მუშაობდნენ ამ პრობლემის გადასაჭრელად. და გადაჭრეს. დაიწყეს საფასარზე ფასების კოდირებული მაგნიტური ზოლებით აღნიშვნა. და თუ ისინი არ განმაგნიტდება, მაღაზიის კარებში წკარუნს იწყებენ. თვითონ მოქალაქეს ამ ზოლების განმაგნიტება არ შეუძლია. ამისთვის კოდის ცოდნაა საჭირო. სალაროში კი კომპიუტერის საცეცი ერთდროულად კომპიუტერში ფასსაც უშვებს და ზოლებსაც განამაგნიტებს, ასე რომ, იმათი ნავაჭრი, ვინც ფული გადაიხადა, კარებში არ წკარუნებს, წკარუნებს მხოლოდ იმათი ნავაჭრი, ვინც სალაროს გვერდზე ჩაუარა. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ამ ამოცანის გადაჭრაზე მუშაობდნენ და, როგორც ფიქრობდნენ, გადაჭრეს კიდეც. ეგონოთ! ჩვენები ეგრევე, უბრალოდ, გლეჯენ მაგნიტურზოლებიან საფასურებს და გამოაქვთ ის საქონელი, რომელიც მათ მოსწონთ, გათავდა და მორჩა!

ჩვენ უძლეველი ხალხი ვართ! ამერიკელები იწყებენ ამის გაგებას. და, მე ვფიქრობ, ისინი ჩვენთან არასოდეს იომებენ. მათ ესმით, რომ ჩვენ უბრალოდ მათ რაკეტებს რაღაცას მოვაგლეჯთ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

თარგმნა
ჯუმბერ თითმერიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერვიუ ტომას ვულფთან

დღეს ჩვენს განყოფილებას დიდი მადლიერებით ვუთმობთ წიგნების — „საკუთარ სახლს მიხედე, ანგელოზო“ და „დროისა და მდინარის შესახებ“ ავტორს. მე ვთხოვე მისტერ ვულფს, ებაზნა თავის სამუშაოზე, თანამედროვე ლიტერატურასა და მწერლებზე და, იმაზეც, თუ რა მიმართულებით ვითარდება ამერიკული ლიტერატურა.

ვგონებ, ინტერვიუ ისეთივე ღრმა აზრებით გაჯერებული და მდიდარი გამოვიდა, როგორიც მისი რომანებია. რათა არ შევზღუდოთ მისტერ ვულფი ინტერვიუს სტანდარტული „კითხვა-პასუხის“ სქემით, მივეცით მას სიტყვა:

**რომელიმე ავტორის წარმატებას რომ შევიტყობ, მის მიმართ არანაირი გრძნობა არ გამაჩნია, გარდა ყველაზე თბილისა. რა თქმა უნდა, სხვა მწერლებისადმი შური ან მათ წარმატებაზე მტკივნეულად რეაგირება მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვინც უნიჭოა ან შემოქმედებითი კრიზისი განუცდია. ანდა, — მთლად უარესი — ის საცოდავი და უიღბლო ქმნილებაა, მხოლოდ ნახევრად შემოქმედი, ნახევრად მხატვარი, რომელსაც მეტი სწყურია, მაგრამ ამ მეტის მოსაპოვებლად ენერგია და ძალა აღარ ჰყოფნის. იმის ხსენება პრესაში, რომ ვილაცას თვლი შენს მოწინააღმდეგედ, უბრალოდ სისულელეა. მე არ ვთვალთმაქცობ, მართლა ასე მიმაჩნია.**

**კიდევ ერთი: როცა წერ, სხვებზე არ ფიქრობ. ფიქრობ სამუშაოზე, დღენიადაგ სამუშაოზე. ჩემზე ამბობენ, რომ არ შემიძლია კრიტიკულად მივუდგე არც საკუთარ ნამუშევარს, არც სხვისას, მაგრამ მე ღრმად მესმის მწერლობა.**

**წაკითხული მაქვს ჰემინგუეისა და ფოლკნერის ნაწარმოებები და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთ მათგანს არ მიუღწევია სრული სიმწიფისათვის და მომავალში ორივე დაწერს უკეთეს წიგნებს, ვიდრე აქამდე დაუწერიათ. ხშირად ვიგონებ ჰემინგუეის ციკლს „ჩვენს დროში“, რომელიც მან მეტად ადრე გამოაქვეყნა[1] და, ვგონებ, არც ისე ცნობილია. მისი კითხვისას ვგრძნობდი, რომ ჰემინგუეის ტალანტის ფესვები ამერიკულ ცხოვრებაშია და, როგორც ჩანს, ამგვარი ციკლის შემთხვევაში ეყოფა მასალა დიდი წიგნისათვის ამერიკული ცხოვრების შესახებ. ვფიქრობ, იგი ოდესმე მას დაწერს კიდეც.**

**იგივე ითქმის ფოლკნერზეც, თუმცა ძნელი წარმოსადგენია ნიჭი, რომელიც ასე მკვეთრად განსხვავდება ჰემინგუეის ნიჭისაგან. ვფიქრობ, მან მხოლოდ დაიწყო მასალის მთლიანად ათვისება, ანდა, სხვანაირად, ეს ის ადამიანია, ვისი ნიჭიც მთელ ცხოვრებას ჩასწვდება. მე წავიკითხე „ხმაური და მძვინვარება“, „ოდეს ვკვდებოდი“ და, რა თქმა უნდა, „ტაძარი“. წარმოდგენა არა მაქვს იმაზე, თუ როგორ განვითარდება მომავალში, მაგრამ ამ ადამიანის ცოდნა საიმისოდ მეტად დიდია რომ მხოლოდ და მხოლოდ წყვდიადის, საშინელებისა და უგუნურების აღწერით დაკმაყოფილდეს. იგი ფლობს ფართო ცოდნას ყოველივე ადამიანურზე: ეს მის თითოეულ ნაწარმოებში იგრძნობა.**

**წიგნის „ოდეს ვკვდებოდი“ მკითხველი არა მარტო კონკრეტულ სიტუაციაში განიცდის საშინელებას, არამედ გრძნობს, თუ რა ღრმად იცნობს მწერალი ადამიანთა მოდგმას[2], ამ შემთხვევაში მისისიპელ ფერმერთა ოჯახით წარმოდგენილს. იგივე ვიგრძენი „ხმაურსა და მძვინვარებაში“. იგი მრავალმხრივ შესანიშნავია და, ვეჭვობ, რომ შემოქმედი, რომელიც ასეთ მძლავრ ფანტაზიასა და გამომგონებლობას ფლობს, შესაძლოა, როგორც ზოგიერთს ჰგონია, ძველ ჩარჩოებში გამოემწყვდეს და ერთგვაროვანი ისტორიებით შემოიფარგლოს. მისი ახალი საგანს თავად აქვს თვისება უსასრულოდ გაზრდისა და განვრცობისა.**

**არა მგონია, ჰემინგუეის გამოცდილება და შემოქმედებითი მასალა მარტოოდენ ომის თემით ამოიწურებოდეს. ასე მგონია, ჰემინგუეის ყველაზე მთავარი ნაწარმოები იქნება ამბავი ჩვენს ქვეყანაზე და ეს თხზულება ჩამოისხმება მისი მახსოვრობიდან, გამოცდილებიდან და წარმოსახვიდან. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული საკუთარი გამოცდილების წყალობით[3]. არ ვიცი, გვყავს თუ არა ამერიკაში დღეს დიდი მწერლები — შესაძლოა, არც გვყავდეს — მაგრამ მჯერა, რომ უახლოეს ოც წელიწადში ჩვენში შესანიშნავი წიგნები გამოჩნდება. თუ გნებავთ, ჩათვალეთ ეს ცარიელ ტრაბახად, რადგან ვერაფერს დავუმტკიცებ ჩვენს ბრძენ კრიტიკოსებს, მაგრამ ის წინათგრძნობა ჩემში ძალიან ძლიერია.**

**მე ვფიქრობ, ამერიკაში ჯერ ისე ვერ წერენ, როგორც საჭიროა. წავიკითხე „ცხოვრება მისისიპზე“ და პირველი ორასიოდე ფურცელი, სადაც მარკ ტვენი გვიამბობს თავის ბავშვობასა და ორთქლმავალზე, მოწაფეობის ხანაზე, განსაცვიფრებლად კარგია; ასეთივეა მისეული მანერა მდინარეებზე თხრობისა. მდინარე თითქოს საოცარ პოემად წარმოუსახავს და ყოველთვის, როცა მწერალი ეხება მდინარის ბედსა თუ ადამიანთა იღბალს, მაშინ, უბრალოდ, დიდებულად გამოუდის.**

**მე არ ვიცნობდი უოლტ უიტმენს, სანამ არ გამოვიდა ჩემი წიგნი „საკუთარ სახლს მიხედე, ანგელოზო“. კრიტიკოსებმა გამოაცხადეს, რომ მისმა ლექსებმა გავლენა მოახდინეს ჩემზე და, გადავწყვიტე, მოდი, წავიკითხავ და ვნახავ, რა ზემოქმედება იქონია-მეთქი. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ უიტმენით: რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, შარი მოსდოს, მას მაგრამ მან ყველაფერზე ისე მოგვითხრო, როგორც სინამდვილეშია — უფრო სტრიქონებს შორის, ვიდრე სიტყვებით — გვაჩვენა, როგორ აზროვნებენ და წარმოუდგენიათ მოვლენები ამერიკაში.**

**ასე მგონია, დღეს მეტნაკლებად თავისუფალნი ვართ ცრურწმენის, ფეტიშებისა და წარსულისადმი პირმოთნე მოწიწებისაგან და მჯერა, რომ უნდა შევქმნათ ახალი ენა, ისევე, როგორც ნებისმიერი ახალი ცხოვრების ლიტერატურა, რომელსაც ახალი დროება და საგანთა ახალი მდგომარეობა განაპირობებს. ადამიანები მიაგნებენ თავიანთ საკუთარ ენას.**

**ეს ჟამი დადგება, მაგრამ ამას სხვა ვერაფრით დავადასტურებ, გარდა იმ წინათგრძნობისა, სისხლში, გონებასა და გულში რომ გამჯდომია. ამას ტვენმა და უიტმენმა მისცეს დასაბამი, გვაჩვენეს, საით უნდა გვევლო, თუმცა ეს არ უნდა იყოს მათი გამეორება. უბრალოდ, მე მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყანა და ყოფა ჯეროვნად არ არის დახატული და, ჯერ კიდევ არც ბოლომდეა აღწერილი.**

**ბევრ მწერალს არ ვიცნობ. ასეთი შეხედულება ჩამომიყალიბდა: როცა კაცი რაღაცას ქმნის, ის უფრო შორსაა ლიტერატურული სამყაროს იმ ნაწილიდან, სადაც განსჯიან კრიტიკოსნი, ხოლო მწერლები კი ერთმანეთზე ლაპარაკობენ; უფრო ღრმად ვიდრე ნებისმიერი სხვა, ვიდრე, ვთქვათ, კრიტიკულ გამოხმაურებათა მკითხველნი. მე ვფიქრობ, რომ ბევრი ახალგაზრდა იმასვე აკეთებს, რასაც მე ვაკეთებდი. თითოეული თავისი გზით პოულობს საკუთარ ქვეყანას, თავის ამერიკას, დიდ თუ პატარა სამყაროს. ადამიანს, რომელიც ქმნის, ყველაზე ნაკლებად ეხება ის, თუ რას ფიქრობენ დანარჩენები მასზე.**

**ათი-თორმეტი წლის წინ ყველას ასე ეგონა: თუ წერა გინდა, პარიზში უნდა წახვიდე; ჰოდა, მეც იქით გავსწიე, შესაძლოა, იმან გადამარჩინა, რომ არც ერთ ლიტერატურულ მიმდინარეობას არ ვიცნობდი და ვმუშაობდი... ახლა აღარავინ აღარ მიიბარგება სხვაგან საწერად, მაგრამ იმ წასვლით სულ სხვანაირად ვიგრძენი ამერიკა.**

**ამ ბოლო წლებში დროდადრო მეკითხებიან ხოლმე „პროლეტარულ ლიტერატურაზე“* რას ფიქრობ და ზოგიერთი წერილებსა თუ კრიტიკულ სტატიებში მსაყვედურობს კიდეც ეგრეთ წოდებული „მოქალაქეობრივი შეგნების“ უქმარობას. აბა, რა უნდა ვუპასუხო, ჩემი ნაწერი ჩემს მაგივრად უნდა ლაპარაკობდეს და მე ხომ, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მწერალი, გადავრჩები ან დავიღუპები საკუთარ თხზულებებთან ერთად. მაგრამ, აი, რას ვიტყვი.**

**მე იმ უბრალო ადამიანების წიაღიდან ვარ, არსობის პურისათვის რომ უხდებათ შრომა და ჩემი ინსტინქტური სიმპათიებიც მათ მხარეზეა. მხატვრის არსებობას ის განსაზღვრავს, თუ რა იცის თავისი ერის შესახებ. შესაძლოა ავტობიოგრაფიულ მწერლად გისხენიებდნენ, თქვენს სისუსტეებს აღნიშნავდნენ, მაგრამ არაფერი გამოგივათ, სანამ საკუთარ ერს ბოლომდე არ შეიცნობთ, ისე ღრმად არ შეიცნობთ, თითქოს მისი ფესვები იყოთ, თითქოსდა თქვენ წარმოგეშვათ იგი. რანაირად ილაპარაკებთ საზოგადო გარემოებებსა თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ანდა იმ პიროვნებებზე, საზოგადოებრივ სტრუქტურაში განსაზღვრული ადგილი რომ დაუკავებიათ, თუკი საკუთარი ხალხის არსი ნებისმიერ საგანზე უკეთ არ შეიცანით.**

**არ მესმის, რატომ უნდა ვიგულისხმო მოქალაქეობრივი შეგნების მიღმა რაღაც დოგმების კონკრეტული სისტემა.**

**ახალგაზრდა მწერალი ფიქრობს, დიდებას ვეძებო; ყველაზე მაღლა წარმატებას — შექებას, მოგებას და ქალებს აყენებს, მაგრამ შემდგომში აღმოაჩენს, რომ ყველაზე მეტად სულ სხვა რამ სწყურია: გაიზარდოს, სრულჰყოს საკუთარი შრომა, განავრცოს და გაალრმავოს ცხოვრებისეული შთაბეჭდილებები.**

**ახლა ოცდათხუთმეტი წლის ვარ და ტყუილი იქნება, თუკი ვიტყვი, — იმ წარმატებებს აღარ ვცნობ — მეთქი, ზემოთ რომ ჩამოგითვალეთ, თუმცა ადრინდელთან შედარებით ისინი ძალიან ცოტას ნიშნავს ჩემთვის.**

**ოცი წლისა რომ ვიყავი, ვფიქრობდი, ეშმაკივით სასაცილო ვარ -მეთქი და ზედიზედ ვნთქავდი მთელ ფილოსოფიურ სისტემებსა და ეკონომიკურ მოძღვრებებს. ახლა ყველაფერი შორს მიდის და თუ ახალი იდეები რაიმეთი მნიშვნელოვანია, მათ ნელი მომწიფების პროცესი უნდა გაიარონ. ხოლო, რაც შეეხება შემოქმედებას — რაც შეგიძენია და გაგაჩნია, შენს ნაწერშიც ის გამოჩნდება. ძალიან ახალგაზრდა მწერალი გულუბრყვილოდ იღებს თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას და მას ბილი ჯონსის ან ტომ გრანტის მონაპოვრად აქცევს — იმ პიროვნების ცუდად შენიღბულ თვისებებს მიაწერს, როგორიც საკუთარი თავი წარმოუდგენია — და თავის მოთხრობას ამ პერსონაჟის გარშემო აგებს. ზარემ აქვე ვიტყვი „ავტობიოგრაფიებსა“ და „ავტობიოგრაფიულ მწერლებზე“ — ხშირად საყვედურით მიმათვლიან ამ უკანასკნელთ: ჩემი აზრით, ხშირად მწერლის „ავტობიოგრაფიულობის“ მიზეზი (ხოლო ყველა ასე თუ ისე „ავტობიოგრაფიულია“) ის კი არაა, რომ კაცს თავისი არსებობის გამართლება უნდა, ანდა თავისი თავი გმირად მოაქვს, ჯრამედ ის, რომ იგი ის მწერალია, რომელიც წერის მოთხოვნილებას კი განიცდის, წერაც უნდა, მაგრამ არასდროს უწერია და არაფერი უწყის ამ საქმისა, და აი, ის ქმნის ბილი ჯონსის ან ტომ გრანტის მაგვარ პერსონაჟს, რომლის მართვაც მას შეუძლია.**

**რაც უფრო წინ მიიწევს დამწყები ავტორი, მისი ბილი უფრო და უფრო ნაკლებად მიაგავს საკუთარი თავის გამართლებისათვის შექმნილ პერსონაჟს; მწერალს შეუძლია გააღრმავოს იგი და, ამრიგად, ბილისა თუ ტომის გამოცდილება იმით აქციოს საინტერესოდ და მნიშვნელოვნად, რითაც ეს კაცი მთელ კაცობრიობას უკავშირდება, რითაც ზოგადადამიანურს ეხმაურება, და თუ ეს მოქალაქეობრივი შეგნება არაა, მაშინ მე აღარ ვიცი, რა ვიგულისხმო ამ ცნების მიღმა.**

თარგმნა
**მაკა ვარაზანაშვილმა**

ინტერვიუ დაბეჭდა გაზეთ **„ნიუ იორკ ივნინგ პოსტის“** 1936 წლის 14 მარტის ნომერში ჟურნალისტმა ქალმა **მეი კამერონმა.**

---

[1] ამ დროისათვის (1936 წ.) ჰემინგუეის წიგნის „ჩვენს დროში“ (1924 წ.) გამოსვლიდან თორმეტი წელია გასული.

[2] ვულფი არ იცნობდა ფოლკნერს, მაგრამ დიდად აფასებდა იმ სიმდიდრეს, რაც განსაზღვრავდა ფოლკნერის მხატვრულ მასალას. ხოლო ფოლკნერი, თავის მხრივ, ვულფზე წერდა...“ ვულფი ყველაზე მეტად ცდილობს მიუახლოვდეს შეუძლებელს... ცდილობდა ლიტერატურაში გამოეხატა კაცობრიობის მთელი გამოცდილება... ქვეყნიერება პლიუს თვითონ, თუ თავის სულში გამოვლილი ქვეყნიერება. სცადა ერთ წიგნში მოეთავსებინა სამყარო, რომელშიც დაიბადა, იცხოვრა, მერე კი საუკუნოდ მიიძინა“.

[3] ჰემინგუეის მიმართ ვულფის ნამდვილი დამოკიდებულება მჟღავნდება 1929 წლით დათარიღებული ერთი ჩანაწერით: „ძლიერთა სისუსტე — ჰემინგუეი და მისი მიმბაძველები. ჰემინგუეი ყველაზე საუკეთესოა თავის იმიტატორთა შორის. სულელური საუბარი სენტიმენტალურობაზე იქ, სადაც იგი არაა. „დაკარგული თაობა“ — რა დაკარგა მან ამერიკაში?; ხოლო თვით ჰემინგუეი ასე წერდა თავის „აფრიკის მწვანე ქედებში“ 1935 წელს: „აგრე ვიფიქრე, ნეტავი რა იქნებოდა, ტომას ვულფი რომ გაეციმბირებინათ — ვეთქი? მაშინ ხომ ნამდვილი მწერალი დადგებოდა; ეს ამბავი მისთვის მაგარი შენჯღრევა იქნებოდა, რაც აუცილებელია სიტყვების უზომო ნაკადისაგან გასათავისუფლებლად და პროპორციის გრძნობის შესათვისებლად“.

* „პროლეტარული ლიტერატურა“ — ეს ტერმინი 1930-იან წლებში გავრცელდა ამერიკულ კრიტიკაში და მწერლებს ცალმხრივ „სოციალურ შეკვეთებს“ აძლევდა. ეს კონცეფცია ტომას ვულფის გარდა მკაცრად გააკრიტიკა მეორე სამხრეთელმა, რობერტ პენ უორენმა 1936 წელს თავის სტატიაში „ლიტერატურა, როგორც სიმპტომი“.

---

## ჩვენი მილოცვა



## შოთა აკობია—70

დაბადების 70 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მწერალს შოთა აკობიას. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

**ბატონო შოთა! საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან აფხაზეთში, საქართველოს ამ ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეში, მოღვაწე თანამოკალმეს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.**

**სამწერლო ასპარეზზე 1938 წელს გამოხვედით, როცა თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „ბაღში“. მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით, თქვენი ნაწარმოებები — ლექსები, მოთხრობები, რომანები სისტემატურად ქვეყნდება სალიტერატურო პერიოდიკაში. გამოდის ცალკე წიგნებად.**

**თქვენი პოეტური კრებულები „სამშობლოს დილა“, „წყაროს დაბადება“, „გზები და შეხვედრები“, „შენ გამახსენდი“ და სხვა ქართველი მკითხველის მოწონებით სარგებლობს. ავტორი ბრძანდებით ისეთი გახმაურებული რომანებისა, როგორიცაა „თეთრი ჩრდილი“ და „როცა ქვეყანა თბილი იყო“.**

**უყურადღებოდ არც პატარები დატოვეთ. ჩვენი ნორჩი თაობა დიდი ინტერესით კითხულობს თქვენი საბავშვო ლექსებისა და პოემების კრებულებს, მათ შორისაა „ურჩის თავგადასავალი“, „კოსმონავტის საჩუქარი“, „რობოტის თავგადასავალი“, „მზე და ბავშვები“, „გაბრაზებული ჭიანჭველა“.**

**ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევით და ქართულად თარგმნით აფხაზური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს, თარგმნეთ აგრეთვე ივანე პაპასქირის რომანი „ქალის ღირსება“.**

**წლების მანძილზე აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობთ. სხვადასხვა დროს მუშაობდით წალენჯიხის რაიონული გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ განყოფილების გამგედ, ალმანახ „ლიტერატურული აფხაზეთის“ რედაქტორად, „სოიუზპეჩატის“ აფხაზეთის რესპუბლიკური სააგენტოს უფროსად. ორი ათეული წლის მანძილზე ხელმძღვანელობდით აფხაზეთის მწერალთა კავშირის ქართულ სექციას.**

**ამჟამად არჩეული ბრძანდებით საქართველოს მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიისა და აფხაზეთის მწერალთა კავშირის ქართული განყოფილების ბიუროს წევრად.**

**დაჯილდოებული ხართ დიმიტრი გულიას სახელობის პრემიით.**

**გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს გისურვებთ თქვენს საპატიო საქმიანობაში.**

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.**

# ათი საუკეთესო

ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში დაგროვებული უამრავი საჭირბოროტო საკითხი კარგა ხანია გადაჭრას მოითხოვს. დღევანდელობის მოთხოვნები კრიტერიუმების გადაფასების აუცილებლობასაც გვიკარნახებს, რათა უკეთ გავერკვეთ: რა მემკვიდრეობა დაგვიტოვა წარსულმა, რა გვაქვს საამაყო აწმყოში და რას უნდა ველოდეთ მომავლისაგან.

დღეს, როცა ყველა მოქალაქის მზერა პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობაზეა მიპყრობილი, ლამის გამოგვრჩეს უაღრესად მნიშვნელოვანი და ერის სულიერებისათვის აუცილებელი ლიტერატურული პროცესები.

როგორც გაირკვა, არაერთ კრიტიკოსს სურს წარმოაჩინოს თანამედროვე ქართული ლიტერატურის პირუთვნელი სურათი. უთუოდ ამ სურვილმა გაგვაერთიანა ერთი საერთო საქმის ირგვლივ. თუმცა, გავითვალისწინეთ რა ქართული ლიტერატურის სიმდიდრე და ზღვა მასალის ერთბაშად დაძლევის შეუძლებლობა, დავისახეთ კონკრეტული მიზანი — როგორც კვლევის დასაწყისი. იმისათვის, რომ ნაწარმოებთა შერჩევის პროცესი ყოფილიყო ობიექტური და სამუშაოც საინტერესოდ წარმართულიყო, გადავწყვიტეთ, კონკურსის წესით გამოგვევლინებინა 1986-90 წლებში ქართულ პერიოდიკაში პირველად გამოქვეყნებული პროზაული თხზულებებიდან (დაახლოებით ორი საავტორო თაბახის მოცულობის ფარგლებში) ათი საუკეთესო. ეს იდეა ახალგაზრდებმა გამოთქვეს და უფროსი თაობის ლიტერატორები კეთილგანწყობით მოეკიდნენ ამ წამოწყებას. გადაწყდა, რომ საუკეთესო მოთხრობები ცალკე წიგნად გამოცემულიყო. ამ ტიპის კრებულები ხშირად ქვეყნდება ევროპასა და ამერიკაში და ხელს უწყობს მკითხველის გარკვევას ლიტერატურულ პროცესში.

ახალგაზრდული წიგნის ცენტრმა „ივერიამ" უზრუნველყო ყველა ის ორგანიზაციული მხარე, რაც კონკურსის ჩატარებისათვის იყო აუცილებელი, რეკლამის გარდა, რადგან ის საჭიროდ არ მივიჩნიეთ და ექსპერიმენტული კონკურსი „ათი საუკეთესო მოთხრობა" ყოველგვარი სარეკლამო ხმაურის გარეშე ჩატარდა.

კონკურსის საერთო დებულებიდან გამომდინარე, თავიანთი ფავორიტი მოთხრობები წარმოადგინეს პერიოდულმა გამოცემებმა, ჟურნალებმა: „მნათობმა", „ცისკარმა", „ჭოროხმა", „რიწამ", გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ", ალმანახმა „სათავემ" და სხვ.

საკონკურსო ფოსტაში მოხვდა ზუსტად ორმოცდაათი მოთხრობა, რომლის ასლებიც დაეგზავნათ ჟიურის წევრებს, კრიტიკოსებს: აკაკი ბაქრაძეს, ლევან ბრეგაძეს, ჯუმბერ თითმერიას, თამაზ კვაჭანტირაძეს, თენგიზ ჩხაიძეს, როსტომ ჩხეიძეს და ჯანსუღ ღვინჯილიას.

ჟიურიმ დათქმულ ვადაში დაამთავრა წინასწარი სამუშაო და 18 ივნისისათვის შეაჯამა კიდეც კონკურსის შედეგები. აი, გამარჯვებული მოთხრობების სიაც საკონკურსო რეიტინგის მიხედვით:

1. „ენგადი" (გრიგოლ რობაქიძე),
2. „დამდნარი ჯაჭვი" (მიხეილ ჯავახიშვილი),
3. „მამაშვილობაში" (ოთარ ჩხეიძე),
4. „ფრთხებიან უყვავები დამბაჩის ხმაზე?" (რევაზ ინანიშვილი),
5. „იგუია.ა." (რეზო ჭეიშვილი),
6. „სიკვდილი კაკლიანში" (ადამ ბობღიაშვილი),
7. „დიდება" (გურამ გეგეშიძე),
8. „ორნი აქა, იქა" (გურამ დოჩანაშვილი),
9. „საოჯახო ქრონიკა" (კოტე ჯანდიერი),
10. „ხხვისი გაზაფხული" (ნაირა გელაშვილი).

კონკურსში გამარჯვებული მოთხრობების მიხედვით ჩანს, რომ მომავალი კრებული („ათი საუკეთესო მოთხრობა"), რომელსაც ახალგაზრდული წიგნის ცენტრი „ივერია" წელსვე გამოსცემს, მეტად საინტერესო იქნება თუნდაც იმიტომ, რომ აქ თავი მოიყარა როგორც ქართული კლასიკური ლიტერატურის აღიარებული ოსტატების, ისევე თანამედროვე თვალსაჩინო მწერლების თხზულებებმა. მეტად საგულისხმოა ტრაგიკულად დაღუპული მწერლის ადამ ბობღიაშვილის (1912-1943) მოთხრობის მაღალი შეფასება, რადგან მისი პროზაული თხზულებანი მხოლოდ ამ ბოლო ხანს გამოჩნდა ჩვენი პრესის ფურცლებზე და მისი ადგილი ჯერ არ არის გარკვეული უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. კონკურსის უდავო სენსაციად უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა მწერლის კოტე ჯანდიერის წარმატება.

ამ ტიპის კრებულების გამოცემას „ივერია" კვლავაც აპირებს ათწლეულების მიხედვით, ქრონოლოგიური რეტროსპექტივით: 80-იანი, 70-იანი, 60-იანი და ა. შ. წლები XX საუკუნის დასაწყისამდე, რათა ეს კრებულები საფუძვლად დაედოს ჩვენი საუკუნის საუკეთესო ქართული მოთხრობების ანთოლოგიას.

**ახალგაზრდული წიგნის ცენტრი „ივერია"**
**კონკურსის „ათი საუკეთესო მოთხრობა" რედაქცია**





ოსტატები — ილარიონ ბაევის ფოტოები

# გამოსათხოვარი



ქართველ ფოლკლორისტთა რიგებს ნაადრევად გამოაკლდა ნიჭიერი მკვლევარი, მშობლიურ კულტურაზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალი სოფიო (ფისო) ჩოხელი.

დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება, წერის მაღალი კულტურა, ფართო ჰუმანიტარული განათლება და ღრმა ცოდნა იგრძნობოდა მის ყოველ ნაწერში. მიუხედავად ადრევე შეყრილი მძიმე სენისა, მას ბოლომდე არ დაუკარგავს ხალისი და ახლობლებისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა. თვითონ სასიკვდილოდ განწირული, სხვებს ამხნევებდა, სიცოცხლეს შესტრფოდა და იმედიანად შეჰხაროდა მომავალს, ხმამაღლა კამათობდა, მხჯელობდა, იცინოდა, ბედნიერი ქალის შუქ-ნათელი აცისკროვნებდა მის სახეს.

უყვარდა ხალხში გასვლა, ფოლკლორული მასალების შეკრება. ოცდაათამდე სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა, ბოლოს კი, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, თითქოს გრძნობდაო აღსასრულის მოახლოებას, გამოსცა მშვენიერი მონოგრაფია „ქართული საქორწილო წეს-ჩვეულებები და პოეტური ფოლკლორი", რომელშიც ერთგვარად შეჯამებულია მისი მრავალი წლის ნააზრევი. რაოდენ დასანანია, რომ მრავალი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა...

შინ და გარეთ თავაუღებლად მშრომელი ქალი მუდამ გვერდით ედგა თავის მეუღლეს, გამოჩენილ ქართველ მწერალს, ბატონ რეზო ჭეიშვილს. სამშობლოს გაუზარდა ორი ღირსეული ვაჟკაცი. თავს დასტრიალებდა რძალსა და შვილიშვილებს. არ დასცალდა ბოლომდე დაეხარჯა სიყვარულითა და სიკეთით სავსე გულის სითბო.

... სოფიო ჩოხელი — ჩვენი ფისო... წლების მანძილზე უკურნებელი სენით შეპყრობილი არასოდეს გაგრძნობინებდა, რომ განწირული იყო. ყოველთვის მეგობრებით გარშემორტყმული, თვალებში ხსივჩამდგარი აქეთ გამხნევებდა, გახალისებდა, ცხოვრებას გაყვარებდა.

თვითონ კარგად გრძნობდა, რომ სიკვდილი ახლოს იყო; არ იმჩნევდა, გუნებას არ გაგიფუჭებდა. ბოლოს, როცა დაუძლურდა, შემოგვითვალა, არ მინახულოთ, გამოვმჯობინდები და მე თვითონ გნახავთ ყველასო. ველარ გამომჯობინდა, ველარ დადგა ფეხზე. გათავდა მისი წილი წუთისოფელი.

უდროოდ წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი შესანიშნავი ქართველი მანდილოსანი, ერთგული მეუღლე, სამაგალითო დედა, ნიჭიერი მკვლევარი, საყვარელი მეგობარი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული იმ სოფლად, ჩვენ კი, მის ახლობლებს, იხლა დაგვრჩენია, სამუდამოდ შევინახოთ მისი წმინდა ხსოვნა.

**სარგის ცაიშვილი, ჯონდო ბარდაველიძე, გურამ ბარნოვი, ფიქრია ზანდუკელი, ემზარ კვიტაიშვილი, თამაზ ჩხენკელი, აპოლონ ცანავა.**

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებენ მწერალ რეზო ჭეიშვილს მეუღლის

**სოფიო ჩოხელი—ჭეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

„ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს თანამშრომელს დარეჯან გავაშელაშვილს მამის

**ივანე გავაშელაშვილის**

გარდაცვალების გამო.


მთავარი რედაქტორი **სოსო სიგუა**

სარედაქციო კოლეგია: **თამაზ ბიბილური** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, დათო მაღრაძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე.**

პასუხისმგებელი მდივანი **გივი ჯოხაძე**



**რედაქციის მისამართი:**
**380005, თბილისი,**
**ბუდიაშვილის**
**მოედანი №2**

**ტელეფონები:**

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-39
პასუხისმგებელი მდივნის — 99-07-10
განყოფილებების — 99-72-39; 99-71-06; 99-08-65. 95-86-68.
რედაქციაში შემოსული ხელნაწერი არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება.

ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO"
THE NEWSPAPER
OF WRITERS OF THE
REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ
САКАРТВЕЛО»
**გაზეთის პარასკევობით**